ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
16 ოქტომბერი **სამშაბათი** 2012 **№245 (13 851)** ფასი 80 თეთრი

თემურ ქეცბაია:
**მობრძანდით და გვნახეთ**

16 ოქტომბერი, 20:00 მინსკი
**ბელარუსი - საქართველო**

# მოგების ჯერია



2

7 სექტემბერს, თბილისში ბელარუსის ნაკრებს თორნიკე ოქრიაშვილის გოლით მოვუგეთ

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

# 9 ქულა მოხსნა

## ფაჩულია სასტარტოში დაბრუნდა



2



*მიხეილ ყაველაშვილი:*
## ფედერაციაში სამართლიანი არჩევნებია ჩასატარებელი!

საქართველოში დაბრუნებულმა მიხეილ ყაველაშვილმა პირველი კომენტარი გააკეთა. დღეს საქართველოს ნაკრების ყოფილი თავდამსხმელისა და "ჩვენი ფეხბურთის" ერთ-ერთი დამფუძნებლის მხოლოდ მოკლე კომენტარით შემოვიფარგლებით - რას ფიქრობს ყაველაშვილი ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობაზე?

"ჩვენთვის პრინციპულად მიუღებელია ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობაში ჩარევა, იქ შევარდნა და მიტინგებით ამ ორგანიზაციის პრეზიდენტის ზვიად სიჭინავას გადაყენება. ფედერაციის ოპონენტები სწორედ იმიტომ ვიყავით, რომ იქ ბოლო წლებში სახელმწიფო უხეშად ეროდა და პრეზიდენტებს ისე ნიშნავდა, თითქოს ეს იყო არა საზოგადოებრივი ორგანიზაცია, არამედ სამინისტრო.

მაგრამ საკითხის მეორე მხარე ეს არის: ყველამ იცის, ფედერაციაში რა "არჩევნებიც" ტარდებოდა. ამიტომ, აქ ნდობის საკითხი დგას – თუ გვინდა, რომ ფედერაციისა და ჩვენი ფეხბურთის მიმართ ნდობა აღდგეს, სიჭინავა უნდა გადადგეს და სამართლიანი არჩევნები ჩატარდეს.

ჩვენ არ გვსურს, ძველი ტენდენციით, საფეხბურთო სამყარო "ჩვენებად" და "სხვისიანებად" დავყოთ. ახალ არჩევნებში ნებისმიერმა მსურველმა უნდა მიიღოს მონაწილეობა, თუნდაც ზვიად სიჭინავამ.

აუცილებელია, წინასაარჩევნო პროგრამები საჯაროდ განვიხილოთ, დაინტერესებულმა ადამიანებმა რომ იცოდნენ, ვის რა პლუსი და მინუსი გააჩნია. ეს იქნება სამართლიანი და ობიექტური არჩევნების წინაპირობა" - გვითხრა ყაველაშვილმა.

"ლელო" მიხეილ ყაველაშვილთან ვრცელ ინტერვიუს ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ნაკრები. ბელარუსი-საქართველო. მატჩის წინ

16.10. მინსკი. დინამო. 20:00
ბელარუსი- საქართველო
Bwin: 2.00 3.30 3.75 Live | არხზე

# მობრძანდით და გვნახეთ

## მოულოდნელობებით აღსავსე საქართველოს ნაკრები



დღეს საქართველოს ეროვნული ნაკრები 2012 წლის ბოლო ოფიციალურ შეხვედრას ჩაატარებს – მინსკში გასამართი მატჩი უფრო მკაფიოდ გვიჩვენებს, თუ რა მიზნებისთვის ბრძოლა შეუძლია თემურ ქეცბაიას გუნდს. შეხვედრა თბილისის დროით 20 საათზე დაიწყება.

გუშინ საქართველოს ნაკრებმა მინსკის "დინამო არენაზე" ივარჯიშა და საბედნიეროდ, ამჯერადაც სრული შემადგენლობით. ვარჯიშამდე კი სტადიონის საკონფერენციო დარბაზში ქეცბაიას პრესკონფერენცია გაიმართა.

- რთული თამაში გველის, მაგრამ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ. ბელარუსის ნაკრები ძლიერი გუნდია და კარგი ფეხბურთელებიც ჰყავს. ფინეთში დაძაბული მატჩი ჩავატარეთ. იქ ერთი შეცდომა გოლად დაგვიჯდა. შევეცდებით, მსგავსი რამ აქ აღარ დაგვემართოს. გვინდა, ჩვენი საუკეთესო თვისებები გამოვავლინოთ და გავიმარჯვოთ.

**- ესპანეთის ნაკრების მწვრთნელმა საქართველოს ნაკრებს მოულოდნელობებით აღსავსე უწოდა. როგორ ითამაშებთ ამ მატჩში?**

- მობრძანდით და ნახავთ. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ჩემი ფეხბურთელების მჯერა.

**- დღესდღეობით ყველაზე მეტად რა პრობლემები გაწუხებთ?**

- პრინციპში, ის ბიჭები, რომლებთან ერთადაც აგერ უკვე 8-9 დღეა, რაც ვმუშაობ, წესრიგში არიან. ამიტომაც, მათთან დაკავშირებით არანაირი პრობლემები არ არსებობს – ყველა ჩინებულ მდგომარეობაშია და თამაშისთვის მზადყოფნაშია. ხვალ მოედანზე ყველაზე საუკეთესონი გავლენ.

**- არ გეშინიათ, რომ თქვენმა ფეხბურთელებმა მეტოქე ჯეროვნად ვერ შეაფასონ?**

- არა. ესპანელებთან ჩვენც გვითამაშია. ეს ნამდვილად რთული იყო. რაც შეეხება შეუფასებლობას, არა მგონია, ხვალ ამის საშიშროება დადგეს. ერთი თვის წინ ბელარუსებთან ვითამაშეთ, ამიტომაც ამ გუნდს კარგად ვიცნობთ. ის ფაქტი, რომ ისინი ესპანელებთან 0:4 დამარცხდნენ, სრულებით არაფერს ნიშნავს. პლუს ამას, ბელარუსის ნაკრებს გლებიც დაემატა და ამით გუნდი კიდევ უფრო გაძლიერდა.

**- თქვენი აზრით, გლებმა ბელარუსის ნაკრები რამდენად გააძლიერა?**

- ბელარუსი გლებითაც და მის გარეშეც შესანიშნავი გუნდია. რასაკვირველია, იგი თქვენს ნაკრებს კიდევ უფრო საშიშს ხდის. მას ევროპაში ბევრი უთამაშია, მან იცის, მატჩის ბედი როგორ გადაწყვიტოს.

**- კიდევ ვინ მიგაჩნიათ ბელარუსის ნაკრებში ძლიერ ფეხბურთელად?**

- კიდევ ერთხელ ვიმეორებ – ბელარუსის ნაკრები ჩინებული გუნდია, პირველ მატჩში მოედანზე ყველა თავდადებით იბრძოდა, მაგრამ მოედანზე ჩვენ მხოლოდ სამი ქულის მოსაპოვებლად გავალთ. მეტოქის რიგებში მოთამაშე რომელიმე ფეხბურთელს არ გამოვარჩევდი.

**- პირველმა მატჩებმა ჩაიარა, თქვენ კი ოთხი ქულა გაქვთ მოპოვებული. ეს თქვენთვის დამაკმაყოფილებელი შედეგია?**

- ვინმეს დასაწყისისთვის ოთხი ქულა რომ შემოეთავაზებინა, უყოყმანოდ დავთანხმებოდი. ხვალ კი გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ. ბელარუსი ფინეთზე ძლიერია, ამიტომ დიდი ძალისხმევის გამოვლენა გვმართებს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურმა **სანდრო კობახიძისა** და **მურთაზ დაუშვილის** კომენტარები მოგვაწოდა.

**სანდრო კობახიძე:** "ფინეთთან თამაშამდე ვინმეს რომ ეთქვა, ქულას აიღებთო, ალბათ, კმაყოფილებიც კი დავრჩებოდით და ნორმალურ შედეგად ჩაგვეთვლებოდა, თუმცა, ამ შეხვედრაში მოვლენები ისე განვითარდა, რომ ქულა კი არ ავიღეთ, ქულები დავკარგეთ... ეს ძალიან საწყენია. ასეთ თამაშში გამარჯვების ხელიდან გაშვება კარგი არ არის.

თუმცა ახლა ფინეთთან თამაში უნდა დავივიწყოთ, რადგან, ჩემი აზრით, წინ უფრო რთული მატჩი გველის და მასზე უნდა მოვახდინოთ სრული კონცენტრაცია. ძალიან კარგი შანსი გვაქვს, ბელარუსებთან წარმატების მიღწევის შემთხვევაში, თამაში განაცხადი გავაკეთოთ ჯგუფში მესამე ადგილის დაკავებაზე.

ბელარუსი სერიოზული, მებრძოლი გუნდია და არაფერს ნიშნავს, რომ მათ შესარჩევში, ჯერჯერობით, ყველა მატჩი წააგეს. ისინი აუცილებლად შეეცდებიან, მთელი ძალებით შემოგვიტიონ და მინიმუმ, სწრაფი გოლი გაგვიტანონ. ჩვენი ამოცანა იქნება, გოლი არ გავუშვათ და ჩვენს შანსს დაველოდოთ, რომელიც აუცილებლად გვექნება".

**მურთაზ დაუშვილი:** "საინტერესო მატჩი იქნება იქიდან გამომდინარე, რომ ბელარუსის ნაკრებს ერთხელ უკვე შევხვდით და ერთმანეთს კარგად ვიცნობთ. დიდი იმედი მაქვს, რომ გამარჯვება ამჯერადაც ჩვენ დაგვრჩება".

სტადიონზე დაახლოებით 15 ათას გულშემატკივარს ელიან. ბელარუსი-ესპანეთისა და ბელარუსი-საქართველოს ბილეთები ერთ პაკეტში გაიყიდა და შესაბამისად, დღევანდელ მატჩს პუბლიკა გარანტირებული აქვს.

### საქართველოს ნაკრები:

მეკარეები: ნუკრი რევიშვილი (კრასნოდარი, რუსეთი), როინ კვასხვაძე (ზესტაფონი), ომარ მიგინეიშვილი (ტორპედო, ქუთაისი);

მცველები: უჩა ლობჟანიძე (კრივბასი, უკრაინა), აკაკი ხუბუტია (გაზ მეთანი, რუმინეთი), გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), ზურაბ ხიზანიშვილი (ქაისერისფორი, თურქეთი), ალექსანდრე ამისულაშვილი (კრასნოდარი, რუსეთი), გიორგი ფოფხაძე (ბაკი, აზერბაიჯანი), გია გრიგალავა (ვოლგა, რუსეთი), გულვერდ თომაშვილი (დილა, გორი);

ნახევარმცველები: მურთაზ დაუშვილი (კარპატი, უკრაინა), ირაკლი მაისურაძე (მეტალურგი, რუსთავი), თორნიკე ოქრიაშვილი (ილიჩევეცი, უკრაინა), ალექსანდრე კობახიძე (არსენალი კიევი, უკრაინა), დავით თარგამაძე (ილიჩევეცი, უკრაინა), ჯაბა კანკავა (დნიპრო, უკრაინა), ლევან ყენია (კარპატი, უკრაინა), ნიკა ძალამიძე (იაგელონია, პოლონეთი), ჯანო ანანიძე (სპარტაკი მ. რუსეთი), ალექსანდრე გურული (დილა, გორი), დავით დევდარიანი (ორჰუსი, დანია);

თავდამსხმელები: ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია), ირაკლი სირბილაძე (ინტერ ტურკუ, ფინეთი).

**ლევან ჯანეზაშვილი**

**I ჯგუფი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| 2. საფრანგეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 3. საქართველო | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 4. ფინეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 5. ბელარუსი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-8 | 0 |

**მომდევნო ტური**

**22 მარტი, 2013 წელი**

საფრანგეთი-საქართველო
ესპანეთი-ფინეთი

მეტოქე

# სლავები მხოლოდ მოგებაზე ფიქრობენ

დღეს მინსკის "'დინამოს" სტადიონზე ბელარუსის ნაკრები საქართველოს უმასპინძლებს. ჩვენმა მეტოქემ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი საშინლად დაიწყო და სამივე შეხვედრა წააგო. მსგავსი ჩავარდნა ბელარუსებს მხოლოდ ერთხელ ჰქონდათ: ასევე სასტარტო სამი შეხვედრა 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევშიც დათმეს - ჰოლანდიასთან (0:3), ავსტრიასთან (0:2) და ჩეხეთთან (0:2).

სლავები წარუმატებელი სერიის შეწყვეტას ქართველებთან იმედოვნებენ. გუშინდელ "ლელოში" უკვე ვწერდით, რა გამწარებულები გველიან და როგორ იმედოვნებენ მოგებას.

მატჩის წინა დღეს კიდევ რამდენიმე საინტერესო განცხადება გაკეთდა. რამდენიმე წამყვანი მოთამაშე "ჯვაროსნების" წინააღმდეგ ვერ ითამაშებს – მაგალითად, ნახევარმცველები **ტიმოფეი კალაჩევი** ("როსტოვი", რუსეთი), **ანტონ პუტილო** („ფრაიბურგი", გერმანია) და თავდამსხმელი **სერგეი კორნილენკო** („კრილია სოვეტოვი").

სამაგიეროდ, უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობს სამარის „კრილია სოვეტოვის" მცველი **დმიტრი ვერხოვცევი**, რომელმაც ესპანეთთან ტრავმის გამო ვერ ითამაშა.

ბელარუსთა მთავარი მწვრთნელი **გეორგი კონდრატიევი** ამბობს, რომ **თემურ ქეცბაიას** გუნდს შემტევ შემადგენლობას დაუპირისპირებს: "*ზუსტად არ გეტყვით, საქართველოსთან რა ცვლილებები გვექნება, მაგრამ მას ნამდვილად ვგეგმავ. ჩვენ გვჭირდება ენერგიით სავსე ფეხბურთელები, რომლებიც მაღალ ტემპში თამაშს შესძლებენ. ჩვენ ვაპირებთ შევუტიოთ და შემადგენლობაც მეტოქის დაცვის გარღვევაზე იქნება ორიენტირებული. სხვათა შორის, არ გამოვრიცხავ, რომ ალექსანდრ გლები და რენან ბრესანი ერთდროულად დავაყენოთ.*

*ოპტიმალური შემდგენლობით თამაში ყოველთვის სასიამოვნოა. ამდენად, კალაჩევის, პუტილოსა*



გეორგი კონდრატიევი

*და კორნილენკოს არყოფნა ჩვენთვის დიდი დანაკლისია. საწყენია, რომ ისინი ვერც ესპანეთთან დაგვეხმარნენ და ვერც ქართველებთან გამოვიყენებთ. ჩვენ კი მოთამაშეთა დიდი არჩევანი არ გაგვაჩნია. ეს რა უბედურება გვჭირს, როდესაც ფსონს ვილაცაზე დავდებ, დაშავდება და იძულებული ვხდები, მერე სხვა ვათამაშო. მაგალითად, თავიდან გლებს ვერ ვიყენებდით. ვერხოვცევიც ტრავმირებული ჩამოვიდა, მაგრამ ახლა უკვე მომჯობინდა*".

**რენან ბრესანი**, "ბატესა" და ბელარუსთა ნაკრების ბრაზილიელი ნახევარმცველი: "*დიახ, მართლაც მქონდა ქართველებთან შეხვედრაში ისეთი გრძნობა, რომ ამ ნაკრებთან მოგება შეიძლებოდა და აუცილებელიც იყო. მაგრამ ეს უკვე წარსულია. ახლა ჩვენ ჰაერივით გვჭირდება გამარჯვება და საამისოდ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ*".

მომავალ მატჩზე კომენტარი ტრავმირებულმა ტიმოფეი კალაჩევმაც გააკეთა: "*ჩვენ მსოფლიოს საუკეთესო გუნდთან, ესპანეთთან წავაგეთ, რაც სულაც არ არის ტრაგედია. ახლა საქართველოსთან დაპირისპირებისთვის უნდა მოვემზადოთ. კავკასიელებს კი ჩვენი დონის ნაკრები ჰყავს. მოკლედ, ეს მატჩი ჩვენთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია და გუნდის მთავარი მწვრთნელის, კონდრატიევისთვისაც. ბიჭებს ესმით, რომ მეტოქეს საკუთარ მოედანზე მაინც უნდა მოვუგოთ, მომავალს ოპტიმიზმით რომ ვუყუროთ. ამ შედეგ ზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული, მაგრამ დაველოდოთ მატჩს*".

დაბოლოს: ინტერნეტ-პორტალმა goal-მა გულშემატკივართა გამოკითხვა ჩაატარა. 3288 გამოკითხულიდან 42.9% (1409 ხმა) მიიჩნევს, რომ ბელარუსი საქართველოსთან მოიგებს, 28.1% (924) ქართველთა გამარჯვებას ვარაუდობს, ფრეს კი - 29.0% (955).

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ

# ბელარუსში მძიმე თამაში გველის

გია კვარაცხელია "დინამო თბილისის" ერთ-ერთი წამყვანი და გამოცდილი ფეხბურთელია. მას სხვადასხვა ქვეყანაში უთამაშია, იყო საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრების მოთამაშეც.

2008-09 წლებში კვარაცხელია ბელარუსში, მინსკის მტზ-რიპოში თამაშობდა. დღეს საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევში ბელარუსის ნაკრებს სტუმრად ეთამაშება და კვარაცხელიასაც მეტწილად ბელარუსულ თემაზე ვესაუბრეთ.

- 3-4 წლის წინ ბელარუსის ჩემპიონატში გუნდები ძალისმიერი სტილით გამოირჩეოდნენ, ყველა სწრაფ ტემპში მოძრაობდა. ბორისოვის ბატე კი ყველასგან გამორჩეული იყო, ტექნიკურ, ევროპულ ფეხბურთს თამაშობდა. მე რომ არ ვილაპარაკო ამაზე, ფაქტიც ხომ სახეზეა – ბატე ჩემპიონთა ლიგაზე უკვე წლებია, რაც თამაშობს. ყველა ბელარუსულ საფეხბურთო კლუბს მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა აქვს, მოედნების პრობლემა იქ არ არის. ბელარუსული ფეხბურთის ნაკლი კი ის შეიძლება იყოს, რომ ფეხბურთი ქვეყანაში ნომერ პირველი სპორტი არ არის. იქ ჰოკეია ყველაზე პოპულარული სახეობა, ქვეყნის პრეზიდენტი ლუკაშენკოც ყოფილი ჰოკეისტია და სპორტის ამ სახეობას მის ქვეყანაში ყველაზე დიდ ყურადღებას აქცევენ.

**- ლუკაშენკო ბატეს ყოველწლიურად 5 მილიონ ევროს ჩუქნის...**

- მხოლოდ ეს არ განაპირობებს ბატეს წარმატებებს ევროსარბიელზე. ბელარუსის ჩემპიონატში ამ გუნდს კარგი მეტოქეები ჰყავს და შესაბამისი სპარინგით ინარჩუნებს საკუთარ თამაშს.

**- მტზ-რიპო რა გუნდი იყო?**

- საკმაოდ კარგი, თასი ავიღეთ, ჩემპიონობისთვისაც ვიბრძოდით, მაგრამ საბოლოოდ მეორე ადგილზე გავედით, პირველი კი ბატე აღმოჩნდა. მტზ-რიპო კერძო კლუბი იყო, რომლის მფლობელს საკუთარ ბიზნესში პრობლემები შეექმნა და გუნდიც ამიტომ დაიშალა. ბატე 3-4 წლის წინაც ყველასაგან გამორჩეული იყო ბელარუსში.

**- საქართველო-ბელარუსის თამაშზე რას იტყოდი?**

- თავდადებას არავის არ ვუკარგავ, თუმცა ობიექტურად რომ ვიმსჯელოთ, ბელარუსს არ გაუმართლა, სამი იძულებითი შეცვლა გააკეთა და მერე კიდევ ორი ფეხბურთელი დაუშავდა. ამ ყველაფრის გამო ბელარუსის ნაკრების თამაში აირია. სტუმრად ჩვენს ნაკრებს ძალიან მძიმე თამაში ელის ბელარუსთან, რომელსაც ალექსანდრ გლები დაემატა და თუ რა დონის ფეხბურთელია ის, ყველამ ვიცით. საერთოდ, ბელარუსის ნაკრები საკმაოდ კარგი გუნდია, ამხანაგურ შეხვედრებში არგენტინასთან და ხორვატიასთან ნორმალურად წარმოაჩინა თავი. მიმდინარე შესარჩევში ბელარუსს ჯერ არ მოუგია და ამის გამოც გაორმაგებული მონდომებით ითამაშებს.

**- თბილისის "დინამოზეც" გკითხავ. გუნდი პირველ ადგილზეა ეროვნულ ჩემპიონატში, ბევრი გოლი გააქვს, თუმცა დაცვაში შეცდომებიც მოუმრავლდა...**

- გუნდი ცოცხალი ორგანიზმია, ხან ისე წაუვა საქმე და ხან – ასე. დაცვის ხაზის აწყობას დრო ჭირდება, გარდა ამისა პრობლემებიც გაჩნდა – მეკარე დაგვიშავდა, ხან რეხვიაშვილს ჰქონდა ტრავმა, ხან ხიზანეიშვილი ვერ ახერხებდა თამაშს...დრო გვჭირდება და ყველაფერი გამოსწორდება.

**დავით თავართქილაძე**



U21

# წლის ბოლო თამაში

## ალექსანდრე ჩივაძე: შედეგზე უნდა ვითამაშოთ



ალექსანდრე ჩივაძე

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

**დღეს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები დანიელ თანატოლებს შეხვდება, ამხანაგური მატჩი 18:30 საათზე დაიწყება. ტელეტრანსლაცია არ იქნება და ქომაგს 5-ლარიანი ბილეთის ყიდვა მოუწევს.**

გუშინ ამავე სტადიონზე ჯერ დანიელებმა ივარჯიშეს, მერე კი ქართველმა 21-წლამდელებმა. დანიელთა დამრიგებელმა პერ ჰოლმმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა: *"კარგი თამაშის მოლოდინში ვართ, ვიცი, რომ ქართველებს რიგიანი გუნდი ჰყავთ. რამდენიმე დღის წინ უკრაინას ვეთამაშეთ და უკმაყოფილი არ დავრჩენილვარ. საქართველოში 19 ფეხბურთელით ჩამოვედით, ეს ის კონტინგენტია, დამდეგი შესარჩევისთვის რომ უნდა გამოვიყენოთ, თუმცა მათ ჯერ ამხანაგურ შეხვედრებში დავაკვირდებით".*

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა **ალექსანდრე ჩივაძემაც** საამმატჩოდ ისეთ ფეხბურთელებს უხმო, მომავალ ევროშესარჩევში რომ შეეძლებათ თამაში – 1992 წელს დაბადებულები და უმცროსები.

ვარჯიში დიდად დატვირთული არ ყოფილა, უფრო სახალისოს წააგავდა, ჩივაძე, ასე ვთქვათ, ატმოსფეროს მწვრთნელია და ეს მისი კოზირია. ვარჯიშის დაწყებამდე კი ჩივაძემ მასმედიისთვისაც მოიცალა:

- რაც ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი გავხდი, მისია შევასრულეთ, ჯგუფში მესამე ადგილზე გავედით. როცა გუნდი ჩავიბარე, ჯგუფიდან გასვლის შანსი აღარ იყო დარჩენილი. ახალი გუნდის შექმნა დავიწყეთ, მეტწილად 1992-93 წელს დაბადებული ფეხბურთელები ვათამაშეთ ოთხ შეხვედრაში. დამდეგი შესარჩევისთვის უკვე 38 ფეხბურთელი გვეყოლება ნანახი საქმეში, ვფიქრობ, მნიშვნელოვანი სასელექციო სამუშაოები ჩავატარეთ.

**- დანიასთან მატჩისთვის ახალი ფეხბურთელებიც გამოიძახეთ...**

- ხუთი ახალი ფეხბურთელი გვყავს: მეკარე გაბრიელ თებიძე, მცველი გიორგი ჯგერენაია, თავდამსხმელი ირაკლი ქობალია და ნახევარმცველი თორნიკე სტეფნიაშვილი "ზიმბრუდან", ჩელებაძე პირველი ლიგის "შუქურადან". გვინდოდა კრასნოდარის "ყუბანის" ნახევარმცველი კახა ხალვაშის გამოძახებაც, თუმცა ამ ეტაპზე ეს ვერ მოხერხდა.

**- დანიასთან მატჩსაც ალბათ უფრო სასელექციო დანიშნულება აქვს...**

დავალება ასეთი იქნება: შედეგზე უნდა ვითამაშოთ. ვისაც ვათამაშებ, უნდა დაამტკიცოს, რომ ნაკრების ღირსია.

**- მეტოქეზე რას იტყოდით?**

- ახლახან უკრაინასთან 0:0 ითამაშეს. დანია კარგი საფეხბურთო ტრადიციების ქვეყანაა და განსწავლული გუნდი ეყოლებათ. აუცილებლად კარგ შედეგს უნდა მივაღწიოთ.

მატჩისწინა კომენტარი ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა **გიორგი ჭანტურიამაც** გააკეთა: *"ძნელი მატჩი გველის, მაგრამ შინ ვთამაშობთ და მოსაგებად უნდა ვიბრძოლოთ. ოთხი მატჩი წაუგებლად ვითამაშეთ და ეს სასიამოვნო ტრადიცია არ უნდა დავარღვიოთ. ახალგაზრდული ნაკრებისთვის სეზონის ბოლო შეხვედრაა და ეს წელიწადი კარგად უნდა დავასრულოთ".*

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონერი

### გამარჯვება სირაძის გოლით

რუსეთის პირველ დივიზიონში ნალჩიკის "სპარტაკმა" **ომარ თეთრაძის** მიერ განვრთნილ "ხიმკის" უმასპინძლა და **დავით სირაძის** გოლით 1:0 დაამარცხა. ქართველმა ფორვარდმა თავი 54-ე წუთზე გამოიჩინა. სირაძემ 70-ე წუთამდე ითამაშა, "ხიმკის" ქართველმა ნახევარმცველმა **ლევან გვაზავამ** კი მოედანზე 90 წუთი გაატარა.

"სპარტაკი" პირველ დივიზიონში დღეისთვის მეოთხე ადგილზეა, "ხიმკი" კი – უკანასკნელზე.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სამწვრთნელო საკითხი



კახა ჭუმბურიძე

# საბურთალომ მწვრთნელები ვიტესში გაუშვა

**საფეხბურთო კლუბ "საბურთალოს" ორი წელია, მერაბ ჟორდანიას არნემის "ვიტესთან" პარტნიორული ურთიერთობები აკავშირებს და ამის შედეგი იყო, კლუბში აღზრდილები გიორგი ჭანტურია და ვაკო ყაზაიშვილი ამ ჰოლანდიურ გუნდში რომ მოხვდნენ.**

და აი, საფეხბურთო კლუბ "საბურთალოსა" და "ვიტესის" პარტნიორობის კიდევ ერთი შედეგი: ჰოლანდიაში სტაჟირებაზე ჩვენთვის კარგად ნაცნობი სპეციალისტები – გორის "დილასა" და "ზესტაფონის" ყოფილი მთავარი მწვრთნელები, **თემურ შალამბერიძე და გია ჭიაბრიშვილი** გაემგზავრნენ.

*"ჩვენი კლუბისა და "ვიტესის" პრეზიდენტის, მერაბ ჟორდანიას თანამშრომლობის შედეგად, არნემულ კლუბში უკვე "საბურთალოს" ორი გაზრდილი თამაშობს. მერაბი მზად არის, საქართველოს ყველანაირად დაეხმაროს და მათ შორის, მწვრთნელთა გადამზადებითაც. შალამბერიძე და ჭიაბრიშვილი უკვე გამოცდილი და ცნობილი სპეციალისტები არიან, მაგრამ სწავლა არ ეთაკილებათ, პირიქით, სურთ, რაც შეიძლება მეტი ცოდნა შეიძინონ და კიდევ უფრო გაიზარდონ. ჰოლანდიაში ისინი 10-დღიან სტაჟირებაზე გავუშვით. თემური და გია არნემში დაესწრებიან "ვიტესისა" და კლუბის საფეხბურთო სკოლის ვარჯიშებს, საკლუბო სტრუქტურას, ფეხბურთელთა მომზადებისა და გაზრდის მეთოდიკას. ჰოლანდიას ერთ-ერთი საუკეთესო სამწვრთნელო სკოლა აქვს და მისი გაცნობა ჩვენ ნამდვილად არ გვაწყენდა.*

*ჰოლანდიაში გიორგი დევდარიანის გამგზავრებაც იგეგმებოდა, მაგრამ ახლა მისი ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის ემზადება და გამგზავრებას ფიზიკურად ვერ ახერხებს"* – გვითხრა "საბურთალოს" გენერალურმა დირექტორმა **კახა ჭუმბურიძემ**.

მან კიდევ ერთი საინტერესო ამბავი გაგვანდო: *"ჩვენს საფეხბურთო სკოლაში მწვრთნელთა კვალიფიკაციას უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ. „საბურთალოში" ბევრ ცნობილ სპეციალისტს უმუშავია, ბევრი ახლაც მუშაობს: გია გეგუჩაძე, გიორგი დევდარიანი, გია ცეცაძე, თემურ შალამბერიძე, გია ჭიაბრიშვილი, ზაზა ზამთარაძე, თემურ ფოცხვერია, დავით კევლიშვილი, მამუკა მინაშვილი, ნოდარ ჭელიძე, გიორგი მიქაძე...*

*ძლიერი თაობების გასაზრდელად, გვსურს, რაც შეიძლება კვალიფიციური სპეციალისტები მოვიზიდოთ. შალამბერიძე ჩვენთან მუშაობდა, სანამ "დილას" ჩაიბარებდა, ჭიაბრიშვილმა კი მუშაობა ჩვენთან დაიწყო და გეგუჩაძემ აქედან წაიყვანა "გაგრაში", შემდეგ კი "ზესტაფონში". პირველი უკვე დაგვიბრუნდა და ჩვენი მთავარი მწვრთნელი გახდა. სურვილი გვაქვს, "საბურთალოსთან" ჭიაბრიშვილმაც ითანამშრომლოს.*

*საქმე ისაა, რომ შორსმიმავალი გეგმები გვაქვს, მომავალ წელს პირველ ლიგაში საკუთარი კლუბით გამოსვლას ვაპირებთ და საამისოდ, მწვრთნელთა გაზრდა და აქედანვე მომზადება აუცილებლად გვჭირდება".*

*დაბოლოს: "საბურთალოს" ხელმძღვანელობამ სამედიცინო უნივერსიტეტის სტადიონის "ბენდელაზე" განახლება და კეთილმოწყობა შარშან დაასრულა, სადაც მშვენიერი ხელოვნურსაფარიანი მოედანი, მოწესრიგებული ტრიბუნები, გასახდელები, საშხაპეები და საუკეთესო პირობებია.*

*შარშან "ბენდელაზე" საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა, სადაც "ვიტესის" 1997 წელს დაბადებულებმაც ითამაშეს.*

*"ფოლკსვაგენის" თასის გათამაშება წლეულსაც გაიმართება და "ვიტესი" კვლავ მოვიწვიეთ. ამჯერად მხოლოდ ეს წყდება - ტურნირს 1996 წელს დაბადებულთა შორის ჩავატარებთ თუ 1997-წლიანებში, ჰოლანდიელების ჩამოსვლა კი გადაწყვეტილია. ითამაშებენ ქართული კლუბები და შესაძლოა, სტუმრები სომხეთიდანაც გვყავდეს"* – გვითხრა ჭუმბურიძემ.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ ჯონი შეროზიასთან

# საიმედო მეკარე და ერთგული მერანელი

**22 წლის ჯონი შეროზია "მერანში" უკვე 5 წელია თამაშობს. ამ ხნის განმავლობაში მან მარტვილელი გულშემატკივრების განსაკუთრებული სიყვარული დაიმსახურა.**

**შეროზია გადახალისებული და გაახალგაზრდავებული "მერანის" ერთ-ერთი ლიდერია. მერანელები მიმდინარე ჩემპიონატში არასტაბილურად ასპარეზობენ, თუმცა ბოლო პერიოდში ახალგაზრდა მეკარე ჩინებულად გამოიყურება, შედეგად, "ლელოს" სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა. ჯონი შეროზიას განვლილ მატჩებზე და მომავალ დაპირისპირებებზე ვესაუბრეთ.**



**- რის ხარჯზე შეძლო ბოლო ტურში "მერანმა" "კოლხეთის" დამარცხება?**

- "მერანი" უმაღლეს ლიგაში აღზევების დღიდან ნებისმიერ მეტოქესთან ბოლომდე იბრძვის, არც უკანასკნელი შეხვედრა ყოფილა ამ მხრივ გამონაკლისი. ფოთში საკმაოდ კარგად ვითამაშეთ, შევქმენით უამრავი მომენტი, მაგრამ მხოლოდ ერთის გამოყენება შევძელით. "კოლხეთს" ამ ტურამდე გამარჯვება არ ჰქონდა, ამიტომაც თავიდანვე ცხადი იყო, რომ ისინი გამარჯვებისათვის იბრძოლებდნენ. რთული თამაში გამოვიდა, საბედნიეროდ ჩვენთვის ყველაფერი კარგად დასრულდა და მნიშვნელოვანი სამი ქულა მოვიპოვეთ. ბოლო წუთებზე ტრვმაც მივიღე, თუმცა სერიოზული არაფერია და მომდევნო შეხვედრაში აუცილებლად ვითამაშებ.

**- რომელი მატჩი იყო წლევანდელ სეზონში თქვენი გუნდისთვის საუკეთესო?**

- გამოვყოფდი "ჩიხურასთან" საშინაო გამარჯვებას. საჩხერელებმა ხომ სწორედ ჩვენთან იგემეს მარცხის გემო. მაღალი მიზნებისათვის მებრძოლი გუნდის დამარცხებით, კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, რომ არაფერს დავთმობთ უბრძოლველად.

**- "ზუგდიდთან" "მეგრულ დერბიში" ყველა "მერანის" არწაგებას ელოდა...**

- "ზუგდიდთან" წაგება მთლიანად გუნდისათვის ძალიან მოულოდნელი და დასანანი იყო. აღნიშნული მატჩი შეიძლება ორ ნაწილად დავყოთ: პირველი ტაიმი ჩვენი უპირატესობით წარიმართა, ბურთიც გავიტანეთ, თუმცა მეორე ნახევარში სწრაფმა გოლმა მოედანზე სიტუაცია აბსოლუტურად შეცვალა: ბიჭები დავიბენით და სამწუხარო მარცხიც ვიწვნიეთ. არადა, "ზუგდიდთან" მინიმუმ ფრეს ვიმსახურებდით.

**- იქნებ გაავლოთ პარალელი შარშანდელ და წლევანდელ "მერანს" შორის, რას იტყვით ახალწვეულებზე?**

- შარშან ძალიან ძლიერი გუნდი გვყავდა. ბიჭებმა ერთმანეთთან დიდი ხანი დავყავით და შესაბამისად, კარგადაც ვიყავით შეთამაშებულები. ანზორ სუხიაშვილის, ელგუჯა გრიგალაშვილის, გიორგი მანწკავას, თორნიკე კაკუშაძისა და მუნინი ტაპეს წასვლამ ჩვენს გუნდზე მნიშვნელოვნად იმოქმედა. ფაქტობრივად, მალხაზ ჟვანია ახალი გუნდის შენებას შეუდგა, ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი მოიყვანა. ასე რომ, ცოტა დრო უნდა და შედეგიც აუცილებლად იქნება.

**- ზედა ექვსეულში მოხვედრის რა შანსები აქვს "მერანს"?**

- ჩვენი მიზანი რთული და ამავე დროს რეალურია: "მერანი" საუკეთესო ექვსეულში უნდა მოხვდეს. დამერწმუნეთ, ამ საქმის შესასრულებლად, თითოეული მერანელი ყველაფერს გაიღებს.

**- წინ "დინამოსთან" მატჩი გელით...**

- თბილისელებს ტრადიციულად ძალიან ძლიერი ფეხბურთელები და კარგი მწვრთნელი ჰყავთ. ცხრილსაც დამსახურებულად ლიდერობენ, საინტერესო თამაში გველოდება.

გასულ სეზონში მარტვილში "დინამო" უკვე დავამარცხეთ. რატომ არ შეიძლება იგივე ახლაც გავიმეოროთ? იმის მიუხედავად, რომ გუნდში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა, ბოლომდე ვიბრძოლებთ, ჩვენს თამაშს ვითამაშებთ და ვეცდებით, სასურველი შედეგით დავასრულოთ აღნიშნული შეხვედრა. ამაში, ადგილობრივი გულშემატკივარიც დაგვეხმარება.

**- უკვე მეორე სეზონია, რაც გივი დიდავა თქვენი თანაგუნდელია, რას სწავლობთ მისგან?**

- გივი თითოეული ფეხბურთელისთვის მისაბაძი პიროვნებაა. როცა მის გვერდით თამაშობ, ეს უდიდესი პასუხისმგებლობაცაა და სიამოვნებაც. ის მთელი მატჩის განმავლობაში თავდაუზოგავად იბრძვის მოედანზე, ამით მაგალითს აძლევს ახალგაზრდა ფეხბურთელებს, თუ როგორი უნდა იყვნენ სტადიონზე და ზოგადად ცხოვრებაში.

**- თქვენი აზრით, რომელი მეკარეა მსოფლიოში საუკეთესო?**

- პირადად, ყველას პიტერ ჩეხი მირჩევნია. გარდა იმისა, რომ ორივე ფეხით შესანიშნად თამაშობს, არასოდეს კარგავს დროსა და სივრცეს.

**- ხართ თუ არა კმაყოფილი მარტვილში არსებული პირობებით?**

- უკვე 5 წელია, რაც აქ ვარ. ძალიან შევეჩვიე მარტვილს და მარტვილელებს. მათგან ვგრძნობ სითბოსა და ყურადღებას. რაც შეეხება ფინანსურ საკითხებს, ხელფასსა და პრემიებს დროულად გვაძლევენ. დაგეგმილია სიახლეებიც, იმედია, ყველაფერი კარგად იქნება.

**ბესიკ გვაზავა**

# ქართული ფეხბურთი

## საკონტროლო მატჩი

# ზღვისპირული დერბი ფოთელებმა მოიგეს

სანაკრებო პაუზით ფოთის "კოლხეთმა" და ბათუმის "დინამომაც" ისარგებლეს და ერთმანეთს ქობულეთში ამხანაგურად გაეჯიბრნენ. სპარინგი ფოთელთა გამარჯვებით დასრულდა, რომლის შემადგენლობიდანაც თავი **კვანტალიანმა** (მე-20 წუთზე) და **ქებაძემ** (მე-40 წუთზე) გამოიჩინეს, ბათუმელთა მხრიდან კი ერთადერთი ბურთი 73-ე წუთზე **თევდორაძემ** გაიტანა.

როგორც ფოთელთა პრესსამსახურმა გვაცნობა, "კოლხეთმა" ამ შემადგენლობით ითამაშა: **ხარშილაძე, ზ. ჩხეტიანი, ცხვიტარია, ფარულავა, ქორჩილავა, ცხადაია, ქებაძე, კრასოვსკი, მოსიაშვილი, კვანტალიანი, პავლიაშვილი.**

შეცვლაზე შევიდნენ: **კახიძე, გაბუნია, ბარამიძე, ხომასურიძე, სარსანია, ბუხაიძე, ლუქაშვილი.**

შეგახსენებთ, მიმდინარე ჩემპიონატში "კოლხეთს" ჯერ გამარჯვება არ უზეიმია და 3 ქულით ბოლო ადგილზეა, ბათუმის "დინამოს" კი 8 ქულა აქვს და მე-9 პოზიციაზე იმყოფება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ფუტსალი



# უმასპინძლებს თბილისი ოთხთა ფინალს?

"იბერია სტარი" ფუტსალში უეფას თასის ოთხთა ფინალში ითამაშებს. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ჩვენი კლუბი ევროპის საუკეთესოთა შორის პირველად მოხვდა.

უკვე ცნობილია, საქართველოს ჩემპიონი ვის შეეცილება უეფას თასს: ელიტ-რაუნდის დანარჩენ სამ ჯგუფში გაიმარჯვეს „ბარსელონამ" (A ჯგუფი), ყაზახურმა „კაირათმა" (B) და მოსკოვის „დინამომ" (C).

საერთოდ, ბოლო წლებია, ევროპულ ფუტსალში პოსტსაბჭოელების დომინანტობა აშკარა გახდა. თუმცა, „კაირათისა" და მოსკოვის „დინამოს" წარმატება უკვე დაგეგმილიც იყო და მათი წარმატება არავის აკვირვებს, მაგრამ პოზიციები დათმო აზერბაიჯანულმა ფუტსალმა და მის ადგილს ჩვენი ჩემპიონი იკავებს. არადა, ჩვენს მეზობლებს "იბერიაზე" ბევრად მეტი ფინანსები გააჩნიათ.

ახლა მთავარზე: ლისაბონის "ბენფიკასთან" გამარჯვების შემდეგ, საქართველოს ჩემპიონის პრეზიდენტმა **ვახო წერეთელმა** გვითხრა, რომ "იბერია" ფინალური ოთხეულის მასპინძლობის უფლების მოპოვებასაც შეეცდება, რადგან თბილისს სავსებით რეალური შანსი გააჩნიაო.

თუმცა, არის მეორე მტკივნეული საკითხი: ოთხთა ფინალში ერთდროულად მოხვდნენ ერთმანეთთან დაძაბული ურთიერთობის მქონე ორი ქვეყნის, საქართველოსა და რუსეთის ჩემპიონები. ჩვენთვის გაცილებით სასურველი იყო, რომ C ჯგუფში ესპანურ "მურსიას" გაემარჯვა. მაგრამ ბოლო ტურში მოსკოვის "დინამომ" უშუალო კონკურენტი 4:2 დაამარცხა და ოთხთა ფინალის თბილისში ჩატარების ალბათობა მნიშვნელოვნად შემცირდა.

ეს იმიტომ, რომ უეფა ცდილობს, ქართული გუნდი რუსეთში არ ჩაიყვანოს და პირიქით. მოგეხსენებათ, ასეა სპორტის ყველა სხვა სახეობაში და ბოლო წლებში, ჩვენს კლუბებს რუსებთან არც უთამაშიათ. ამიტომ გვსურდა ესპანელთა გამარჯვება, რადგან ამ შემთხვევაში, თბილისის კანდიდატურას ოთხთა ფინალის მასპინძლობაზე უეფაში მხარდაჭერა ექნებოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, კონკრეტულმა გარემოებებმა ვითარება შეცვალა...

*"ამ პრობლემების მიუხედავად, თბილისის კანდიდატურა გამორიცხული ნამდვილად არ არის. ამის შესახებ თბილისში მყოფმა უეფას წარმომადგენლებმაც და კიდევ სხვა კომპეტენტურმა პირებმაც გვითხრეს. ეს ადამიანები გვაიმედებენ, რომ ძალიან დიდი ალბათობით, რუსეთთან პოლიტიკური დაძაბულობა ხელს არ შეგვიშლის, რომ ეს უფლება მოვიპოვოთ. მეტსაც გეტყვით, საჩვენოდ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი ამოქმედდა და შესაძლოა, ყველაზე რეალური სწორედ თბილისისა და მოსკოვის კანდიდატურები გახდეს. საქმე ისაა, რომ 2011 წელს ოთხთა ფინალს ერთ-ერთმა ამჟამინდელმა მონაწილემ, "კაირათმა" უმასპინძლა, 2012-ში კი მეორემ - "ბარსელონამ", უეფა კი ზედიზედ არც ერთ კლუბს ასეთ უპირატესობას არ მისცემს. ჩემი აზრით, ბარსელონასა და ალმათის ვარიანტები სწორედ ამიტომ გამოირიცხება. ამავე დროს, თბილისში ელიტ რაუნდის ორგანიზაციამ უეფა დააკმაყოფილა და მადლობა გადაგვიხადა. მოკლედ, უეფას გადაწყვეტილება მალე გვეცოდინება და იმედია, ის ჩვენ გაგვახარებს"* – გვითხრა "იბერია სტარის" მენეჯერმა გიორგი დარჯანიამ.

**მერაბ მამულაშვილი**

## თანამშრომლობა

# სპონსორობა გრძელდება

უკვე ორი წელია, რაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და აზერბაიჯანული ნავთობკომპანია წარმატებით თანამშრომლობენ. კომპანია სოფს-სა და საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის გენერალური სპონსორია, "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი" კი, ისევე როგორც გასულ სეზონში, წლეულსაც ეროვნული ჩემპიონატის კლუბების საწვავით მომარაგებას უზრუნველყოფს.

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, კომპანია დათანხმდა, რომ 2012-2013 წლის საფეხბურთო სეზონში კვლავ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გენერალურ სპონსორად დარჩეს.

ფეხბურთის ფედერაციასა და კომპანიას შორის გაფორმებული სასპონსორო ხელშეკრულების შესაბამისად, ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის თორმეტივე კლუბს უკვე გადაეცა ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი ეტაპისათვის საჭირო საწვავი. შესაძლოა, მსგავსი დახმარება უმაღლესი ლიგის ლიდერებს ჯერ სჭირდებოდათ, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი კლუბია, რომელთათვისაც ასეთი თანადგომა სჭირდებოდათ და დროულიც იყო.

**მერაბ მამულაშვილი**

## პირველი ლიგა, VIII ტური

### A ჯგუფი

**დინამო 2 – ბეთლემი 9:0**

12. 10. თბილისი. დიღმის საწვრთნელი ბაზა. 100 მაყურებელი

1:0 ნ. კვეკვესკირი (10), 2:0, 3:0 ბ. რუხაძე (23, 26), 4:0 ვ. მათიაშვილი (26), 5:0 ნ. კვეკვესკირი (54), 6:0 ი. ნაჭყებია (56, საკუთარ კარში), 7:0, კ. გაბაშვილი (57), 8:0 ჭ. ჭეჭელაშვილი (74), 9:0 გ. პაპავა (90).

დინამო-2: ლ. ტყეშელაშვილი, ა. ტვილდიანი, თ. კაკულია, ს. გურეშიძე, გ. გაგნიძე, ნ. კვეკვესკირი (57. ჭ. ჭეჭელაშვილი), ლ. პარუნაშვილი, გ. პაპავა, გ. პაპუნაშვილი (46. კ. გაბაშვილი), ბ. რუხაძე, ვ. მათიაშვილი (65. ბ. ზივზივაძე)

*სათადარიგოები:* ტ. ხაინდრავა, ლ. საბაძე, ა. სარიშვილი

მწვრთნელი: რ. მუმლაძე

ბეთლემი: ლ. ბექთაშევი (46. ზ. სეიდიდი), კ. ქაცარავა, გ. ხაჩიძე, ვ. კუნჭულია, ი. ჩხაიძე, ი. ნაჭყებია (57. ზ. კეკელიძე), ვ. დარჩიძე, დ. ჯალაღანია, გ. კახიანი, ი. ბარამიძე, გ. ქობალია (52. მ. დავითაძე)

*სათადარიგო:* თ. თედორაძე

მწვრთნელი: ე. კაკაბაძე

გაფრთხილება: გ. ხაჩიძე

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

**სულორი – მეშახტე 2:2**

13. 08. ვანი. „გ. ნიკოლეიშვილი". 200 მაყურებელი

0:1 ლ. შავგულიძე (58), 1:1 თ. ძაგნიძე (60), 2:1 გ. ნიკოლეიშვილი (65), 2:2 ჯ. ავალიშვილი (87)

სულორი: დ. ოდიშარია, ლ. გაბუნია, გ. ბრეგვაძე (75. ზ. ენდელაძე), დ. ივანიაძე, თ. სანიკიძე, თ. ძაგნიძე (72. ა. ქებულაძე), თ. მაღლაკელიძე, გ. ნიკოლეიშვილი, შ. ბაბუნაშვილი, ბ. ბელქანია, ბ. სულაბერიძე

*სათადარიგოები:* გ. გიგაშვილი, მ. დვალიშვილი, ნიკა გიორგაძე, ნოდარ გიორგაძე, შ. ღვინიანიძე.

მწვრთნელი: რ. ბურკაძე

მეშახტე: ი. ორბელაძე, ი. გვეტაძე, ლ. შავგულიძე, ნ. უგრეხელიძე, მ. კოპალიანი, ლ. ხოხონიშვილი, მ. მაკარაშვილი, თ. ჭელიძე, ბ. კოლუაშვილი, ი. მოისწრაფიშვილი, ჯ. ავალიშვილი

*სათადარიგოები:* გ. ბერძენაძე, ლ. მაჩალაძე, თ. გოგიჩაძე

მწვრთნელი: დ. რუხაძე

გაფრთხილება: თ. ძაგნიძე, გ. ნიკოლეიშვილი; ბ. კოლუაშვილი

არბიტრი: ჯ. ბუიშვილი

**იმერეთი – სტუ 1:0**

13. 10. ხონი. ცენტრალური. 100 მაყურებელი

1:0 ლ. გაჩეჩილაძე (86)

იმერეთი: ს. მეძველია, ვ. ბრეგაძე, გ. ხელაძე, ლ. გაჩეჩილაძე, დ. ხაბურზანია (71. დ. სვანაძე), დ. გოდერიძე, გ. გოდერიძე, დ. კუხალაშვილი, გ. ხვიჩია (62. ზ. სადილიანი), დ. სულაბერიძე (46. ნ. ჩიხლაძე), გ. მანაგაძე

*სათადარიგოები:* ა. ტყეშელაშვილი, მ. აშვეთია, თ. ვაშაკიძე, გ. ნიქაბაძე

მწვრთნელი: დ. ჭელიძე

სტუ: დ. მეფარიძე, ნ. ბინკინაშვილი, ზ. ჭავჭავაძე, დ. ქიმერიძე, გ. ბიბილეიშვილი, ო. გაგნიძე (77. ა. გოდუაძე), ი. გოგატიშვილი, შ. გვაზავა, ა. ბაგაშვილი, გ. გოგატიშვილი (84. ლ. ციკოლია), ი. ფიფია (65. კ. კახაბრიშვილი).

*სათადარიგოები:* ა. აბულაძე, ჯ. კოლუა, დ. კობრეიძე, გ. არახამია

მწვრთნელი: გ. ჟორჟოლიანი

გაფრთხილება: გ. ხელაძე; ი. ფიფია, გ. ბიბილეიშვილი, ი. გოგატიშვილი, ნ. ბინკინაშვილი

გაძევება: გ. ბიბილეიშვილი

არბიტრი: გ. დოგრაშვილი

**გურია – საცხო 1:0**

13. 10. ლანჩხუთი. „ე. შევარდნაძე". 200 მაყურებელი

1:0 ა. გოგობერიშვილი (59, პენალტით)

გურია: გ. ძაძამია, ა. ჩუენსუ, გ. მაჩაიძე, დ. შენირული, დ. მაისაშვილი, ა. გოგობერიშვილი, ლ. ვართაგავა, ტ. კუკულაძე (81. გ. ჭეიშვილი), ა. შენგელია (62. დ. რაფავა), გ. თოდუა (90. ჯ. გოგიბერიძე), გ. კვერენჩხილაძე

*სათადარიგოები:* მ. გოგუაძე, რ. კუკულაძე, ა. ლალაძე, ლ. იაშვილი

მწვრთნელი: თ. ლორია

საცხო: ა. ნონოსი, დ. აბესაძე (31. გ. პაპუნაშვილი), ჯ. იამანიძე, კ. ახალაია (70. თ. ქორჩილავა), შ. ფირუზაშვილი, ო. ჩაფიძე, გ. არახამია (65. ი. ქავთარაძე), ბ ქარდავა, ზ. ქარდავა, გ. ჩუბინიძე, გ. ქვილითაია

*სათადარიგოები:* თ. მოგელაძე, თ. გაფრინდაშვილი, დ. ცქიტიშვილი

მწვრთნელი: თ. კაცია

გაფრთხილება: დ. მაისაშვილი, ა. გოგობერიშვილი, ლ. ვართაგავა; დ. აბესაძე, გ. ქვილითაია, ა. ნონოსი, გ. არახამია, ზ. ქარდავა, ო. ჩაფიძე

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

**რაჭა – სქური 1:2**

13.10. ონი. ცენტრალური. 200 მაყურებელი

0:1 ლ. ბოჯგუა (12), 1:1 ლ. ჯანგიძე (59), 1:2 გ. კვირკვია (74)

რაჭა: ნ. ჯოხაძე, ი. ვეკუა, მ. კორსანტია, გ. შარაბიძე (80. ლ. ნეფარიძე), ლ. ჯანგიძე, ი. ჭანკვეტაძე, გ. ბაგალიშვილი, ვ. ჭაბუკიანი, ა. გურაბანიძე (75. ლ. მეტონიძე), ლ. მიქაბერიძე, გ. მარგიანი

*სათადარიგოები:* ი. ხვედელიძე, კ. გოგრიჭიანი, თ. კოხრეიძე

მწვრთნელი: ე. ჩიტალაძე

სქური: ნ. ჯოლოგუა, ი. ფაცაცია, ჯ. ყურუა, ა. მიქენაია, გ. შელია, ზ. ლარიბაშვილი, რ. ცობეხია (73. გ. კვირკვია), თ. ფურთუხია (64. რ. ჩიტაია), გ. გაბუნია, ლ. ბოჯგუა (90. ნ. ღვინჯილია), გ. სართანია

*სათადარიგოები:* ვ. შეროზია, ტ. ხარჩილავა, ნ. არახამია, ი. ქარდავა

მწვრთნელი: ნ. ბოჯგუა

გაფრთხილება: ი. ჭანკვეტაძე, ი. ვეკუა; ნ. ჯოლოგუა, რ. ჩიტაია

არბიტრი: ი. კვირიკაშვილი

**ჭიათურა – გაგრა 0:1**

13. 10. ჭიათურა. „თ. მაღრაძე". 500 მაყურებელი

0:1 ნ. ჭკუასელი (64)

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი, თ. ხარებავა, გ. მეცხოვრიშვილი, ლ. ცუცქირიძე, მ. ბრეგვაძე, ი. კილაძე, ლ. მაჩაიძე (82. ბ. ჭუმბურიძე), გ. სამყურაშვილი (62. თ. ჯაჯანიძე), იაკობ დეისაძე, იაგო დეისაძე, დ. სევასტოპულო

*სათადარიგოები:* ა. ბაბლიძე, დ. მოდებაძე, ლ. კუჭაშვილი, ნ. ბაირამოვი, ზ. ჯაფარიძე

მწვრთნელი: მ. კიპაროიძე

გაგრა: გ. ბეგაშვილი, ი. ხუციძე, გ. პაჭკორია, ლ. კალანდაძე, გ. ჯგერენაია, გ. ფალავანდიშვილი, ა. ივანიშვილი, თ. ჟიშკარიანი (81. ბ. ხოჯანაშვილი), გ. ერისთავი (54. ლ. ჩიფჩიური), ნ. ჭკუასელი, ბ. ტეიდი

*სათადარიგოები:* ა. ადამია, ი. ლერკენაშვილი, რ. წანკრიალაშვილი, ს. მალანია

მწვრთნელი: ზ. ჯელაძე

გაფრთხილება: ლ. ცუცქირიძე; ლ. კალანდაძე, ბ. ტეიდი

არბიტრი: ლ. სილაგავა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გურია | 8 | 7 | 0 | 1 | 21-5 | 21 |
| 2. გაგრა | 8 | 6 | 0 | 2 | 19-4 | 18 |
| 3. საცხო | 8 | 6 | 0 | 2 | 23-10 | 18 |
| 4. სტუ | 8 | 5 | 0 | 3 | 18-14 | 15 |
| 5. იმერეთი | 7 | 4 | 1 | 2 | 9-9 | 13 |
| 6. დინამო 2 | 7 | 3 | 2 | 2 | 28-14 | 11 |
| 7. სქური | 8 | 3 | 2 | 3 | 8-12 | 11 |
| 8. ჭიათურა | 8 | 2 | 1 | 5 | 10-16 | 7 |
| 9. ბეთლემი | 8 | 2 | 1 | 5 | 9-19 | 7 |
| 10. სულორი | 8 | 2 | 1 | 5 | 5-17 | 7 |
| 11. მეშახტე | 8 | 1 | 2 | 5 | 9-25 | 5 |
| 12. რაჭა | 8 | 0 | 2 | 6 | 8-22 | 2 |

**მომდევნო ტური. 18 ოქტომბერი**

სქური – გურია
საცხო – ჭიათურა
ბეთლემი – რაჭა
მეშახტე – იმერეთი
გაგრა – სულორი

**19 ოქტომბერი**

სტუ – დინამო-2

### B ჯგუფი

**სამტრედია – მერცხალი 1:0**

14. 10. სამტრედია „ე. მანჯგალაძე". 200 მაყურებელი

1:0 დ. სამსეიშვილი (71)

სამტრედია: დ. კეკელიძე, ა. კუპრეიშვილი (72. ა. თელია), ს. გოგია, დ. სამსეიშვილი, დ. ჩხიკვაძე, ბ. გედენიძე, მ. ჟვანია, ლ. ხაჭაპურიძე, გ. მელქაძე, შ. კერძევაძე (46. ზ. ხაჭიპერაძე), მ. როსტიაშვილი (61. გ. ბოხუა)

მერცხალი: გია გოგუა, თ. ჩხატარაშვილი, ს. გ. ჩიგოგიძე, ვ. ტუტოიანი, ზ. ტულუში, ზ. ხურციძე (78. ი. ხეცურიანი), გ. მექვაბიშვილი (46. გ. კაშია), ს. ვ. ჩიგოგიძე, ლ. ათუაშვილი, გ. გოგუა (46. ლ. კოტრიკაძე), ი. ბაჯელიძე

*სათადარიგოები:* გ. პაპკოვი, ლ. კალაჯიშვილი

მწვრთნელი: ხ ჩხატარაშვილი

გაფრთხილება ი. ბაჯელიძე, ზ. ტულუში

არბიტრი: ო. ხეცაძე

**კოლხეთი (ხ) – ლოკომოტივი 1:0**

14. 10. ხობი. ცენტრალური. 500 მაყურებელი

1:0 ლ. ჯიქიძე (8)

კოლხეთი: ზ. გელაშვილი, გ. ქირია, გ. გოგენია, დ. ჭითანავა, ლ. გოგენია (78. კ. გოგენია), გ. ფარფალია, ვ. ფირცხელავა (70. გ. ჭაავა), ლ. მეფიშვილი, ლ. ჯიქიძე (85. გ. ლომაია), მ. ჭკადუა, დ. ციცხვაია

*სათადარიგოები:* ბ. ბუკია, ი. გერგაია, მ. ძიძიგური, თ. ლლონტი

მწვრთნელი: ბ. შეროზია

ლოკომოტივი: ბ. მიქავა, გ. გაბაძე (66. გ. გურეშიძე), ნ. ჭანტურია, გ. მაკასარაშვილი, დ. მიქავა, ა. გუგუშვილი, მ. ცინცაძე (85. ლ. კიკაბიძე), გ. ბაქრაძე (56. დ. დარცმელია), ე. სულთანიშვილი, ჯ. ყანჩაშვილი, დ. გუჯაბიძე

*სათადარიგოები:* დ. ლეგაშვილი, ა. მზევაშვილი, ლ. რეხვიაშვილი

მწვრთნელი: გ. სანაია

გაფრთხილება: ლ. გოგენია, გ. ფარფალია

გაძევება: დ. ციცხვაია

არბიტრი: ბ. ნინუა

**ჩხერიმელა – შუქურა 0:1**

13. 10. ხარაგაული. „ს. აბაშიძე". 100 მაყურებელი

0:1 გ. ჩელებაძე (68, პენალტით)

ჩხერიმელა: ი. კუჭუხიძე, ც. ხარებაძე, ა. ქაშაკაშვილი, ნ. ხარაბაძე, გ. ცაგარეიშვილი, თ. ლურსმანაშვილი (70. ო. ჩინჩალაძე), მ. თევდორაძე (46. ვ. ჭრელაშვილი), გ. მეტრეველი, ა. დოლონაძე, ო. გიორგობიანი, ბ. ახალაია (63. გ. ქათამაძე)

*სათადარიგოები:* თ. კიკნაძე, გ. კიკნაძე, გ. გ. თურმანიძე, ა. ლაბაძე

მწვრთნელი: მ. ხუნდაძე

შუქურა: თ. კაკალაძე, მ. ფუტკარაძე, ლ. მახარაძე, გ. ზოიძე, გ. გაბელია, ა. ლორია (46. მ. კოპალიანი), გ. ჩელებაძე, გ. ჩხიკვიშვილი, მ. კაკალაძე (83. ა. ბრაჭული), ლ. ჩაფიძე, ი. ტაკიძე.

*სათადარიგოები:* ა. გოგიტიძე, ლ. ანანიძე, ს. კვესიეშვილი, მ. ქათამაძე, ვ. ცენტერაძე

მწვრთნელი: ა. ბალაძე

გაფრთხილება: გ. მეტრეველი, ა. დოლონაძე; გ. ჩელებაძე, ლ. ჩაფიძე

არბიტრი: ნ. გაგნიძე

**ადელი – სპარტაკი 1:4**

12 10. ბათუმი. ადელი. 100 მაყურებელი

0:1 ვ. კილასონია (19), 0:2 დ. გელაშვილი (38), 0:3 ვ. კილასონია (44), 0:4 ზ. მეტრეველი (48), 1:4 გ. სირაბიძე (77)

ადელი: შერვაშიძე, ნ. წულუკიძე, გ. ყაველაშვილი (46. ზ. კონცელიძე), ი. ჰაადი, ვ. სორდია, გ. ქოქოლაძე, ნ. დავითაძე, ა. ფარტენაძე, თ. ხაბელაშვილი (46. ი. ღოლობერიძე), ლ. კოშაძე (46. დ. რუხაია), გ. სირაბიძე

მწვრთნელი: ო. ნაგერვაძე

სპარტაკი: გ. ნადირაძე, ლ. ჭაფოძე, ლ. თვალავაძე, ლ. ქურდაძე, გ. ლემონჯავა, თ. თუხარელი (65. გ. ჭოხონელიძე), უ. ბურძენაძე (82. გ. ზვიადაძე), თ. შონია, ვ. კილასონია, დ. გელაშვილი, ზ. მეტრეველი (59. თ. მაქაცარია)

მწვრთნელი: ვ. ხაჩიძე

გაფრთხილება: გ. ყაველაშვილი

არბიტრი: დ. სანოძე

**ზოოვეტი – სამგურალი 1:1**

აეტი – ლიახვი გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტაკი | 8 | 7 | 0 | 1 | 21-3 | 21 |
| 2. კოლხეთი (ხ) | 8 | 7 | 0 | 1 | 15-9 | 21 |
| 3. სსამტრედია | 8 | 5 | 1 | 2 | 11-6 | 16 |
| 4. სამგურალი | 8 | 4 | 2 | 2 | 17-10 | 14 |
| 5. ლოკომოტივი | 8 | 4 | 2 | 2 | 15-9 | 14 |
| 6. შუქურა | 8 | 4 | 1 | 3 | 12-7 | 13 |
| 7. ზოოვეტი | 8 | 3 | 2 | 3 | 15-12 | 11 |
| 8. ჩხერიმელა | 8 | 3 | 0 | 5 | 10-12 | 9 |
| 9. მერცხალი | 8 | 2 | 2 | 4 | 9-13 | 8 |
| 10. ადელი | 8 | 2 | 0 | 6 | 10-21 | 6 |
| 11. ლიახვი | 7 | 1 | 0 | 6 | 4-21 | 3 |
| 12. აეტი | 7 | 0 | 0 | 7 | 6-22 | 0 |

**მომდევნო ტური. 19 ოქტომბერი**

სამგურალი – სამტრედია
ლიახვი – ზოოვეტი
სპარტაკი – აეტი
შუქურა – ადელი
ლოკომოტივი – ჩხერიმელა
მერცხალი – კოლხეთი (ხ)

## II ლიგა

აღმოსავლეთი ზონა
VII ტური

| | |
|---|---|
| ლაგოდეხი – აბული | 0:0 |
| საცხო-2 – ივერია | 2:3 |
| ლიახვი-2 – ფარავანი | 3:0 |
| სპარტაკი-2 – ძართლი-2011 | 1:2 |
| საქ. უნივერსიტეტი – ალგეთი XXI | 3:0 |
| იუსი ბესტი – იბერია | 7:1 |
| დუშეთი – გაგრა-2 | 6:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ძართლი-2011 | 7 | 7 | 0 | 0 | 26-2 | 21 |
| 2. იუსი ბესტი | 7 | 5 | 1 | 1 | 31-10 | 16 |
| 3. ივერია | 7 | 5 | 0 | 2 | 23-14 | 15 |
| 4. დუშეთი | 6 | 4 | 0 | 2 | 18-8 | 12 |
| 5. საქ. უნივერსიტ. | 6 | 4 | 0 | 2 | 17-8 | 12 |
| 6. სპარტაკი-2 | 7 | 4 | 0 | 3 | 18-13 | 12 |
| 7. გაგრა-2 | 7 | 3 | 1 | 3 | 15-16 | 10 |
| 8. აბული | 7 | 2 | 3 | 2 | 10-14 | 9 |
| 9. ლიახვი-2 | 4 | 2 | 1 | 1 | 7-4 | 7 |
| 10. ლაგოდეხი | 7 | 2 | 1 | 4 | 12-20 | 7 |
| 11. ფარავანი | 7 | 2 | 0 | 5 | 4-15 | 6 |
| 12. იბერია | 6 | 1 | 1 | 4 | 7-23 | 4 |
| 13. ალგეთი-XXI | 7 | 1 | 0 | 6 | 8-21 | 3 |
| 14. საცხო-2 | 7 | 0 | 0 | 7 | 10-38 | 0 |

ინგლისის ნაკრები



ინგლისელებმა პარასკევს ძალიან კარგად ითამაშეს

# სამი ლომის მაჟორული ნოტი

პოლონეთისა და ინგლისის ნაკრებების მატჩისწინა მიმოხილვას ამავე ნომერში გაეცნობით. ჩვენ კი აქ მხოლოდ იმ სიტუაციის აღწერას შევეცდებით, რომელიც **როი ჰოჯსონის** გუნდში ბოლო დღეებია სუფევს. "სამი ლომის" სანვერთნელ ბანაკში სან-მარინოსთან ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ (მერე რა, რომ სან-მარინოა?) დიდებული განწყობაა გამეფებული. ფეხბურთელებს ჟურნალისტებთან საუბრისას თუ სოციალურ ქსელებში ერთმანეთი ქებით ცაში აჰყავთ. ამ მხრივ განსაკუთრებით "მანჩესტერ იუნაიტედის" წარმომადგენლები გამოირჩევიან. მაგალითად, მაიკლ კერიკს მიაჩნია, რომ **დენი უელბეკისთვის** ჩია სახელმწიფოს ნაკრებთან ნაჩვენები ფეხბურთი სულაც არ არის მაქსიმუმი და დროსთან თუ გამოცდილებასთან ერთად 21 წლის თავდამსხმელი უფრო მეტის გაკეთებას შეძლებს. "უელბეკის ტალანტის ნამდვილი თაყვანისმცემელი ვარ. ვაღიარებ, შესაძლოა, ცოტა მიკერძოებული ვიყო მის მიმართ, რადგან დენი "იუნაიტედშიც" ჩემი თანაგუნდელია. მისგან დიდი მწვერვალების დაპყრობას ველოდები. სან-მარინოსთან ის ფანტასტიკური იყო (უელბეკმა დუბლი და შედეგიანი საგოლე გადაცემა მიითვალა. რედ.). როცა ჩვენთან სათამაშოდ რობინ ვან პერსი მოვიდა, ძალიან ბევრმა იკითხა, კი, მაგრამ უელბეკს რა ელისო. შეკითხვაზე პასუხი თავად ფეხბურთელმა გასცა. ის დღემდე ჩვენი გუნდის განუყრელ ნაწილად რჩება. თუკი დენი ფეხბურთის თამაშს ასეთივე ალმაფრენით განაგრძობს, უდიდესი მომავალი ელის," – განაცხადა 31 წლის შუახაზელმა.

## იაგიელკას ამბიცია

"ევერტონის" ცენტრალურ მცველს, 30 წლის **ფილ იაგიელკას** ეროვნული გუნდიდან **ჯონ ტერის** წასვლამ ხელ-ფეხი გაუხსნაო, ნამდვილად ვერ ვიტყვით, მაგრამ ჰოჯსონის გუნდში დამკვიდრების მეტი შანსი რომ მისცა, ფაქტია. მერსისაიდელი მცველი ნაკრებში საკუთარ პერსპექტივებზე მსჯელობს: "ჯონმა საერთაშორისო კარიერა დაასრულა. ასე რომ, ორ ადგილზე ახლა სხვა ფეხბურთელები დავრჩით. გარი კეჰილმა სან მარინოსთან მაგრად ითამაშა, ჯოლეონ ლესკოტმა უმაღლეს დონეზე ჩაატარა ევროპის ჩემპიონატი, ამას გარდა არიან სხვა ბიჭებიც, მაგალითად რაიან შოუკროსი, კრის სმოლინგი. ძალიან მინდა, რომ ნაკრებში მუდმივი სათამაშო პრაქტიკა მქონდეს," - აცხადებს ფეხბურთელი, ვისაც "სამი ლომის" ღირსება აქამდე 15-ჯერ დაუცავს.

## შიშველი კაპიტანი

სან მარინოსთან შეხვედრის დასრულების შემდეგ ინგლისელთა დროებით კაპიტან **უეინ რუნის** სტუმრებმა არამარტო მაისურის, არამედ ტრუსების ჩუქებაც კი სთხოვეს. ერთადერთი, რის გაჩუქებაზეც 27 წლის ვარსკვლავმა უარი თქვა, კაპიტნის სამკლავური იყო. ფეხბურთელის თქმით, ეს ნივთი მას სამახსოვროდ სურს. "ჯერ ერთ მეტოქეს გავუცვალე მაისურა, შემდეგ მეორე მომიახლოვდა და ტრუსები მთხოვა. სხვა რა გზა იყო? ისიც ვაჩუქე... ცოტა გავოცდი, მსგავსი თხოვნით ჩემთვის აქამდე ჯერ არავის მოუმართავს," – განუცხადა რუნიმ "დეილი ტელეგრაფის" ჟურნალისტს.

ჩელსი

# ოცდაათი წლის პენსიონერები

## ეშლი კოულის ბოლო სიტყვა: მივდივარ

**ეშლი კოულსა** და "ჩელსის" შორის მიმდინარე მოლაპარაკებებზე არაერთხელ დავწერეთ და ამჯერად თავს აღარ შეგაწყენთ. გუშინ საბოლოოდ გაირკვა, რომ 31 წლის მარცხენა მცველი "სტემფორდ ბრიჯს" სეზონის დასრულებისთანავე დატოვებს. მან კატეგორიული უარი უთხრა კლუბს ახალ, ერთწლიან ხელშეკრულებაზე. ხანგრძლივობას თავი რომ დავანებოთ, მას ანაზღაურების შემცირებასაც სთავაზობდნენ. მოქმედი ხელშეკრულებით კოული კვირაში 130 ათასს იღებს. გაირკვა ისიც, რომ ვეტერანი პრემიერლიგაში დარჩენას არ აპირებს. ასე რომ, "პარი სენ-ჟერმენსა" და "რეალს" შეუძლიათ შეძლებული ინგლისელი კონკურენტების შიში აღარ ჰქონდეთ. თუ დააკვირდით, შეამჩნევდით, რომ აღნიშნულ კლუბებს "ჩელსის" ყოფილი მთავარი მწვრთნელები **ჟოზე მოურინიო** და **კარლო ანჩელოტი** უდგანან სათავეში. საიდან მოდის დაინტერესება, უკვე ცხადია.

"სიტუაცია ასეთია: კოული უკვე იანვარში შეძლებს მისით დაინტერესებული კლუბების შეთავაზებების განხილვას. ის ყველას გულდასმით გაეცნობა და მხოლოდ ამის მერე ჩაებმება მათთან უშუალოდ მოლაპარაკებებში. ახლა უკვე ცხადია, თუ რამ აიძულა დიდიე დროგბა ლონდონიდან წასულიყო. ახალშემოღებული წესის გამო, რომ 30 წლის ზემოთ ფეხბურთელს მხოლოდ ერთწლიანი კონტრაქტი ეკუთვნის, "ჩელსი" კოულისა და ლემპარდის დაკარგვის საფრთხის წინაშეც დგება. თუმცა ეს მათი გადასაწყვეტია," – აცხადებს ფეხბურთელის აგენტი. გარკვეული გაუგებრობაა უშუალოდ "კობჰემის" ოფისშიც. **რობერტო დი მატეოს** თქმით, ის ბოლომდე არ კარგავს იმედს, რომ დამსახურებულ ვეტერანებს შეინარჩუნებს. ერთია, რას ფიქრობს მწვრთნელი და მეორეა კლუბის ადმინისტრაციის პოზიცია. "მსგავს საკითხებს "ჩელსიში" მთავარი მწვრთნელი კი არა დირექტორატი წყვეტს. მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად ოპტიმისტურად არის განწყობილი დი მატეო. მხარეთა პოზიციები უკვე დიდი ხანია არ იცვლება და არ უნდა ველოდეთ, რომ სიტუაცია რადიკალურად შეიცვლება," – აცხადებს "ჩელსის" მაღალჩინოსანი, რომლის ვინაობას "დეილი მეილის" ჟურნალისტი არ ასახელებს.

## ანელკა ბრაზობს

"ჩელსის" ყოფილი თავდამსხმელი, 32 წლის **ნიკოლა ანელკა** ყოფილი კლუბის ხელმძღვანელობას აკრიტიკებს და მათ დამსახურებული ფეხბურთელების უპატივცემულობაში ადანაშაულებს. "ჩელსიში" ახლა უცნაური ვითარებაა. 30 წლის თუ ხარ, დაუფარავად გაგრძნობინებენ, რომ კი არ უნდა წახვიდე, უნდა ადგე და დაახვიო. აი, ასე, უხეშად," – ამბობს ფრანგი.



ეშლი კოული

პრემიერლიგა

# ინტერესთა შეჯახება

## ყველა თავის ტურნირს და შემოსავალს იცავს



პრემიერლიგის აღმასრულებელი დირექტორი რიჩარდ სკუდემორი

ინგლისის პროფესიული საფეხბურთო ლიგის (პრემიერლიგა) აღმასრულებელი დირექტორის **რიჩარდ სკუდემორის** თქმით, ის და მისი ორგანიზაცია ინგლისის ჩემპიონატში ზამთარში ხანმოკლე პაუზის შემოღების პერსპექტივას განიხილავენ. მან გულწრფელად განაცხადა, რეალური შანსი, რომ აღნიშნულ იდეას ხორცი შეესხას, მხოლოდ მას მერე გაჩნდება, რაც საფეხბურთო ასოციაცია ინგლისის თასის შეხვედრების გადათამაშებას გააუქმებს. მოგეხსენებათ, პირველი მატჩის ფრედ დასრულების შემდეგ გუნდებს მეორე შეხვედრის გამართვა უწევთ, ოღონდ ამ შემთხვევაში მასპინძელი იცვლება. სკუდემორს მაგალითად გერმანიის თასი მოჰყავს, სადაც დაპირისპირება ერთმატჩიანია და ძირითადი დროის ფრედ დასრულების შემდეგ დამატებითი დრო და საჭიროების შემთხვევაში უკვე პენალტების სერია ინიშნება.

ამჟამად მოქმედი მოდელის გამო საფეხბურთო ლიგას "მძიმეწონოსანი" კრიტიკოსები დიდი ხანია მოუმრავლდნენ. მაგალითად სერ **ალექს ფერგიუსონი, რობერტო მანჩინი და არსენ ვენგერი**. ზამთრის პაუზის შემოღებას ჯერ კიდევ "ვესტ ბრომვიჩში" მუშაობის პერიოდში ითხოვდა ინგლისის ნაკრების დამრიგებელი როი ჰოჯსონიც. სკუდემორის თქმით, მას ესმის ოპონენტების, მაგრამ ამის მიუხედავად, გადაწყვეტილების მისაღებად დაინტერესებული მხარეების (კლუბების, ფედერაციისა და სხვების) პოზიციათა გათვალისწინებაც აუცილებელია. ამასთან, გადამწყვეტი სიტყვის თქმა მან საფეხბურთო ასოციაციას წამოჰკიდა კისერზე: "გულწრფელად გეტყვით, ამ საკითხის გადაწყვეტა იოლი არ იქნება. ჩვენ ვერ შევამცირებთ მონაწილეთა რაოდენობას პრემიერლიგაში. წარმოიდგინეთ, ხართ თეატრის ხელმძღვანელი, სადაც წლის განმავლობაში 380 თვალწარმტაცი სპექტაკლი თამაშდება და არც ერთ მათგანზე მაყურებელთა რაოდენობა არ კლებულობს, ამასთან, იყიდება პირდაპირი სატელევიზიო ეთერიც. განა იოლია, 60 ან 70 მათგანი ერთბაშად მოხსნა სცენიდან? ამას გარდა, ნამდვილად არავის ინტერესში არ შედის, რომ ლიგის თასის გათამაშება საერთოდ შეწყდეს, რადგან ტურნირი შემოსავლის სერიოზული წყაროა. ამას გარდა, სწორედ აქ ვხედავთ ქვედა დივიზიონისა და ელიტის წარმომადგენელთა ყველაზე დაძაბულ დაპირისპირებებს. ასოციაციას არც გადათამაშებების დაკარგვა სურს. ცხადია, ყველას მოგვიწევს მოლაპარაკებათა მაგიდასთან დაჯდომა და პოზიციების შეჯერება, რათა როგორმე მოვახერხოთ ზამთრის პაუზის შემოღება. გარწმუნებთ, ორკვირიანი პაუზის გამონახვა ამ პირობებში ჯოჯოხეთურად ძნელი იქნება".

ამბები

## ასუ-ეკოტო ბრუნდება

"დეილი მეილის" ცნობით, "ტოტენჰემის" 28 წლის მცველი **ბენუა ასუ-ეკოტო** გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვარჯიშს ნაკრებებიდან ფეხბურთელების დაბრუნების შემდეგ შეუდგება. ფეხბურთელმა მუხლის ტრავმის გამო თვე-ნახევარზე მეტი გამოტოვა. თავდაპირველად ქირურგებს ოპერაციის ჩატარებაც კი გადაწყვეტილი ჰქონდათ, მაგრამ საბოლოოდ ამ იდეაზე ხელი აიღეს. ამ შემთხვევაში კამერუნელი "დეზებს" იანვრამდე ვერ დაეხმარებოდა.

## ტრაპატონის მემკვიდრეთა ძიებაში

ირლანდიისა და გერმანიის ნაკრებებს ისტორიულად მშვენიერი დამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთთან. გეტყვით, რომ II მსოფლიო ომის შემდეგ "მწვანეები" ერთ-ერთი პირველები იყვნენ (შვეიცარიელებთან, თურქებთან და ავსტრიელებთან ერთად), რომელთაც სახელგატეხილ გერმანელებთან დაპირისპირება "იკადრეს". ეს 1951 წელს მოხდა. სწორედ ამის წყალობაა, რომ მანშაფტს მესამე არჩევანი მწვანე ფორმა აქვს. ისტორია ერთია, დღევანდელობა - მეორე. გერმანელებმა ირლანდიელებს 12 ოქტომბერს დუბლინში შავი დღე აყარეს (6:1). "მწვანეებს" დღეს ფარერებთან ელით დაპირისპირება და როგორც ამბობენ, 73 წლის **ჯოვანი ტრაპატონი** მატჩის დასრულებისთანავე გააკეთებს განცხადებას გადადგომის შესახებ. თუკი იტალიელმა ეს ნაბიჯი არ გადადგა, ამას ირლანდიის ფეხბურთის ფედერაცია გააკეთებს. ბრიტანულ წყაროებს თუ დავუჯერებთ, იტალიელის ყველაზე რეალური მემკვიდრეები **მიკ მაკარტი** და **ჰარი რედნაპი** არიან. "აირიშ ინდეპენდენტს" თანამემამულეზე მეტად სწორედ 65 წლის ინგლისელი ხიბლავს.

## ლორენტეს პრემიერლიგა იზიდავს

ესპანური AS-ის ცნობით, "ბილბაოს" 27 წლის თავდამსხმელმა **ფერნანდო ლორენტემ** ბასკურ კლუბს საბოლოო უარი უთხრა ხელშეკრულების გახანგრძლივებაზე და თუკი კლუბმა ის იანვარშივე არ გაყიდა, მომავალი წლის ზაფხულზე სათამაშოდ მაინც ინგლისს მიაშურებს. როგორც გამოცემას ინფორმირებული წყარო ატყობინებს, ლორენტეს სამი რეალური მთხოვნელი ჰყავს "ტოტენჰემი", "არსენალი" და "ლივერპული". "დეზები" სეზონის დაწყების შემდეგ მხოლოდ **ჯერმეინ დეფოზე** არიან დამოკიდებულნი, რადგან **ემანუელ ადებაიორი** ტრავმირებულია, "არსენალისა" და "ლივერპულის" სატრანსფერო გეგმებზე კი არაერთხელ დაგვიწერია.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ბრაზილია. სერია A. XXX ტური.

# 8 ტურით ადრე: გავარდნილები თითქმის გაირკვა...

## ... ჩემპიონიც? დაველოდოთ ოთხშაბათს!

**ფლამენგო-კრუზეირო 1:1**

გოლები: 1:0 ლიედსონი (11), 1:1 ევერტონი (19).

**ატლ. გოიან.-ინტერნ. 3:1**

გოლები: 0:1 ფრედი (15), 1:1 ადრიანო ლარა (55), 2:1 რიკარდო ბუენო (69), 3:1 ლუსიანო (75).

**პორტუგეზა-კორინთიანსი 1:1**

გოლები: 1:0 მარსელო კორდეირო (13), 1:1 დუგლასი (17).

**სანტოსი-ვასკო 2:0**

გოლები: 1:0 მირალიესი (9), 2:0 მირალიესი (47).

**სან პაულო-ფიგეირენსე 2:0**

გოლები: 1:0 ლუიშ ფაბიანო (14), 2:0 დუგლასი (21).

**ატლ. მინეირო-სპ. რესიფე 2:1**

გოლები: 0:1 უგო (16), 1:1 ლეონარდო (76), 2:1 ლეონარდო (90).

**კორიტიბა-ბაია 2:1**

გოლები: 1:0 ლუკას კლარო (11), 1:1 ალისონი (16), 2:1 დეივიდი (73).

**ნაუტიკო-პალმეირასი 1:0**

გოლები: 1:0 კიეზა (14).

**ფლუმინენსე-პონტე პრეტა 2:1**

გოლები: 0:1 ლუანი (2), 1:1 ფრედი (80-პენ), 2:1 გუმი (89).

**გრემიო-ბოტაფოგო 1:1**

გოლები: 1:0 ლეო გაგო (51), 1:1 ბრუნო მენდეში (90).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფლუმინენსე | 30 | 20 | 8 | 2 | 49-19 | 68 |
| 2. ატლ. მინეირო | 30 | 17 | 8 | 5 | 49-24 | 59 |
| 3. გრემიო | 30 | 17 | 6 | 7 | 44-25 | 57 |
| 4. სან პაულო | 30 | 16 | 4 | 10 | 46-29 | 52 |
| 5. ვასკო და გამა | 30 | 14 | 8 | 8 | 36-31 | 50 |
| 6. ინტერნასიონ. | 30 | 11 | 12 | 7 | 38-27 | 45 |
| 7. კორინთიანსი | 30 | 11 | 10 | 9 | 38-31 | 43 |
| 8. ბოტაფოგო | 30 | 11 | 8 | 11 | 42-39 | 41 |
| 9. სანტოსი | 30 | 10 | 11 | 9 | 37-37 | 41 |
| 10. ნაუტიკო | 30 | 12 | 4 | 14 | 37-45 | 40 |
| 11. კრუზეირო | 30 | 11 | 7 | 12 | 36-39 | 40 |
| 12. კორიტიბა | 30 | 11 | 5 | 14 | 43-48 | 38 |
| 13. პორტუგეზა | 30 | 9 | 10 | 11 | 35-35 | 37 |
| 14. პონტე პრეტა | 30 | 9 | 10 | 11 | 33-39 | 37 |
| 15. ფლამენგო | 30 | 9 | 9 | 12 | 31-41 | 36 |
| 16. ბაია | 30 | 8 | 11 | 11 | 30-34 | 35 |
| 17. სპორტ რესიფე | 30 | 6 | 9 | 15 | 26-48 | 27 |
| 18. პალმეირასი | 30 | 7 | 5 | 18 | 28-41 | 26 |
| 19. ფიგეირენსე | 30 | 6 | 7 | 17 | 33-57 | 25 |
| 20. ატლ. გოიან. | 30 | 5 | 8 | 17 | 31-53 | 23 |

ბომბარდირები: 15 – ფრედი (ფლუმინენსე), ლუიშ ფაბიანო (სან პაულო); 14 - ბრუნო მინეირო (პორტუგეზა); 11 – კიეზა (ნაუტიკო), ვაგნერ ლავი (ფლამენგო); 10 – ალოიზიო (ფიგეირენსე).

**სერია A-ს დასრულებამდე მხოლოდ 8 ტურია დარჩენილი და ნელ-ნელა საფინალო სურათის კონტურებიც იკვეთება. ასე მაგალითად: თითქმის დარწმუნებით შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ის ოთხი გუნდი, რომელიც წლის ბოლოს ქვედა ლიგაში გადაინაცვლებს. ამავე დროს ბევრი არც ჩემპიონის გარკვევამდე დარჩა, თუმცა აქ შედარებით დაძაბული სიტუციაა, მით უმეტეს რომ ოთხშაბათს "ფლუმინენსე"-"გრემიო" გველის...**

### რთული გამარჯვებები

"გრემიოსთან" თამაშამდე **აბელ ბრაგას** გუნდი სახლში "პონტე პრეტას" მასპინძლობდა და უკვე მე-2 წუთზე აგებდა. მასპინძლები უდიდეს უპირატესობას ფლობდნენ, რაც სტატისტიკაშიც აისახა (ბურთის ფლობა: 62:38, კარისკენ დარტყმა: 8:2, კარში დარტყმა: 12:2, კუთხური: 10:1), მაგრამ გოლის გატანას ვერაფრით ახერხებდნენ. 73-ე წუთზე სტუმრებს **ვენდელი** ("ბორდოს" ყოფილ ფეხბურთელში არ აგერიოთ) გაუძევეს, ხოლო მე-80 წუთზე მათ კარში პენალტი დაინიშნა. ბურთთან, რა თქმა უნდა, **ფრედი** მივიდა და გაიტანა. "ფლუს" ქულების დაკარგვის უფლება არ ჰქონდა და შეტევებს აგრძელებდა, რამაც შედეგი 89-ე წუთზე გამოიღო: **ვაგნერის** ჩაწოდებულ ბურთს თავი **გუმმა** დაუხვედრა და თავის გუნდს უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოუტანა.

"ფლუმინენსემ" ჩემპიონატში ზედიზედ მეხუთე გამარჯვება მოიპოვა და საერთოდ, ბოლო 18 თამაშში "ფლუს" 13 მოგება, 4 ფრე და 1 წაგება აქვს. ის ერთადერთი მატჩიც ლიდერმა შინ, ჩემპიონატის მთავარ აუტსაიდერთან წააგო, რომელმაც ამ ტურში კიდევ ერთი სენსაცია შემოგვთავაზა, თუმცა ამაზე ოდნავ მოგვიანებით.

მოულოდნელი შედეგი ფიქსირდებოდა "ინდეპენდენსიაზეც", მაგრამ მასპინძლები იქაც ბოლო წუთებზე გადარჩნენ. პირველობის ყოფილი ლიდერი, "ატლეტიკო მინეირო" ერთ-ერთ აუტსაიდერ, მე-17 ადგილზე მყოფ "სპორტ რესიფესთან" 76-ე წუთამდე აგებდა. მასპინძლების მხსნელი, ცვლილებაზე შემოსული **ლეონარდო** გახდა. "კორიტიბადან" სეზონის მსვლელობისას შეძენილმა ფორვარდმა დუბლი შეასრულა და საკუთარ გუნდს უკვე მეორე თამაში მოაგებინა - დაახლოებით ერთი თვის წინ, მანვე გამარჯვების მომტანი გოლი "სან პაულოს" (1:0) გაუტანა. სულ ლეონარდოს ანგარიშზე უკვე 6 გოლია, 3-ის გატანა მან ყოფილ კლუბში მოასწრო.

ამ გამარჯვების წყალობით, "ატლეტიკომ" "ფლუსთან" 9 ქულიანი სხვაობა შეინარჩუნა, მაგრამ იმავეს გაკეთება "გრემიომ" ვერ შეძლო. **ვანდერლეი ლუშემბურგოს** გუნდი შინ "ბოტაფოგოს" დაუზავდა და ახლა ლიდერს უკვე 11 ქულით ჩამორჩება. უკვე მოგახსენეთ, რომ მომდევნო ტურში პორტუ ალეგრის წარმომადგენელი, სწორედ "ფლუს" სტუმრობს, ლუშემბურგო ამ მატჩის წინ ოპტიმისტურად არის განწყობილი: *"ჩვენ რიოში მოგება შეგვიძლია. "ფლუმინენსეს" სულ ორი მარცხი აქვს და აქედან ერთი ჩვენთან. "გრემიოს" ყველა მატჩის მოგება სურს და არ აქვს მნიშვნელობა, ეს მატჩი შინ იქნება, თუ სტუმრად".* შეგახსენებთ, რომ პირველ წრეში "გრემიომ" ლიდერს 1:0 მოუგო (გოლი **კლებერმა** გაიტანა).

*"ჩვენ ჩემპიონობა კი გვსურს, მაგრამ მთავარი მიზანი ლიბერტადორესის თასის საგზურის მოპოვებაა. სეზონის დაწყების წინ მიზნად სწორედ ეს დავისახეთ და ჯერჯერობით, აშკარად სწორ გზაზე ვართ"* – დაამატა ვანდერლეი ლუშემბურგომ.

### კიდევ ერთი ნაბიჯი უკან

ამ ტურში ლამის ყველა აუტსაიდერმა წააგო. "სპორტ რესიფეს" მარცხზე უკვე ვისაუბრეთ. წააგო "ფიგეირენსემაც", რომელიც შესანიშნავ ფორმაში მყოფ "სან პაულოსთან" ვერაფერს გახდა. "სან პაულოს" მხრიდან პირველი გოლი **ლუიშ ფაბიანომ** გაიტანა და "სევილიას" ყოფილი ფორვარდისთვის ეს მე-15 გოლი იყო მე-16 შეხვედრაში. 31 წლის ფორვარდმა ზედიზედ მეოთხე შეხვედრაში გამოიჩინა თავი და გარდა ამისა, ბოლო 9 თამაშში 10 გოლი გაიტანა.

შედეგიან სერიებს რაც შეეხება: "კორიტიბამ" "ბაიას" 6-ქულიან მატჩში მოუგო. გამარჯვების მომტანი გოლი კი **დეივიდმა** გაიტანა. "კორიტიბას" რიგებში მის ანგარიშზე 6 თამაშში 5 გოლია, თანაც 5-ვე ზედიზედ 5 მატჩში გაიტანა. ამ 5 მატჩიდან "კორიტიბამ" 4 მოიგო და 4-ვე შემთხვევაში გამარჯვების მომტანი გოლის ავტორი დეივიდი იყო!

მორიგი მარცხი განიცადა "პალმეირასმა". "ნაუტიკოს" შინ ლამის ყველა გრანდი ჰყავს დამარცხებული და რა გასაკვირია, რომ **ჟილსონ კლეინას** გუნდსაც გაუსწორდა. ერთადერთი გოლი **კიეზამ** გაიტანა – ფორვარდმა ზედიზედ მეოთხე შეხვედრაში გამოიჩინა თავი (სულ 5 გოლი ამ პერიოდში).

ზედიზედ მეორედ წააგო "ვასკო და გამამ" და მეოთხე პოზიციის დათმობამაც მოუწია. **ესეკილ მირალიესმა** "სანტოსს" **ნეიმარის** არყოფნა არ დაატყო და დუბლი შეასრულა. კარგად ითამაშა **ფელიპე ანდერსონმაც**, რომელზეც ამბობენ, რომ ზამთარში შესაძლოა "მილანის" მაისური მოირგოს.

### ტურის მთავარი სენსაცია

დაპირებულ სენსაციას რაც შეეხება: "ატლეტიკო გოაინიენსემ" შინ "ინტერნასიონალს" მოუგო და ეს მიუხედავად იმისა, რომ პირველი ტაიმის შემდეგ 0:1-ს აგებდა. "ატლეტიკოს" მდგომარეობა ძალიან ჰგავს შარშანდელ სეზონში "ამერიკა მინეიროს" მდგომარეობას – ამ გუნდმა შარშან მე-19 ადგილი დაიკავა, სულ 8 მატჩი მოიგო, მაგრამ ორივე შეხვედრაში მოუგო მესამეზე გასულ "ფლუმინენსეს", დაამარცხა ჩემპიონი "კორინთიანსი" და ვიცე-ჩემპიონი "ვასკო და გამა", გარდა ამისა მოუგო "კორინთიანსს" და "ბოტაფოგოს".

"ატლეტიკო გოიანიენსეს" ანგარიშზე სულ 5 მოგებაა, მაგრამ აუტსაიდერმა "სან პაულოს", თითქმის ჩემპიონ "ფლუმინენსეს" და ახლა უკვე "ინტერნასიონალის" დამარცხება შეძლო. ვერაფერს იტყვი, ბრაზილიის ჩემპიონატი მართლაც ყველასგან გამორჩეული მოვლენაა...



ლუიშ ფაბიანო შესანიშნავ ფორმაშია

ბრაზილია 2014. შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა. IX ტურის წინ

ეროვნული ბიბლიოთეკა


მესიმ "ალბისელესტეს" ბოლო 8 მატჩში 12 გოლი გაიტანა

# სანტიაგოში მთავარი მატჩია

## ურუგვაის სერიოზული პრობლემები აქვს

| | |
|---|---|
| ბოლივია-ურუგვაი | 00:00 |
| ვენესუელა-ეკვადორი | 01:00 |
| პარაგვაი-პერუ | 03:00 |
| ჩილე-არგენტინა | 04:05 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არგენტინა | 8 | 5 | 2 | 1 | 18-6 | 17 |
| 2. კოლუმბია | 8 | 5 | 1 | 2 | 14-6 | 16 |
| 3. ეკვადორი | 8 | 5 | 1 | 2 | 11-8 | 16 |
| 4. ურუგვაი | 8 | 3 | 3 | 2 | 15-14 | 12 |
| 5. ჩილე | 8 | 4 | 0 | 4 | 13-16 | 12 |
| 6. ვენესუელა | 8 | 3 | 2 | 3 | 7-8 | 11 |
| 7. პერუ | 8 | 2 | 2 | 4 | 10-14 | 8 |
| 8. ბოლივია | 8 | 1 | 2 | 5 | 8-13 | 5 |
| 9. პარაგვაი | 8 | 1 | 1 | 6 | 5-16 | 4 |

ბომბარდირები: 6 – იგუაინი (არგენტინა), მესი (არგენტინა); 5 – ფალკაო (კოლუმბია), სუარესი (ურუგვაი), 4 – ფ. კაისედო (ეკვადორი).

**სამხრეთ ამერიკაში მუნდიალის შესარჩევი ეტაპის მეორე წრე იწყება. რიგით მეათე ტურში კოლუმბია დაისვენებს, ხოლო სხვები ქულათა მარაგის შევსებას ეცდებიან. ცენტრალური მატჩი სანტიაგოში გაიმართება, სადაც კარგ ხასიათზე და კარგ ფორმაში მყოფი არგენტინა ჩადის...**

### არგენტინელ მწვრთნელთა დუელი

ჩილემ შესარჩევში ზედიზედ ორი თამაში წააგო (კოლუმბიასთან და ეკვადორთან) და ახლა მეხუთე ადგილზე იმყოფება. **კლაუდიო ბორგის** თანამემამულეების წინააღმდეგ **არტურო ვიდალი, პაბლო კონტრერასი** და **ოსვალდო გონსალესი** არ ეყოლება – სამივე დისკვალიფიცირებულია. სამაგიეროდ, მასპინძელთა ნაკრებს **გარი მედელი** უბრუნდება, რომელიც არგენტინელთა მრისხანე შემტევებს დაუპირისპირდება. ამ გუნდების ბოლო შეხვედრაში, რომელიც სანტიაგოში 2008 წელს გაიმართა, ჩილემ 1:0 მოიგო, თუმცა ზოგადად მათ არგენტინელებთან უჭირთ; თუნდაც პირველი წრის შეხვედრა გავიხსენოთ, როდესაც ბუენოს აირესში ბორგის შეგირდებმა 1:4 წააგეს.

"ალბისელესტეს" ფეხბურთელები კარგ განწყობაზე არიან. ურუგვაის განადგურების შემდეგ, **საბელიას** გუნდი პირველ პოზიციაზეა და საკმაოდ კარგ ფორმაში იმყოფება. ერთადერთი პრობლემა, რომელიც სტუმარ გუნდს აქვს **გონსალო იგუაინის** ტრავმაა - მადრიდის "რეალის" ფორვარდმა დაზიანება მიიღო და შესაძლოა სანტიაგოში ვერ ითამაშოს.

### პრობლემებით მთაში

ურუგვაის ნაკრები ძალიან ცუდ ფორმაშია. **ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესის** შეგირდებმა ბოლო სამ შეხვედრაში მხოლოდ ერთი ქულა აიღეს და ლიდერებს ჩამორჩნენ. "სელესტეს" ამ ტურში ძალიან მძიმე მატჩი ელის, მათი მომდევნო მეტოქე ხომ ბოლივიის ნაკრებია და თუ როგორი რთულია ლა პასში თამაში, ეს ყველამ ძალიან კარგად ვიცით. გარდა იმისა, რომ სტუმრებს გაიშვიათებული ჰაერის პირობებში მოუწევთ თამაში, მათ სამი წამყვანი მცველი: **დიეგო ლუგანო, დიეგო გოდინი** და **მარტინ კასერესი** არ ეყოლებათ.

ბოლივია 5 ქულით მე-8 ადგილზეა, მაგრამ მათი ბასკი მთავარი მწვრთნელი **ჩაბიერ ასკარგორტა** უიმედოდ არ არის: *"მუნდიალის საგზურის მოპოვება ძალიან რთული იქნება, მაგრამ გასათამაშებელი კიდევ 24 ქულაა და ჩვენ თითოეული მათგანისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ".*

### ურუგვაელების დუელი აუტსაიდერთა ჯახში

ბოლო ადგილზე მყოფი პარაგვაი პერუს მასპინძლობს და თუ ოდნავ მაინც აქვს შერჩენილი თავმოყვარეობა, ეს მატჩი უნდა მოიგოს. პარაგვაის შესარჩევ ეტაპზე ზედიზედ 5 მარცხი აქვს განცდილი, თუმცა შემამსუბუქებელ გარემოებად გამოდგება ის, რომ ამ 5 მატჩიდან **ხერარდო პელუსოს** გუნდმა 4 სტუმრად ჩაატარა.

პერუმ, რამდენიმე დღის წინ, ბოლივიაში მეორე გუნდით, ფრედ ითამაშა. **სერხიო მარქარიანი** ამჯერად ძირითად შემადგენლობას გამოიყვანს და სამი ქულის მოპოვების იმედი ექნება.

კიდევ ერთი მატჩი ვენესუელაში გაიმართება, სადაც სტუმრად ეკვადორი ჩადის. **რეინალდო რეუდას** შეგირდები ლიდერებში კი არიან, მაგრამ ხუთივე მატჩი მათ შინ მოიგეს, აი სტუმრად კი გუნდი ძალიან ცუდად თამაშობს, ამიტომ ამ შეხვედრაში ფავორიტად ყველა **უგო ჩავესის** ქვეყნის წარმომადგენლებს მიიჩნევს.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

მილანი



# ალეგრი: მიზანი იგივეა

## მილანი სკუდეტოსთვის იბრძოლებს

მასიმილიანო ალეგრი

"მილანს" რთული დროება ჯერ კიდევ ზაფხულის სატრანსფერო პერიოდიდან უდგას... ლომბარდიული გრანდის მესვეურებმა არაერთი წამყვანი ფეხბურთელი გაასხვისეს, შევსება კი რბილად რომ ვთქვათ, არასრულფასოვანია. შედეგად, "მილანმა" სეზონი მძიმედ დაიწყო და სერია A-ს სატურნირო ცხრილის ქვედა ნაწილშია გამაგრებული. იტალიელ ჟურნალისტთა ნაწილი დიდი ხანია მასიმილიანო ალეგრის შესაძლო გათავისუფლების შესახებ იუწყება, მაგრამ კლუბის მესვეურები მწვრთნელს ნდობას უცხადებენ. პრინციპში, ეს სადღაც ლოგიკურია, რადგან სატრანსფერო პოლიტიკიდან გამომდინარე, შედეგებზე საწყის ეტაპზე მაინც პასუხისმგებლობა უფრო კლუბის მესვეურებს ეკისრებათ, ვიდრე მწვრთნელს. წარმოუდგენელია, რომ ალეგრი ზლატან იბრაჰიმოვიჩის და ტიაგო სილვას გასხვისების მომხრე ყოფილიყო – ეს ფეხბურთელები მწვრთნელს გაუყიდეს და გამომდინარე აქედან, ამ ეტაპზე მას ბევრი რამე ეპატიება. ალეგრის "კორიერე დელო სპორტი" აქტუალურ საკითხებზე ესაუბრა...

### მძიმე სტარტი

სეზონის სტარტი რომ რთული იქნებოდა, ეს ვიცოდით, მაგრამ ასე თუ გაგვიჭირდებოდა, არ მეგონა. ნებისმიერ შემთხვევაში, ტრაგედია არ უნდა შევქმნათ და მუშაობა ჩვეულ რეჟიმში გავაგრძელოთ. ასეც არის, სანაკრებო პაუზით ვისარგებლე, გამოუძახებელი ფეხბურთელები ცოტა დავასვენე და მეც, განვლილი პერიოდის გაანალიზების საშუალება მომეცა. გუნდში ბრწყინვალე ფეხბურთელები მყავს, უდიდესი პროფესიონალები და დარწმუნებული ვარ, რომ მდგომარეობას მალე გამოვასწორებთ. კრიზისს აუცილებლად დავძლევთ და სატურნირო ცხრილში ზემოთ ავინაცვლებთ. მაინც რისი ბრალია ასეთი სტარტი? – გუნდში ბევრი ახალი ფეხბურთელია, მათ შესათამაშებლად კი დროა საჭირო. არც ისაა ახალი, რომ რამდენიმე წამყვანმა მოთამაშემ დაგვტოვა, მათ გარეშე გამარჯვებების მოპოვება კი ჯერ უნდა ვისწავლოთ. ოღონდ, ეს პროცესი დიდხანს არ გაგრძელდება დამჯერა, რომ უკვე მომდევნო ტურიდან ბევრად უკეთ ვიასპარეზებთ.

### მილანური დერბი

ჩემი ოპტიმისტური განცხადებები დიდწილად მილანურ დერბიში ნაჩვენებ თამაშს ემყარება. მართალია, დავმარცხდით, მაგრამ ცუდად ნამდვილად არ გვიასპარეზია და მინიმუმ ფრეს ვიმსახურებდით. "ინტერი" მისსავე ნახევარზე მივაჯაჭვეთ და მომენტებიც უხვად გვქონდა, მაგრამ ბურთმა არაფრით ინება მეტოქის კარის ხაზის გადაკვეთა. გასაგებია, "ნერაძური" კაცნაკლული იყო, მაგრამ ფეხბურთში ერთი მოთამაშის არყოფნა ამხელა უპირატესობის მოპოვების საფუძველი არ გახლავთ. თამაშით ნამდვილად დავჯაბნეთ მეტოქე, მაგრამ იმ დღეს ფორტუნამ "ინტერს" გაუღიმა. დერბიში მარცხი ყოველთვის მწარეა, მაგრამ შეგირდების თამაშში ბევრი რამ მომეწონა.

### კონფლიქტი გალიანისთან

ჩემსა და ადრიანო გალიანის შორის მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებით არაერთხელ მსმენია, მაგრამ ყოველ ასეთ ინფორმაციას არავითარი საფუძველი არ ჰქონია. გალიანისთან და სილვიო ბერლუსკონისთან შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს და დარწმუნებული ვარ, რომ ყოველთვის ასე იქნება. რამდენიმე დღის წინ, სწორედ ბერლუსკონის ვესაუბრე და ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. შედეგებით იმედგაცრუებულია, მაგრამ არსებულ რეალობას კარგად აცნობიერებს და სიმშვიდეს ინარჩუნებს. მითხრა, რომ ჩემი იმედი აქვს როგორც პირადად მას, ისე კლუბის მთელ ხელმძღვანელობას. "მილანის" მესვეურებისგან მხარდაჭერას ყოველთვის ვგრძნობდი, რაც ჩემთვის უმნიშვნელოვანესია.

### მიზანი

ბევრმა უკვე ჩამოგვწერა, მაგრამ სიმართლე გითხრათ, პირადად მე, მიზნებისთვის ნამდვილად არ გადამიხედავს. ჩვენ სკუდეტოს მოგება გვსურს და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ. "იუვენტუსი" და "ნაპოლი" წინ გაიჭრნენ, მაგრამ ჩემპიონატის დასრულებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა დარჩენილი. მთავარია, საკუთარი შესაძლებლობები სრულად წარმოვაჩინოთ და დამიჯერეთ, სკუდეტოსთვის ბრძოლა ჯერ კიდევ შესაძლებელია.

მოსაზრება

# ლედესმა მილანს ემუქრება

## და ნაკრებში დაბრუნება სურს



კრისტიან ლედესმა

სერია A-ს მომდევნო ტურში, "ლაციო" "მილანს" მიიღებს და ამ მატჩის მიმართ ინტერესი აქედანვე დიდია. "გაძეტა დელო სპორტი" "ბიანკოჩელესტეს" ნახევარმცველ **კრისტიან ლედესმას** გაესაუბრა, რომელიც მოახლოებულ ჯახს მოუთმენლად ელოდება. 29 წლის შუახაზელმა იტალიის ეროვნულ ნაკრებზეც ისაუბრა და იმედი გამოთქვა, რომ **ჩეზარე პრანდელის** მისი სამსახური კიდევ დასჭირდება:

*"ჩემპიონატის სტარტზე საკმაოდ კარგად ვასპარეზობთ და დიდი იმედი მაქვს, რომ ასევე გავაგრძელებთ. "მილანთან" უმნიშვნელოვანესი მატჩი გველოდება, რომელსაც მოუთმენლად ველი.. მართალია, ფეხბურთელთა ნაწილი სანაკრებო მატჩებით გადაღლილი იქნება, მაგრამ ვეცდებით, რომ ენერგია მოვიკრიბოთ და "მილანს" საუკეთესო თამაში დავუპირისპიროთ. ვფიქრობ, სამი ქულის მოპოვება ხელგვეწიფება და ამისთვის, პირველ ნომრად თამაშია საჭირო. იმავეს შეეცდება "როსონერი" და უპირატესობას ის გუნდი მოიპოვებს, რომლის ნახევარდაცვაც უკეთ აღმოჩნდება მომზადებული. ამ პასუხისმგებლობას კარგად ვაცნობიერებ და მატჩისთვის აქედანვე ვემზადები. აქვე მინდა იტალიის ნაკრებს მივულოცო სომხეთთან გამარჯვება და იმედი გამოვთქვა, რომ "აძურა" დანიასთანაც სამ ქულას აიღებს. იმედი მაქვს, კიდევ მომეცემა ეროვნულ ნაკრებში ასპარეზობის საშუალება, რადგან ეს ჩემი პრიორიტეტული მიზანია. ჩეზარე პრანდელიმ იცის, სად უნდა მომძებნოს და თუ საჭიროდ ჩათვლის, მის განკარგულებაში ვიქნები".*

იუვენტუსი

# ბენდტნერს ტურინში სურს დარჩენა



ნიკლას ბენდტნერი

"იუვენტუსის" მესვეურები მთელი ზაფხულის განმავლობაში ცდილობდნენ ექსტრაკლასის ფორვარდის გადაბირებას და ამ მცდელობაში ბევრი მიმართულებით მოეცარათ ხელი... **რობინ ვან პერსიდან** დაწყებული, **ედინსონ კავანით** დამთავრებული, ყველას წაეპოტინენ, მაგრამ ხელში მხოლოდ **ნიკლას ბენდტნერი** შერჩათ. 24 წლის დანიელი ფორვარდი ტურინელებმა ლონდონის "არსენალიდან" იჯარით აიყვანეს, მაგრამ სათამაშო დრო პრაქტიკულად არ ეძლევა. მიუხედავად ამისა, ნიკლასს ინგლისში დაბრუნება არ სურს და იმედი აქვს, რომ "იუვენტუსთან" ხანგრძლივ ხელშეკრულებას გააფორმებს:

*"ტურინში ძალიან კარგად მიმიღეს და წუთითაც არ მინანია, რომ არჩევანი "იუვენტუსზე" შევაჩერე. ამ მშვენიერ ქალაქში თავს შესანიშნავად ვგრძნობ და მსურს, რაც შეიძლება დიდხანს დავრჩე. მთავარია, გუნდის სამწვრთნელო შტაბი დავარწმუნო იმაში, რომ ჩემი გამოსყიდვა ნამდვილად ღირს. ამისთვის საჭიროა, რომ სათამაშო დრო მომეცეს და დანარჩენი უკვე მე ვიცი. მჯერა საკუთარი შესაძლებლობების და დარწმუნებული ვარ, რომ ლონდონში დაბრუნება არ მომიწევს. მართალია, ჯერჯერობით იშვიათად ვთამაშობ, მაგრამ გუნდის სრულუფლებიან წევრად მიმაჩნია თავი და თითოეული მატჩისთვის მთელი გულით ვემზადები".*

სავარაუდო ტრანსფერი

# ინტერი როსის უმიზნებს



ჯუზეპე როსი

"გაძეტა დელო სპორტში" გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "ინტერის" მესვეურები **ჯუზეპე როსის** გადაბირებას ცდილობენ და ამ მიმართულებით აქედანვე აქტიურად მუშაობენ. ლაპარაკია იმაზე, რომ კონტრაქტი ზამთარში გაფორმდეს, ჯუზეპე სეზონის ბოლომდე "ვილიარეალში" დარჩეს და მხოლოდ ზაფხულში შეუერთდეს ახალ გუნდს. აქვე ვთქვათ, რომ 25 წლის ფორვარდს მძიმე ტრავმა ჰქონდა, რომელიც პრაქტიკულად მოიშუშა და მალე, წვრთნასაც შეუდგება. აღნიშნულ საკითხზე კომენტარი "ინტერის" სპორტულმა დირექტორმა **მარკო ბრანკამ** გააკეთა:

*"ჯუზეპეს დიდი ხანია იტალიაში სურს დაბრუნება და ვფიქრობ, რომ სანადელს მალე აისრულებს. ჩვენ დაინტერესებულნი ვართ როსის გადაბირებით, რადგან ანდრეა სტრამაჩონის მისი თამაშის მანერა ძალიან მოსწონს. არ დავმალავ, ესპანელებს ამ თემაზე ჩამოვუგდეთ სიტყვა და მათგან პასუხს ველოდებით. თუმცა, შეთანხმებაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა და კარგი იქნება, თუ არ გავუსწრებთ წინ მოვლენებს".*

რომა

# პარიზელებს დე როსიც სურთ

## რომაელებს სხვა გეგმები აქვთ

ბოლო დროს, სულ უფრო და უფრო ხშირად საუბრობენ იმის შესახებ, რომ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში, პსჟ-ს მესვეურები **დანიელე დე როსის** გადაბირებას შეეცდებიან. ფრანგულ კლუბს რომ უდიდესი შესაძლებლობები აქვს, ამაში უკვე დავრწმუნდით და შესაბამისად, "ჯალოროსის" გულშემატკივართა შფოთვა სრულიად გასაგებია. ცეცხლზე ნავთი **კარლო ანჩელოტიმ** დაასხა, რომელმაც ღიად განაცხადა, რომ დე როსი მისთვის ყველაზე სასურველი ფეხბურთელია. ითქვა იმის შესახებაც, რომ პარიზელები მზად არიან, 29 წლის ნახევარმცველში 35 მილიონი ევრო გადაიხადონ და რომაელებს სწორედ ამ წინადადებით მიმართავენ. ამ თემაზე კომენტარი "ჯალოროსის" პრეზიდენტმა **ჯეიმს პალოტამ** გააკეთა, რომელიც აღნიშნულ თანამდებობაზე სულ ახლახან კლუბის მფლობელმა **ტომას დი ბენედეტომ** წარადგინა. ცნობისთვის, დი ბენედეტოს მსგავსად, პალოტაც იტალიური წარმოშობის ამერიკელია და ოკეანის გაღმა სწორედ ტომასთან ერთად მოღვაწეობდა:



დანიელე დე როსი

*"დანიელე დე როსი გუნდის ლიდერია და მასთან განშორება ჩვენს გეგმებში არ შედის. ვერ გეტყვით, რის შემოთავაზებას აპირებენ პარიზელები, მაგრამ თუ თავად ფეხბურთელი არ მოისურვებს წასვლას, ჩვენ მის გასხვისებაზე არც კი ვფიქრობთ. რომში იმიტომ არ ჩამოვსულვართ, რომ წამყვანი ფეხბურთელები გავყიდოთ - სულ სხვა გეგმები გვაქვს".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

● ბრაზილია 2014. საკვალიფიკაციო ეტაპი. ევროპა. IV ტურის წინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰოლანდიელთა და ინგლისელთა რთული მისიები

## სერბეთი, დანია, თურქეთი და უკრაინა მძიმე წნეხის ქვეშ არიან

ნეიტრალური ქომაგის თვალით თუ შევხედავთ, მსოფლიოს ჩემპიონატის ევროპული საკვალიფიკაციო ეტაპის მეოთხე ტური მესამეზე გაცილებით საინტერესოა, რადგან (თუ ჩვენს ჯგუფში დაგეგმილ ტოპ-მატჩსაც არ ჩავთვლით), ისეთ გრანდებს, როგორებიც არიან ჰოლანდია და ინგლისი საკმაოდ რთული გასვლითი შეხვედრები ელით. საინტერესო იქნება შვეიცარიისა და ისლანდიის დუელი, ჩეხეთისა და ბულგარეთის ჯახი, ასევე გერმანიისა და შვედეთის დაპირისპირება, რომელშიც ზლატანი და კომპანია ბუნდესგუნდის გამწარებას შეეცდებიან.



ინგლისს სტივენ ჯერარდი უბრუნდება

### A ჯგუფი

### ვის ათამაშებს სტიმაჩი თავდასხმაში?

**დღეს**

| | |
|---|---|
| ხორვატია-უელსი | 22:00 |
| მაკედონია-სერბეთი | 22:30 |
| ბელგია-შოტლანდია | 22:45 |

პარასკევს მოპოვებული უმნიშვნელოვანესი გამარჯვების (3:0 სერბეთში) შემდეგ საფეხბურთო ბელგია ეიფორიაშია. ბელგიელები ჯგუფს ხორვატებთან ერთად ლიდერობენ, დღეს კი შოტლანდიასთან ექნებათ საქმე. ფავორიტი, რა თქმა უნდა, ბელგიაა, მაგრამ შოტლანდიას ბრძოლისუნარიანი გუნდი ჰყავს და თანაც, **კრეიგ ლევეინის** გუნდიც წნეხის ქვეშაა.

*„სამი ტურის შემდეგ რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. ბელგიას ძალიან სიმპათიური გუნდი ჰყავს, მაგრამ ჩვენ იქ მოსაგებად მივდივართ,"* - თქვა ლევეინმა უელსში წაგების (1:2) შემდეგ. უელსელებმა კი, თავის მხრივ, ამ გამარჯვების შემდეგ შვებით ამოისუნთქეს, რადგან პირველი ქულები დაისაკუთრეს, დღეს კი ხორვატიის სახით ჯგუფის მთავარ ფავორიტს სტუმრობენ, თუმცა წარმატების მიღწევის უმცირესი შანსი აქვთ და თან არსენალელი **აარონ რამსიც** დისკვალიფიცირებული ჰყავთ. ხორვატიის ნაკრების თავკაც **იგორ სტიმაჩს** კი ლუქს-პრობლემა აქვს: აღარ იცის, ვინ გაამწესოს ცენტრფორვარდის პოზიციაზე. მისი თქმით, **მარიო მანჯუკიჩი** და **ნიკიცა იელავიჩი** ერთმანეთს ძალიან ჰგვანან. დიდი შანსია, რომ დღეს ხორვატიის ნაკრების ცენტრფორვარდად **ედუარდო** ვიხილოთ.

სკოპიეში მაკედონიისა და სერბეთის ნაკრების უმძაფრესი ჯახი გაიმართება. ამ გუნდების დაპირისპირება ისედაც ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს და ამჯერად ორმაგად საინტერესოა, რადგან პარასკევს ორივემ წააგო და ახლა ორივე უმძიმესი წნეხის ქვეშაა მოქცეული. **ჩედომირ იანევსკიმ** განაცხადა, რომ ძირითად შემადგენლობას შეცვლიდა და ცხადი მხოლოდ ისაა, რომ ტოპ-თავდამსხმელ **გორან პანდევს** ვერ გამოიყენებს - ეს უკანასკნელი დისკვალიფიცირებულია. სერბები ფაქტობრივად ვალდებულები არიან, მაკედონიაში მოიგონ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ბელგიას და ხორვატიას სავარაუდოდ უკვე მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან და მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსებს შეიმცირებენ.

*„ფაქტია, რომ რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, მაკედონიაში მოგებაა საჭირო!"* - აცხადებს **ალექსანდარ იგნიოვსკი.**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბელგია | 3 | 2 | 1 | 0 | 6-1 | 7 |
| 2. ხორვატია | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 7 |
| 3. სერბეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 6-4 | 4 |
| 4. შოტლანდია | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |
| 5. უელსი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-9 | 3 |
| 6. მაკედონია | 3 | 0 | 1 | 2 | 2-4 | 1 |

### B ჯგუფი

### კრიზისში მყოფი დანიელები იტალიაში

**დღეს**

| | |
|---|---|
| ჩეხეთი-ბულგარეთი | 22:00 |
| იტალია-დანია | 22:45 |

იტალიის ნაკრებმა სამივე თამაში ზედმეტი ბრწყინვალების გარეშე ჩაატარა, მაგრამ **ჩეზარე პრანდელის** გუნდი შვიდი ქულით ერთპიროვნული ლიდერია. „სკუადრა აძურამ" მოსაგები თამაშები (მალტასთან და სომხეთში) მოიგო, ბულგარეთში ფრე ითამაშა, ახლა კი კრიზისში მყოფ დანიას მასპინძლობს. დანიელებს ოფიციალურ მატჩებში ზედიზედ ხუთმატჩიანი მოუგებელი სერია აქვთ, ამ ჯგუფში კი ორი ქულით ბოლოსწინა ადგილზე იმყოფებიან. თუმცა სკანდინაველებს მხოლოდ ორი მატჩი აქვთ ჩატარებული და თუ იტალიაში არ წააგებენ, მდგომარეობას ოდნავ მაინც გამოისწორებენ.

პრანდელი სავარაუდოდ **ჯანლუიჯი ბუფონს** ვერ გამოიყენებს - „იუვენტუსის" მეკარეს კუნთი დაეჭიმა. სამაგიეროდ, „აძურას" **მარიო ბალოტელი** უბრუნდება. მეორე მატჩში მესამე ადგილზე მყოფი ჩეხეთი მეორეადგილოსან ბულგარეთს მასპინძლობს და გამარჯვების შემთხვევაში მეორე ადგილზე გადასვლა შეუძლია, მაგრამ ბულგარელებმა უკვე არაერთხელ დაამტკიცეს, რომ მათი დამარცხება ძალიან ძნელია.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 3 | 2 | 1 | 0 | 7-3 | 7 |
| 2. ბულგარეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 4-3 | 5 |
| 3. ჩეხეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 4. სომხეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |
| 5. დანია | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 6. მალტა | 3 | 0 | 0 | 3 | 1-6 | 0 |

### C ჯგუფი

### შვედეთი იბრას იმედად

**დღეს**

| | |
|---|---|
| ფარერები-ირლანდია | 22:00 |
| ავსტრია-ყაზახეთი | 22:35 |
| გერმანია-შვედეთი | 22:45 |

C ჯგუფში ჯერჯერობით ყველაფერი ისე ხდება, როგორც ველოდით: გერმანიის ნაკრებმა სამივე თამაში მოიგო და ერთპიროვნული ლიდერია, მეორე ადგილზე კი შვედეთის ნაკრებია ექვსი ქულით, რაც **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** და კომპანიამ ორ თამაშში მოიპოვეს. როგორც მოსალოდნელი იყო, ირლანდია და ავსტრია ჯერჯერობით არ ჰგვანან ისეთ გუნდებს, რომლებმაც შეიძლება მუნდიალის საგზურისთვის იბრძოლონ, ყაზახეთისგან და მით უმეტეს ფარერებისგან კი ისედაც არაფერს ველოდით.

ამ ლოგიკით, დღეს მთლიანად C ჯგუფის ცენტრალური მატჩია, რადგან გერმანია შვედეთს მასპინძლობს. ორივე გუნდს ყველა თამაში მოგებული აქვს, თუმცა უნდა ვთქვათ, რომ შვედებს ფარერების დამარცხება გაუჭირდათ - აგებდნენ და თამაში შეატრიალეს, გამარჯვებისა და შვებისმომგვრელი გოლი კი, რა თქმა უნდა, იბრაჰიმოვიჩმა გაიტანა. შესაბამისად, ცხადია, რომ საფეხბურთო შვედეთს გერმანიასთანაც სწორედ ზლატანის იმედი აქვს.

გერმანიასთან სამარცხვინო 1:6-ის შემდეგ ირლანდია ფარერებს სტუმრობს და თუ **ჯოვანი ტრაპატონის** შეგირდები ამ თამაშს ვერ მოიგებენ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იტალიელი სპეციალისტი შეიძლება გაათავისუფლონ. აუცილებლად სამი ქულა სჭირდება ავსტრიასაც, რადგან საკუთარ მოედანზე ყაზახეთს ეთამაშება. პარასკევს ყაზახეთში გამართული შეხვედრა 0:0 დასრულდა და ავსტრიელები ვალდებულები არიან, სუსტი მეტოქე შინ მაინც დაამარცხონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, **მარსელ კოლერის** გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურზე ოცნებას უნდა დაემშვიდობოს. ავსტრიელებს იმედი აქვთ, რომ მოედანზე გასვლას დღეს მაინც შეძლებს ბაიერნელი **დავიდ ალაბა**, რომელმაც პარასკევს ვერ ისასპარეზა. თავად მწვრთნელ კოლერს კი წინა ხაზი უფრო ადარდებს, რადგან ვერც **მარკო არნაუტოვიჩი** და ვერც შტუტგარტელი **მარტინ ჰარნიკი** იმედებს ვერ უმართლებენ...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 3 | 3 | 0 | 0 | 11-2 | 9 |
| 2. შვედეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 3. ირლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 3-7 | 3 |
| 4. ავსტრია | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 5. ყაზახეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |
| 6. ფარერები | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |



ფარერებთან სირცხვილისგან შვედეთი იბრაჰიმოვიჩმა იხსნა. ზლატანი და კომპანია დღეს გერმანელებს შეებრძოლებიან

### D ჯგუფი

### ტოპ-მატჩი ბუქარესტში, თურქეთი უმძიმეს მდგომარეობაშია

**დღეს**

| | |
|---|---|
| ანდორა-ესტონეთი | 21:00 |
| რუმინეთი-ჰოლანდია | 22:00 |
| უნგრეთი-თურქეთი | 22:30 |

ჰოლანდიას სამი ტურის შემდეგ 9 ქულა აქვს და ეს არავის უკვირს. სამაგიეროდ, ფაქტობრივად, სენსაციაა ის ფაქტი, რომ რუმინეთის ნაკრებიც ასპროცენტიანი შედეგით იწონებს თავს. პარასკევს რუმინელებმა თურქეთიდან წაიღეს სამი ქულა (1:0) და ეიფორიაში არიან, დღეს კი ბუქარესტში სწორედ ჰოლანდიის ნაკრებს მასპინძლობენ და კითხვას, ვინ უნდა იყოს ამ ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერი, სწორედ ეს შეხვედრა უპასუხებს.

ჰოლანდიელთა თავკაცმა **ლუის ვან გაალმა არიენ რობენი** მიუნხენში გაუშვა, რადგან ამ უკანასკნელს ტრავმა აწუხებდა და მის ნაცვლად ბრემენის „ვერდერის" დავიწყებული გარემარბი **ელჯერო ელია** გამოიძახა, რომელსაც ნაკრებში ერთი წელია არ უთამაშია და რა თქმა უნდა, ძალიან გახარებულია.

რუმინეთთან საკუთარ მოედანზე წაგების შემდეგ თურქები უმძიმესი წნეხის ქვეშ მოექცნენ და ფაქტობრივად ვალდებულები არიან, უნგრეთიდან სამი ქულა წაიღონ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის მათი შანსი მინიმუმამდე შემცირდება. მართალია, კიდევ ბევრი შეხვედრაა ჩასატარებელი, მაგრამ თურქეთი ჰოლანდიას და რუმინეთს უკვე 6 ქულით ჩამორჩება. თურქებს საკადრო პრობლემებიც აქვთ: მეკარე **ვოლქან დემირელს, იომერ ტოპრაკს, არდა თურანს და გიოქჰან გიონულს** ტრავმები აწუხებთ.

ანდორა და ესტონეთი არა მარტო უქულოდ არიან, არამედ ჯერ ერთი გოლის გატანაც კი ვერ შეძლეს. ეს განსაკუთრებით ესტონელებისთვისაა საშინელი შედეგი - ბალტიისპირელები დღეს სწორედ ანდორას სტუმრობენ და იმედი აქვთ, რომ პირველ სამ ქულას აიღებენ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 3 | 3 | 0 | 0 | 9-1 | 9 |
| 2. რუმინეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 7-0 | 9 |
| 3. უნგრეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 7-4 | 6 |
| 4. თურქეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-3 | 3 |
| 5. ესტონეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-6 | 0 |
| 6. ანდორა | 3 | 0 | 0 | 3 | 0-12 | 0 |

### E ჯგუფი

### ჰიტცფელდის პირველი თამაში სკანდალის შემდეგ

**დღეს**

| | |
|---|---|
| კვიპროსი-ნორვეგია | 22:00 |
| ისლანდია-შვეიცარია | 22:30 |
| ალბანეთი-სლოვენია | 22:45 |

შვეიცარიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ოტმარ ჰიტცფელდმა** ნორვეგიასთან მატჩის (1:1) დროს ესპანელ მსაჯს შუათითი უჩვენა და ამ ამბავს დიდი გამოხმაურება მოჰყვა - პირველ რიგში იმიტომ, რომ „ჯენტლმენად" წოდებული 63 წლის ჰიტცფელდისგან ასეთ რამეს არავინ ელოდა. ოტმარს ამის გამო დისკვალიფიკაციის საფრთხეც ემუქრება. გუშინ მას ამ თემაზე არაფერი უთქვამს და მხოლოდ ისლანდიასთან დღევანდელ შეხვედრაზე ისაუბრა - მატჩზე, რომელიც შვეიცარიელთათვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ჯგუფში მეორე ადგილზე სწორედ ისლანდიაა. შვეიცარიელთა მიზანი ლიდერობის შენარჩუნებაა, თუმცა ბრძოლა დისკვალიფიცირებული **ერენ დერდიოკის** გარეშე მოუწევთ. მიუხედავად ამისა, ჰიტცფელდს ახალი თავდამსხმელი არ გამოუძახებია.

*„ვფიქრობ, ეს არაა საჭირო, რადგან მარიო გავრანოვიჩის, ადმირ მეჰმედისა და ნასიმ ბენ ხალიფას სახით სამი ძალიან კარგი ალტერნატივა მყავს,"* - უთხრა ოტმარმა ჩვენს შვეიცარიელ კოლეგებს.

საკმაოდ საინტერესო იქნება კვიპროსისა და ნორვეგიის დუელიც, ისევე, როგორც ალბანეთისა და სლოვენიის დაპირისპირება, რადგან ჯგუფი გაწონასწორებულია და მეორე ადგილისთვის ბრძოლა ყველას შეუძლია.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვეიცარია | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| 2. ისლანდია | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 6 |
| 3. ნორვეგია | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| 4. ალბანეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 3 |
| 5. სლოვენია | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 3 |
| 6. კვიპროსი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 3 |

### F ჯგუფი

### რონალდოს მეასე მატჩი

**დღეს**

| | |
|---|---|
| რუსეთი-აზერბაიჯანი | 19:00 |
| ისრაელი-ლუქსემბურგი | 20:00 |
| პორტუგალია-ჩრდ. ირლანდია | 23:45 |

უშუალო კონკურენტ პორტუგალიის დამარცხებით (1:0) რუსეთის ნაკრებმა ბრაზილია 2014-ისკენ უდიდესი ნაბიჯი გადადგა. **ფაბიო კაპელოს** შეგირდებს სამივე თამაში მოგებული აქვთ და დღეს აზერბაიჯანს მასპინძლობენ, რაც იმას ნიშნავს, რომ რა თქმა უნდა, მორიგი გამარჯვების მოპოვებას გეგმავენ. მოსკოვში დამარცხებული **კრიშტიანო რონალდო** და კომპანია კი ჩრდილოირლანდიელებს უმასპინძლებენ და თუ მეორე ადგილის დათმობა არ სურთ, აუცილებლად უნდა მოიგონ, რადგან ისრაელის ნაკრები პორტუგალიას მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება და დღეს ჯგუფის უსუსტეს გუნდს, ლუქსემბურგს მასპინძლობს.

აქვე ვთქვათ, რომ რონალდო დღეს პორტუგალიის ნაკრების ფორმას მეასედ მოირგებს. შეგახსენებთ, რომ თამაშების რაოდენობის მხრივ პორტუგალიის ეროვნული გუნდის რეკორდსმენი **ლუიშ ფიგუა** (127 შეხვედრა), მეორე ადგილზე კი **ფერნანდო კოუტუ** გახლავთ (110). კრიშტიანო მესამე პორტუგალიელი იქნება, რომელიც ასიანთა კლუბში შევა. რაც შეეხება გოლებს: კრიშტიანოს ნაკრებში 37 გოლი აქვს გატანილი და ლეგენდარულ **ეუსებიოს** მხოლოდ ოთხი გოლით ჩამორჩება, რეკორდსმენ **პედრო პაულეტას** კი - 10 გოლით. შესაბამისად, ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ კრიშტიანო ამ რეკორდს დაამხობს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 7-0 | 9 |
| 2. პორტუგალია | 3 | 2 | 0 | 1 | 5-2 | 6 |
| 3. ისრაელი | 3 | 1 | 1 | 1 | 7-5 | 4 |
| 4. ჩრდ. ირლანდია | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 5. აზერბაიჯანი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |
| 6. ლუქსემბურგი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-9 | 1 |

### G ჯგუფი

### დიდი ინტრიგა ბრატისლავაში

**დღეს**

| | |
|---|---|
| ლატვია-ლიხტენშტაინი | 21:00 |
| ბოსნია-ლიტვა | 22:00 |
| სლოვაკეთი-საბერძნეთი | 22:30 |

G ჯგუფში ფავორიტების ტრიო დაწინაურდა - ბოსნიელებს, სლოვაკებს და ბერძნებს სამი ტურის შემდეგ 7-7 ქულა აქვთ, ყველაზე კარგ მდგომარეობაში კი ბურთების საუკეთესო შეფარდების გამო ბოსნიის ნაკრებია, რომელმაც პარასკევს ათენიდან ქულა წაიღო (0:0), ხოლო დღეს ლიტვის სახით ისეთ გუნდს

მასპინძლობს, რომელთანაც სამ ქულას გეგმავს. ბალტიისპირელებს 4 ქულა აქვთ, რაც იმას ნიშნავს, რომ თეორიულად მუნდიალის საგზურისთვის გაბრძოლება შეუძლიათ, მაგრამ ლიტველებს სერიოზული პრობლემები აქვთ თავდასხმაში - სამ ტურში მხოლოდ სამი გოლი გაიტანეს და აქედან არცერთი არაა ნომინალური თავდამსხმელის ანგარიშზე.

თუ ბოსნია ლიტვას მოუგებს, მწვრთნელი **საფეტ სუსიჩი** კარგ ხასიათზე დადგება, რადგან მთავარი კონკურენტები, სლოვაკეთი და საბერძნეთი ერთმანეთში თამაშობენ. სლოვაკები უკვე საუკეთესო შემადგენლობით ითამაშებენ, რადგან **ვლადიმირ ვაისი** და **მარტინ შკრტელი** გამოჯანმრთელდნენ. დღემდე უქულოდ მყოფ ლატვიას კი ლიხტენშტაინთან პირველი სამი ქულის აღების იმედი აქვს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოსნია | 3 | 2 | 1 | 0 | 12-2 | 7 |
| 2. სლოვაკეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| 3. საბერძნეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 7 |
| 4. ლიტვა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 5. ლატვია | 3 | 0 | 0 | 3 | 3-8 | 0 |
| 6. ლიხტენშტაინი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-12 | 0 |

H ჯგუფი

## ინგლისს და პოლონეთს საკადრო პრობლემები აქვთ

დღეს

| | |
|---|---|
| უკრაინა-ჩერნოგორია | 22:00 |
| სან მარინო-მოლდოვა | 22:30 |
| პოლონეთი-ინგლისი | 23:00 |

ინგლისის ნაკრები სწორ გზაზე დგას: პარასკევს სან მარინო 5:0 გაანადგურა, მაგრამ დღეს პოლონეთს სტუმრობს, სადაც **როი ჰოჯსონის** ბიჭებს იოლი გასეირნება ნამდვილად არ ელით. აღსანიშნავია, რომ ორივე გუნდს საკადრო პრობლემები აქვს. ჰოჯსონი **ფრენკ ლემპარდს**, **რაიან ბერტრანს** და **თეო უოლკოტს** ვერ გამოიყენებს - სამაგიეროდ, ბრუნდება კაპიტანი **სტივენ ჯერარდი**, რომელიც, თუ ითამაშა, ნაკრებში 99-ე შეხვედრას ჩაატარებს.



შვეიცარიის ნაკრების თავკაცი ოტმარ ჰიტცფელდი შუათითებს ვარჯიშების დროსაც ხშირად ხმარობს...

სერიოზული პრობლემები აქვს პოლონეთის ნაკრების თავკაც **ვალდემარ ფორნალიკსაც**: კაპიტანი **იაკუბ ბლაშჩიკოვსკი**, **ლუკაშ პიშჩეკი**, **ოიგენ პოლანსკი** და ძირითადი მეკარე **ვოიცეხ შჩესნი** ტრავმირებულები არიან. აღსანიშნავია, რომ პოლონეთს ინგლისი 39 წელია არ დაუმარცხებია...

პოლონეთისა და ინგლისის დუელიდან ხეირის ნახვა ჩერნოგორიას შეუძლია, მაგრამ ამ გუნდს ურთულესი გასვლითი მატჩი ელის უკრაინაში. *„უკრაინა ძალიან ძლიერია, მაგრამ იქ მხოლოდ სამი ქულისთვის მივდივართ,“* - ამბობს ფლანგის მცველი **ვლადიმირ ვოლკოვი**.

ჯგუფის მესამე შეხვედრაში უქულო და უგოლო სან მარინო ასევე უგოლო, მაგრამ ერთქულიან მოლდოვას მასპინძლობს. ეს ერთი ქულა მოლდოველებმა პარასკევს, უკრაინასთან მიღწეული 0:0-ით მოიპოვეს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 3 | 2 | 1 | 0 | 11-1 | 7 |
| 2. ჩერნოგორია | 2 | 1 | 1 | 0 | 8-2 | 4 |
| 3. პოლონეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| 4. უკრაინა | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 5. მოლდოვა | 3 | 0 | 1 | 2 | 0-7 | 1 |
| 6. სან მარინო | 2 | 0 | 0 | 2 | 0-11 | 0 |

გოტფრიდ ლენცი

ამბები

# მესიმ და რონალდომ მაისურები რივალდოს აჩუქეს

7 ოქტომბრის კლასიკოს შემდეგ **ლიონელ მესის და კრიშტიანო რონალდოს** მაისურები არც ერთმანეთისთვის გაუცვლიათ და არც სხვა ფეხბურთელებისთვის. მატჩის ორივე გმირმა მაისურები ერთსა და იმავე პიროვნებას აჩუქა, მაგრამ ვინ იყო ის? აღმოჩნდა, რომ მესისა და რონალდოსთვის მაისურები „ბარსელონას“ ყოფილ ვარსკვლავ **რივალდოს** უთხოვია, საქველმოქმედო აქციისთვის. რივალდო პორტუგალიელზე კაკას წყალობით გავიდა, ხოლო მესის ნახვა მისთვის გაცილებით იოლი იყო. ორივე ვარსკვლავი დათანხმდა ქველმოქმედებაში მონაწილეობას და ვალიც პირნათლად მოიხადა. რამდენიმე კვირაში ორივე მაისურა აუქციონზე გამოვა, შემოსული თანხა კი ახალშექმნილ „ინსტიტუტო რივალდო 10-ს“ მოხმარდება. ეს პროექტი ბრაზილიასა და ანგოლაში სოციალურ აქციებს ახორციელებს. შეგახსენებთ, რომ ლეგენდარული ბრაზილიელი ამჟამად სწორედ ანგოლაში თამაშობს. რივალდოს თავისი მაისურა **კარლეს პუიოლმა** მისცა, თუმცა „ბარსელონას“ კაპიტანს ტრავმის გამო მატჩში მონაწილეობა არ მიუღია.

ნიკოლოზ ნეფარიძე



# მარსელო წლის ბოლომდე

მადრიდის „რეალისა“ და ბრაზილიის ნაკრების 24 წლის მცველმა **მარსელომ** მარჯვენა ფეხი მოიტეხა და ფეხბურთს, სულ მცირე, სამი თვით ჩამოშორდა. მარსელომ პოლონეთში, ვროცლავის ბაზაზე მოიტეხა ფეხი და ნაკრებიც მალევე დატოვა. პირველადი ტესტების მიხედვით, წლეულს მისი თამაში გამოირიცხა. ბრაზილიის ნაკრები დღეს ვროცლავში იაპონიას ამხანაგურად გაეჯიბრება, ოღონდ უკვე მარსელოს გარეშე. *„მე მალე დავბრუნდები“*, - იმედს არ კარგავს ბრაზილიელი, რომელიც უკვე მადრიდშია და სავარაუდოდ, ოპერაცია ელის.

მარსელოს ტრავმის შემდეგ **ჟოზე მოურინიო** მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, სანაკრებო პაუზის გამო მან ორივე მარცხენა მცველი დაკარგა, ჯერ **ფაბიო კოენტრაომ** მოსკოვში საზარდული იტკინა, ახლა კი მარსელომ პოლონეთში ფეხი მოიტეხა. კოენტრაოს ტრავმა გაცილებით მსუბუქია - ის ერთ თვეს გამოტოვებს, თუმცა უახლოეს ტურებში მარცხენა ფლანგზე თამაში ალბათ **ალვარო არბელოას** მოუწევს, მარჯვენა ფლანგს კი **სერხიო რამოსი** დაუბრუნდება.



დაზარალებული მარსელო

ნიკოლოზ ნეფარიძე

# ინიესტას უნივერსალური ფეხბურთელი



**ანდრეს ინიესტამ** თანამედროვე სრულყოფილი ფეხბურთელი ასე დაახასიათა: *„ფალკაოსავით მაგარი საჰაერო დუელში, პუიოლის ხასიათის, ჩავის მარჯვენის პატრონი, მესის მარცხენისა და ტალანტის, ბუსკეტსის ტაქტიკური განსწავლულობის და კრიშტიანო რონალდოს დარი საგოლე ალღოთი“*. 28 წლის ანდრეს ინიესტამ ეს დახასიათება „მარკა ენ ზონას“ მისცა. იმავე გამოცემასთან ინტერვიუში ინიესტამ ცაში აიყვანა ქებით **ლეო მესი**: *„ლეოს გვერდით ძალიან დიდი ხანია ვთამაშობ. მე აქამდე არ შემხვედრია ასეთი ფეხბურთელი, ყოველ დღე, ყოველ ვარჯიშზე, ყოველ თამაშზე და ყოველ სეზონზე მესი ვითარდება და უკეთესი ხდება. მესი ჯერ ძალიან ახალგაზრდაა, მას წინ ჯერ კიდევ ბევრი აქვს. ჩვენ ერთად კიდევ ბევრ ტიტულს მოვიგებთ“*.

ნიკოლოზ ნეფარიძე



## ყოფილი რეალელი სეგუნდაში

მადრიდის „რეალის“ ყოფილმა მცველმა კარლოს დიოგომ ხელშეკრულება „ეიბართან“ გააფორმა. 29 წლის ურუგვაელი სეგუნდა დივიზიონში მოასპარეზე ბასკურ კლუბში გამოვა. დიოგო ბოლოს სოფიის ცსკა-ს საკუთრება იყო, მაგრამ ბულგარულ კლუბთან ხელშეკრულება დაარღვია და თავისუფალი აგენტი გახდა, რის წყალობითაც მან სატრანსფერო ფანჯრის დახურვის შემდეგაც შეძლო სამუშაოს პოვნა. „ვილიარეალთან“ მატჩში მას დებიუტიც ჰქონდა, დიოგო შეცვლაზე შევიდა.

კარლოს დიოგო 2005 წელს „რივერ პლეიტიდან“ გადავიდა „რეალში“, მაგრამ ძირითად გუნდში თამაში სულ 13-ჯერ მოახერხა. ის ჯერ გაანათხოვრეს „სარაგოსაში“, შემდეგ კი 3 მილიონ ევროდ გაყიდეს. წლეულს, იანვარში დიოგო ბულგარეთში გადავიდა, თუმცა 15 დღის შემდეგ უკან დაბრუნება ითხოვა, ურუგვაელი სლავებმა კონტრაქტისგან მხოლოდ სექტემბერში გაათავისუფლეს.

## სოლდადო: ჩემით არ წავალ, გამყიდონ

„ვალენსიას“ ფორვარდმა **რობერტო სოლდადომ** განაცხადა, რომ მხოლოდ ამ კლუბის მაისურით სურს თამაში და „ღამურების“ შემადგენლობაში მანამდე დარჩება, სანამ არ გაყიდიან. საქმე იმაშია, რომ კლუბის პრეზიდენტმა **მანუელ ლორენტემ** განაცხადა, რომ სეზონის ბოლოს შეიძლება კლუბი რამდენიმე წამყვან ფეხბურთელს შეელიოს. ლორენტეს არ დაუსახელებია არავინ, მაგრამ თავად სოლდადო არ გამორიცხავს, რომ გასაყიდთა ნუსხაში იყოს. შეგახსენებთ, რომ ლორენტეს ფეხბურთელების გაყიდვით კლუბის დავალიანების შემცირება სურს.



## რეალმა თვალი არგენტინელ ტალანტს დაადგა



მადრიდის „რეალის“ ხელმძღვანელობა არგენტინული „რასინგის“ ახალგაზრდა ფეხბურთელით, **ლუსიანო ვიეტოს** შეძენითაა დაინტერესებული. სხვათა შორის, „რეალი“ ერთადერთი არაა, ვისაც ვიეტოს შეძენა სურს, მისით „პარი სენ ჟერმენი“, „ლივერპული“ და „ინტერიც“ დაინტერესდნენ. ამ სეზონში ვიეტომ 8 მატჩში 5 გოლი გაიტანა. ფეხბურთელის, რომელსაც ხშირად ხავიერ სავიოლას ადარებენ, სანაცვლოდ „სამეფო კლუბი“ 8 მილიონი ევროს გადახდას აპირებს, თუმცა „რასინგის“ ხელმძღვანელობა ორჯერ მეტს ითხოვს. ვიეტო 18 წლისაა, „რასინგში“ პირველად ის **დიეგო სიმეონემ** ათამაშა.

## ბარსამ ფონტასი მალიორკაში გაუშვა

„ბარსელონას“ მცველი **ანდრეუ ფონტასი** სეზონის ბოლომდე იჯარის წესით „მალიორკაში“ ითამაშებს. გუშინ მან ახალ კლუბში სამედიცინო შემოწმება გაიარა. 22 წლის ცენტრალური მცველი „ბარსას“ პირველ გუნდში კი ირიცხება, მაგრამ თამაშის შანსი არა და არ მიეცა, მიუხედავად იმისა, რომ ხან **პუიოლი** იყო ტრავმირებული, ხან **პიკე**, ხან კიდევ ორივე ერთად. ფონტასი „ბარსაში“ 18 წლის ასაკში მივიდა. **ლუის ენრიკემ** ის ნახევარდაცვიდან დაცვის ცენტრში დახია. პირველ გუნდში მან სულ 8-ჯერ ითამაშა.

ნიკოლოზ ნეფარიძე



ძიუდო

## კობა კურტანიძის მემორიალური ტურნირი

13 ოქტომბერს გორმა ტიტულოვანი ფალავანის კობა კურტანიძის მემორიალურ ტურნირს უმასპინძლა ძიუდოში. შეჯიბრება, რომელშიც 1997-98 წლებში დაბადებული სპორტსმენები ილებდნენ მონაწილეობას, გურამ პაპიტაშვილის სახელობის დარბაზში ჩატარდა. პირველობისათვის ადგილობრივთა გარდა იბრძოდნენ მცხეთის, კასპის, ქარელის, საგარეჯოს, ახმეტის, ბორჯომის, დუშეთის და თბილისის (სამი კლუბი) ძიუდოს სკოლათა გუნდები. შეჯიბრება ტრადიციულია და უკანასკნელი რამდენიმე წელია 13 ოქტომბერს, კურტანიძის დაბადების დღეს ტარდება. მისი ორგანიზება ასევე ტრადიციულად გორის ჭიდაობის კომპლექსური სპორტული სკოლის (დირექტორი ანზორ თენაძე) და ქალაქის სპორტული ცენტრის მიერ მოხდა. გამარჯვებულებს გადაეცათ პრიზები და სამახსოვრო ჯილდოები.

**კვარცხლბეკი**

46 კგ. 1. გიორგი დოლანაძე, 2. თემურ ნოზაძე, 3.ვასილ ქერდიყოშვილი (სამივე — გორი) და ნიკა ყუშიტაშვილი (საგარეჯო);

50 კგ. 1. ნიკო ქიკაიძე (ახმეტა), 2. რობიზონ ბეგლარიშვილი (გორი), 3. გელა გარაყანიძე (თბილისი) და არჩილ კუჭუაშვილი (საგარეჯო);

55 კგ. 1. ვანო მახათაძე (გორი), 2. გიგა იმერლიშვილი (ახმეტა), 3. ნოდარ მშვიდობაძე (გორი) და შოთა ნადირაძე (თბილისი);

60 კგ. 1. ბექა ტერტერაშვილი (საგარეჯო), 2. ირაკლი გოგატიშვილი (გორი), 3. ბექა სუკასიანი (საგარეჯო) და ლაშა დუდაშვილი (თბილისი);

66 კგ. 1. სიმონ მამარდაშვილი (საგარეჯო), 2. ნოდარ წამალაიძე (თბილისი), 3. ზაქრო წიკლაური (საგარეჯო) და ვალერი მათიაშვილი (დუშეთი);

73 კგ. 1. გიორგი მულაძე (ქარელი), 2. ვაჟა ქოროღლიშვილი (თბილისი), 3. გიორგი შალვაშვილი (საგარეჯო) და გიორგი ქანთარია (თბილისი);

81 კგ. 1. დათო იმერლიშვილი, 2. გიორგი პოლიტაშვილი (ორივე — ქარელი), 3. მიშიკო თიგიშვილი (საგარეჯო) და ელდარი ჯიქიძე (თბილისი);

+81 კგ. 1. დავით რაზმაძე (ახმეტა), 2. გიორგი ბორტიშვილი (ქარელი), 3. გიორგი ლომსაძე (თბილისი) და სანდრო ხითარიშვილი (გორი).

აღსანიშნავია, რომ შეჯიბრება თანაბრად, ორ-ორი გამარჯვებულით დაასრულეს მასპინძელთა, საგარეჯოს, ახმეტის და ქარელის გუნდებმა. თბილისს კი, მიუხედავად იმისა, რომ იგი ძიუდოს სამი კლუბით იყო წარმოდგენილი, გამარჯვებული არ ჰყოლია. თუმცა საგულისხმოა, რომ მათ, საგარეჯოსა და გორის გუნდებთან ერთად რაოდენობრივი თვალსაზრისით ყველაზე მეტი - რვა-რვა ძიუდოისტი აიყვანეს კვარცხლბეკზე.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

## სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების, კლუბების, რეგიონების ქალაქების და რაიონების საყურადღებოდ!

„ლელო" ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის დაგვიკავშირდით ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

## ლელოზე ხელმომწერთა საყურადღებოდ!

**ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.**

**დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.**

ცხენოსნობა. საქართველოს ჩემპიონატი



შალვა გაჩეჩილაძე ასპარეზობისას



ივანე ნორაკიძე

# ჯირითი ნატახტარში

წლეულს ივლისში ახალი ფურცელი ჩაიწერა ქართული ცხენოსნობის ისტორიაში — მცხეთის რაიონის სოფელ ნატახტარში გაიხსნა საცხენოსნო კლუბი (მფლობელი **გია კურკუმული**), რაც პირველი შემთხვევაა ბოლო ათწლეულების განმავლობაში ჩვენში. კლუბი საზეიმოდ წლეულს ივლისის ბოლოს ლონდონში ოლიმპიური თამაშების დაწყების დღეს გაიხსნა. და აი, ამ დღეებში ნატახტარის საცხენოსნო სარბიელმა უკვე მეორე ასპარეზობას - ამჯერად საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლა დაბრკოლებათა გადალახვაში. სამწუხაროდ, ფოთელებმა ვერ მოახერხეს ჩამოსვლა, ამიტომ ჩემპიონატი ჩატარდა მხოლოდ თბილისელი მხედრების მონაწილეობით. დედაქალაქის 13 საუკეთესო ცხენოსანი იბრძოდა პირველობისთვის კლასიფიკაციით ორი სირთულის დაბრკოლებათა გადალახვაში. მოასპარეზეებს ორივე კლასში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ და თითოეულში საასპარეზოდ მეორედ გამოსვლისას მერნის შეცვლის ნებაც ეძლეოდათ. სარბიელი კი ერთი იყო - მხოლოდ დაბრკოლებათა სიმაღლე იცვლებოდა. დაბალ კლასში მაქსიმუმ 110 სმ, მაღალში - 125 სმ. თუმცა ისე მოხდა, რომ ორივე კლასში გამარჯვებულთა და პრიზიორთა გამოსავლენად საჭირო გახდა საასპარეზო მოედანზე დამატებითი ხტომებისთვის დაბრკოლებათა სიმაღლის აწევა - დაბალ კლასში 125, მაღალში - 130 სმ-მდე.

აი, ასეთ ვითარებაში, მართლაც დაძაბულ პაექრობაში გაიკვლიეს გზა მხედრებმა საპატიო კვარცხლბეკისკენ, სადაც საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: **დაბალი კლასი.** 1. ივანე ნორაკიძე (ცხენი ალი), 2. შალვა გაჩეჩილაძე (კონდრადბელუქსი), 3. ივანე ნორაკიძე (დონამბო); **მაღალი კლასი.** 1. შალვა გაჩეჩილაძე (იგივე ცხენით), 2. კახაბერ კიკიანი (ზარზმა), 3. ივანე ნორაკიძე (იგივე ცხენით).

**თორნიკე გაჩეჩილაძე**

ძიუდო. მსოფლიოს გუნდური პირველობა

# ცირეკიძე არ ჩქარობს



მოგეხსენებათ, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ **ირაკლი ცირეკიძის** სამწვრთნელო დებიუტი 27-28 ოქტომბერს ბრაზილიურ სალვადორ დე ბაიაში გასამართ მსოფლიოს გუნდურ პირველობაზე შედგება. იმ ტურნირისთვის ჩვენი ვაჟთა ნაკრები ანაკლიაში ემზადება, სადაც დასკვნით შეკრებას გადის. მწვრთნელთა ჩათვლით, ცირეკიძის განკარგულებაში 30 კაცია, რომლებიც სასტუმროში ცხოვრობენ და ადგილობრივი სკოლის დარბაზში ვარჯიშობენ. ცირეკიძე მოსამზადებელი პირობებით კმაყოფილია და როგორც სატელეფონო საუბარში გვითხრა, პრობლემები არ აქვთ.

მთავარი მწვრთნელი ჯერჯერობით ბრაზილიაში წასაყვანი შემადგენლობის დასახელებას არ ჩქარობს, თუმცა ძირითადი ბირთვი მისთვისაც ცნობილია და ლიდერთა გამოცნობა არც ქომაგისთვისაა დიდი გამოცანა. აქ მცირე ინტრიგას მხოლოდ ის ჰქმნის, მისცემს თუ არა მწვრთნელი თავის გამოჩენის შანსს სათადარიგოებს. სავარაუდოდ, მონაწილეთა შორის ვერ ვიხილავთ მოქმედ ოლიმპიურ ჩემპიონ **ლაშა შავდათუაშვილს** (66), რომელმაც რამდენიმე კვირის წინ ავსტრიაში თიაქარის ოპერაცია გაიკეთა და სრულყოფილად გამოჯანმრთელებას, მერე კი ფორმაში შესვლას ვერ ასწრებს. ცირეკიძე შემადგენლობას კვირის ბოლოს დაასახელებს. გუნდი ანაკლიაში 22 ოქტომბრამდე დარჩება, 24-ში კი სტამბოლიდან ბრაზილიაში გადაფრინდება.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს გუნდური პირველობა პირადისაგან რამდენადმე განსხვავებული ფორმატით ტარდება - აქ 7-ის ნაცვლად 5 წონითი კატეგორიაა. კერძოდ, გაუქმებულია 60 კილოგრამი და ჭიდაობა პირდაპირ 66-დან იწყება, 90-ს ზევით ორი წონა კი გაერთიანებულია. ამდენად, გუნდურში გვრჩება 66, 73, 81, 90 და +90 წონები.

მსოფლიოს წლევანდელ პირველობაში ვაჟთა ტურნირში ჩვენ გარდა მასპინძელთა გუნდი, იაპონია, კორეა, უზბეკეთი, მონღოლეთი, რუსეთი, უკრაინა, კუბა, საფრანგეთი, აშშ, ალჟირი, არგენტინა, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი და ვენესუელა გამოვლენ, ქალებში კი ბრაზილია, იაპონია, კორეა, ჩინეთი, აშშ, მონღოლეთი, რუსეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, თურქეთი, მექსიკა, უკრაინა, ალჟირი და არგენტინა იჭიდავებენ.

ცირეკიძის არ იყოს, შემადგენლობას ჯერ არც სხვა გუნდების ხელმძღვანელები ასახელებენ, თუმცა რუსთა გუნდი მაინც გავარკვიეთ. ოფიციალურად ჯერ არც მათ გამოუცხადებიათ არაფერი, მაგრამ ეს საქმე დაღესტნურმა საჭიდაო პორტალმა ითავა. იმათაც იმიტომ იჩქარეს, რომ ნაკრებში ორი დაღესტნელია მიწვეული - ევროპის ორგზის ჩემპიონი **სირაზუდინ მაგომედოვი** (81) ყიზილიურტიდან და რუსეთის წლევანდელი ჩემპიონი, ახალგაზრდებიდან შარშან გადმოსული **კამალ ხან-მაგომედოვი** (66) დერბენტიდან. ამათ გარდა, იტალიელმა მწვრთნელმა **ეციო გამბამ** რუსთა გუნდში ევროპის წლევანდელი ჩემპიონი **ალიმ გადანოვი** (66), **ბატდრაზ კაიტმაზოვი, მურად კოძოკოვი** (ორივე - 73), **მურატ ხაბაჩიროვი** (81), **კირილ ვოპროსოვი, კამილ მაგომედოვი** (ორივე - 90), ევროპის ექვსგზის და მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, ოლიმპიური ვერცხლის მედალოსანი **ალექსანდრ მიხაილინი** და **რენატ საიდოვი** (+90) შეიყვანა. როგორც ვხედავთ, გამბამ აქცენტი უფრო სათადარიგოებზე გააკეთა. გაირკვა ისიც, რომ ბრაზილიელთა გუნდებს ლონდონის ოლიმპიადის მედალოსნები - **ფელიპე კიტადაი** (60) და **მაირა აგუიარი** (78) უკაპიტნებენ, თუმცა არაფერია ცნობილი, იჭიდავებს თუ არა მათი წლევანდელი ერთადერთი ოლიმპიური ჩემპიონი **სარა მენეზესი** (48).

**ირაკლი თავაძე**

დიდი სპორტის კარიბჭესთან

## დავით ოზბეთელაშვილი

**სამბო**



დაიბადა 1996 წლის 14 ივლისს მოსკოვში.

**წონა** 84 კგ.

**სიმაღლე** 183 სმ.

**სწავლობს** თბილისის 155-ე საჯარო სკოლის X კლასში.

ვარჯიშობს 2003 წლიდან.

**პირველი მწვრთნელი** - დიმიტრი ჟილაევი. ამჟამად - ილია ქოთოლაშვილი და გიგა ბოჭოიძე.

**მიღწევები:** არის საქართველოსა და ევროპის ჩემპიონი სამბოში კადეტთა შორის

**ოცნება:** მსოფლიოს ჩემპიონობა

**გატაცებულია** აგრეთვე თევზაობით და ნადირობით.

ველორბოლა

# ორ-ორი პირველი და რეკორდი

12-14 ოქტომბერს ერევანში გაიმართა სომხეთის ჩემპიონატი და 250-მეტრიანი სტანდარტული ზამთრის ტრეკის გახსნა, რომელშიც სომეხ ველოსიპედისტებთან ერთად ქართველი დავით ასკურავაც მონაწილეობდა.

დათომ სამ დისციპლინაში სცადა ძალა და ორჯერ ტრეკის რეკორდი დაამყარა, რომელიც ერთი წელიწადია ფუნქციონირებს, თუმცა მისი საზეიმოდ გახსნა ახლაღა მოხერხდა. 1000 მ ქართველმა სპორტსმენმა 1.07 წუთში დაფარა და რეკორდთან ერთად პირველობაც დაისაკუთრა.

ასევე ყველას აჯობა მან 200 მეტრზე, სადაც დისტანცია 10.8 წამში დაფარა და მეორე რეკორდსაც გამოჰკრა ხელი.

4 კმ რბოლაში კი ასკურავა მეორე იყო - 4.52. ეს დისციპლინა საგზატკეცილო ველომრბოლელებისთვისაა, მაგრამ დავითმა იმიტომ აირჩია, რომ თავისი გამძლეობა შეემოწმებინა.

ახლა ქართველი სპორტსმენი მსოფლიო თასის ეტაპებისთვის ემზადება.

**დავით ქელიძე**



ავტოსპორტი

# ევროპის თასი დათა ქაჯაიას

წლეულს აპრილში აიღო სტარტი ევროპის LEGENDS CARS CUP-მა, რომელიც შვიდი ეტაპისგან შედგებოდა. შეჯიბრებაში კონტინენტის საუკეთესო პილოტებთან ერთად ორი ქართველი ავტომრბოლეც მონაწილეობდა - **დათა ქაჯაია და კოტე კოლიაშვილი.** ასპარეზობის ბოლო აკორდს 13-14 ოქტომბერს ფრანგულმა ლედენონმა უმასპინძლა. მეტოქეები ორ სპრინტსა (20-20-წუთიანი რბოლები) და ერთ გრძელ რბოლაში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. წინა პაექრობების შემდეგ ევროპის თასზე 687 ქულით ქაჯაია ლიდერობდა და უახლოეს მდევარს 23 ქულით უსწრებდა.




პირველ სპრინტში ქართველმა ავტომრბოლმა მე-5 ადგილი დაიკავა, სამაგიეროდ, მეორეში თავიდანვე დაწინაურდა და სხვებზე ადრე გადაკვეთა ფინიშის ხაზი. ამ წარმატების მერე ნათელი გახდა, რომ ჩვენებურს კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლაში ვერავინ შეეცილებოდა, თუნდაც გრძელ რბოლაში ბოლო ადგილზე გასულიყო, მაგრამ დათამ აქაც აჯობა ყველას. საბოლოოდ ქაჯაიამ 805 ქულა მოაგროვა და ქართული ავტოსპორტის ისტორიაში პირველმა მოიპოვა ევროპის თასი. კოლიაშვილი მე-7 ადგილით დაკმაყოფილდა.

**ვაჟა დანელია**

მკითხველთა საფიხვნო. გამოხმაურება

# საქმე მაუდის ფხიანი



თამაზ ლაშხი

სათაურში ცნობილი ტაეპის პერიფრაზი გამოვიყენე. ისე, როცა სიტყვა და საქმე შორდება ერთმანეთს, საქმე ცუდად მაშინ მიდის. სპორტული ცხოვრების „საფიხვნოს“ თავში, სამინისტროდან დაწყებული ადგილობრივი რგოლებით დამთავრებული, უმეტესწილად ისხდნენ არაპროფესიონალიზმით შერჩეული „სპეციალისტები“. ამიტომაც **დავკარგეთ:** ფიზკულტურისა და სპორტის აკადემია; ფიზკულტურისა და სპორტის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტი; ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტები, რომლებიც ზედმიწევნით აკონტროლებდნენ სპორტის მასობრივ განვითარებას ადგილებზე; დავკარგეთ სპეციალისტები სოფლად და ქალაქად, რომლებიც უფუნქციოდ არიან დარჩენილნი, საჯარო სკოლები კი ამ დროს არასპეციალისტებმა „დაიპყრეს“; დავკარგეთ მოწინავე პოზიციები სპორტის მრავალ სახეობაში; დავკარგეთ ფინანსების გამოყოფა-გამოყენების შესაძლებლობები, რომლებიც, ამჟამად, კაცმა არ იცის, ვის და რა დამსახურებისათვის ეძლევა; გაქრა პერსპექტიულ სპორტსმენთა წახალისების მწყობრი სისტემა; სპორტული ბაზების კეთილმოწყობა-განვითარების პრიორიტეტები, რამაც განსაკუთრებული დაღი დაასვა სპორტს საერთოდ, განსაკუთრებით კი სოფლად.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე გვინდა:

- პროფესიონალიზმით შერჩეული კადრები;
- აღდგეს ფიზკულტურის მეთოდისტთა მომზადება-დასაქმების სისტემა ისე, რომ ყველა ტერიტორიულ ორგანოში, ყველა სკოლასა და დიდ საწარმო-დაწესებულებაში მუშაობდეს მინიმუმ ერთი სპეციალისტი მაინც;
- აღდგეს სპორტსაზოგადოება „კოლმეურნე“ შეცვლილი სახელწოდებით;
- შეიცვალოს „ზემოდან მართვის“ სისტემა და რეგიონებში, მუნიციპალიტეტებში მდგომარეობის შესასწავლად სამინისტრომ მოავლინოს სპეციალისტები;

აღდგეს ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტები გაზრდილი პასუხისმგებლობით და ფუნქციებით, დაბოლოს, უმთავრესი - ქვეყანას დაუბრუნდეს უკანონოდ, დანაშაულებრივად გაუქმებული ფიზკულტურისა და სპორტის აკადემია.

**თამაზ ლაშხი,**
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი,
სპორტის დამსახურებული მუშაკი
საჩხერე

# გვახსოვდეს პასუხისმგებლობა!

ინტერესით გავეცანი ახალ რუბრიკას „მკითხველთა საფიხვნო“ და მის თემას: „რა დავკარგეთ, რა გვინდა“. მომეწონა გულახდილი გამოხმაურებები. კარგია, რომ სპეციალისტები აქტიურობენ, მათ ხომ უკეთ იციან, რა დავკარგეთ და რა გვინდა. ვეთანხმები ყველას, ვინც დანაკარგს და სამომავლოდ სასურველს პირუთვნელად ჩამოთვლის, ამიტომ მათ აღარ გავიმეორებ. როგორც ჩანს, სათქმელი ყველას ერთნაირი გვაქვს. ჩემი მხრიდან მინდა აგრეთვე ყურადღება გავამახვილო პასუხისმგებლობაზე, უფრო სწორად უპასუხისმგებლობაზე, რამაც ბოლო წლებში ასე ძალუმად იჩინა თავი ჩვენს სფეროში. ეს ეხება სპორტის მართვის ცალკეულ რგოლებს, პროფესიონალიზმის დეფიციტს, სისტემურ იერარქიას, ზოგიერთ ცალკეულ სპეციალისტებს, ფედერაციებს და მწვრთნელებს, ნაკრებების თავკაცთა ჩათვლით. ყველამ კარგად უნდა გაიგოს, რომ სპორტში პიარით და გულზე მჯიღის ცემით არ მოდის წარმატებები, - შრომა, შრომა და კიდევ შრომაა საჭირო, მაგრამ შრომა გააზრებული, კარგად გათვლილი, მიზანზე ორიენტირებული. ეს დიდი პასუხისმგებლობა მით უფრო, რომ ჯერჯერობით, სამწუხაროდ, არც ერთ სფეროში არ ვართ მსოფლიო სტანდარტების დონეზე დაწინაურებული ისე საამაყოდ, როგორც სპორტში. ამ მონაპოვარს კი გაღრმავება და განმტკიცება უნდა. მეტი შეგვიძლია და მეტიც მოგვეთხოვება. აი, ამ პასუხისმგებლობაზეც მოგახსენებდით ზემოთ.

ქვეყნის ცხოვრებაში განახლება იწყება. ეს ეხება სპორტსაც. სამინისტროს ახალ ხელმძღვანელობასთან და ყველასთან ერთი სათხოვარი მაქვს: ნუ ავჩქარდებით კადრების შერჩევაში, კადრებზე ხომ ბევრი რამ კი არა, ყველაფერია დამოკიდებული. არ დაგიმალავთ, მაგრამ ქართული სპორტის გულშემატკივრებო, თქვენსავით მეც ძალიან არ მსიამოვნებს, როცა ვრცელდება ხმები ამა თუ იმ კადრის სპორტის ცალკეულ რგოლში დაწინაურებაზე. ბევრს უჩნდება კითხვა, რატომ, რა დამსახურებისთვის, ასეთი შთამბეჭდავი რა დგას (ვინ დგას, არ ვამბობ) მის ზურგს უკან. ჩვენი სფერო ალალი და ჯანსალი, ზნეობრივად ამაღლებული, სუფთა უნდა იყოს ყოველმხრივ - ასეთია სპორტის ბუნება. ბედნიერები ვართ, რომ დღეს უკეთეს ხვალინდელ დღეზე ვოცნებობთ და ეს მომავალი ახალ-ახალი სპორტული მიღწევებით, უანგაროდ სპორტის საყოველთაო ხელმისაწვდომით უნდა გალამაზდეს.

„ჯანსაღ სხეულში - ჯანსაღი სული“!



გურამ სალარაძე

**გურამ სალარაძე,**
საქართველოს ვეტერან
მოჭიდავეთა კავშირის თავმჯდომარე,
მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი
თავისუფალ ჭიდაობაში

ჭადრაკი



# ჯავახიშვილის მომგებიანი ქულები

ეილათში მოჭადრაკეთა საკლუბო ჩემპიონატზე სომხეთის „მიკამ“ ზედიზედ ორი წაგების შემდეგ მე-4 ტურში წარმატებას მიაღწია - გუნდს გამარჯვების ქულა **ლელა ჯავახიშვილმა** მოუტანა - თეთრი ფიგურებით მარია მუზიჩუკს აჯობა. დანარჩენ სამ დაფაზე კი დაზავდნენ: ანტოანეტა სტეფანოვა - ელინა დანიელიანი, ვიქტორია ჩმილიტე - ჰარიკა დრონავალი, ნატალია პოგონინა - ლილით მკრტიჩიანი.

შესანიშნავად ითამაშა ერთპიროვნულმა ლიდერმა „მონტე კარლომ“ - მშრალი ანგარიშით სძლია მასპინძელთა „აშდოდს“: ჰამფი კონერუ - ანგელა ბორსუკი 1:0, ანა მუზიჩუკი - ოლგა ვასილიევი 1:0, პია კრამლინგი - ლუდმილა ციფანსკაია 1:0, ელმირა სკრიპჩენკო - ვალერია დოტანი 1:0. დანარჩენი ორი შეხვედრა ასე დამთავრდა: SHSM (რუსეთი) - „რიშონ ლეზიონი“ (ისრაელი) 3,5:0,5, „იუგრა“ (რუსეთი) - „ჩიგორინის კლუბი“ (რუსეთი) 2,5:1,5.

ოთხი ტურის შემდეგ: „მონტე კარლო“ - 8, „იუგრა“ - 7, „აშდოდი“ - 5, SHSM, „მიკა“ - 4-4 ქულა.

ვაჟთა ტურნირში 8-8 ქულით შარშანდელი საკლუბო ჩემპიონატის გამარჯვებული „სანკტ-პეტერბურგი“ და „ტომსკი“ მეწინავეობდნენ. შვიდი გუნდი მათ ორ-ორი ქულით ჩამორჩებოდა.

გუშინ მე-5 ტურის შეხვედრები გაიმართა. კვლავ გაიმარჯვა ლელა ჯავახიშვილმა - ამჯერად შავი ფიგურებით SHSM-ის გუნდის წევრ ალინა კაშლინსკაიას 43-ე სვლაზე გააჩერებინა საათი. მანამდე ყაიმზე შეთანხმდნენ ელინა დანიელიანი - ალექსანდრა კოსტენიუკი, ლილით მკრტიჩიანი - ეკატერინა კოვალევსკაია. ჯავახიშვილის თანაგუნდელმა ჰარიკა დრონავალიმ (ინდოეთი), ასევე, შავი ფიგურებით ეტლების ენდშპილში ევროპის ჩემპიონ ვალენტინა გუნინას აჯობა. საბოლოოდ 3:1 გაიმარჯვა „მიკამ“, 6 ქულა მოაგროვა და მესამე ადგილზეა. „იუგრამ“ „რიშონ ლეზიონი“ დაამარცხა - 3,5:0,5 და 9 ქულით მე-2 ადგილი განიმტკიცა. „ჩიგორინის კლუბი“ - „მონტე კარლო“ 0,5:3,5, ამ გამარჯვებით მონტეკარლოელები 10 ქულით პირველობას ინარჩუნებენ. „აშდოდი“ - AVS 0,5:3:5.

ვაჟებში „სანკტ-პეტერბურგმა“ უშუალო მეტოქე „ტომსკი“ 4:2 დაამარცხა და 10 ქულით ერთპიროვნულად დაწინაურდა. „სოკარი“ - „ნოვი ბორი“ 3,5:2,5, „პერფექტი“ - „ვესნიანკა“ 6:0. „ბადენ-ბადენი“ - „იუგრა“ 2.5:3.5. ხუთი ტურის შემდეგ 8-8 ქულით მეორე-მეექვსე ადგილებს სარატოვის „ეკონომისტი“, ისრაელის „აშდოდი“, რუსეთის „იუგრა“ და „ტომსკი“, აზერბაიჯანის „სოკარი“ ინაწილებენ.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

# სატურნირო მდგომარეობა გაიუარესა

ხუთი ტურის შემდეგ ჯაკარტაში (ინდონეზია) მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე მერაბ გაგუნაშვილს 4 ქულით მოწინავე პოზიციები ეკავა, მაგრამ მე-6 ტურში შავი ფიგურებით ჩინელ ლი ჩაოსთან მარცხმა ჩვენებური რამდენიმე საფეხურით ჩამოაქვეითა, რადგან კონკურენტთა უმრავლესობამ გათამაშების ცხრილში თითო ქულა ჩაიწერა. ზედიზედ მესამე პარტია მოიგო ჩინელმა იუ იანიმ, რომელმაც ინდოელ სურია განგულის აჯობა. ასევე, ჩინელმა ლუ შანგლეიმ ტურნირის რეიტინგ-ფავორიტი ივან სოკოლოვი (ჰოლანდია) დაჯაბნა.

გაგუნაშვილმა ვერც მე-7 ტურში იყოჩაღა - ფიდეს ოსტატ ჰარიდას პასკუას დაუზავდა და 4,5 ქულით მე-16 ადგილზეა. 6 ქულას მოუყარა თავი იან იანიმ - შავი ფიგურებით ლი ჩაოს შეუთანხმდა ყაიმზე. ასევე, დაზავდნენ: ვლადისლავ ტკაჩიევი - ლუ შანგლეი, ბორის ჩათალბაშევი - სონ ნგუენი, ვან ჩენი - ვეი იი, ხოლო ავეტიკ გრიგორიანმა ოლეგ კორნეევს მოუგო.

შეჯიბრების დამთავრებამდე 2 ტურით ადრე იუ იანი 6 ქულით ერთპიროვნულად მეწინავეობს. ლი ჩაო, ლუ შანგლეი და გრიგორიანი ლიდერს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან. 9 მოჭადრაკეს 5-5 ქულა აქვთ. მე-8 ტურში გაგუნაშვილი ვან იუნუოს შეხვდება.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# ანა საფეხურით ჩამოქვეითდა

ქართველი ჩოგბურთელებისთვის გასული კვირა წარუმატებელი აღმოჩნდა: **მაკა ჩახნაშვილი** ესპანეთის ქალთა საერთაშორისო ტურნირს ძირითადი ბადის პირველ წრეში გამოეთიშა. მოსკოვში კრემლის თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე ცდიდნენ ძალებს **სოფიო შაფათავა** და **ნიკოლოზ ბასილაშვილი**, მაგრამ მისი გადალახვა ვერ მოახერხეს. **ანა ტატიშვილმა** ტრავმების მოშუშება და წლის ბოლომდე დასვენება გადაწყვიტა. ყოველივე ზემოაღნიშნულმა ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის (WTA) რეიტინგში ჩვენებურთა პოზიციაზე ზეგავლენა მოახდინა. ზოგი დაწინაურდა, ზოგი ჩამორჩა, ზოგმაც უწინდელი მდგომარეობა შეინარჩუნა. ანა ტატიშვილი წინა კვირას 1162 ქულით 50-ე იყო, მაგრამ ბრიტანელმა ჰიზერ უოტსონმა, რომელმაც წარმატებით ითამაშა იაპონურ ტურნირში, 3 ქულით გაუსწრო ქართველ ჩოგბურთელს და 50-ე საფეხურზე დამკვიდრდა, ანამ 51-ე პოზიციაზე გადაინაცვლა. დანარჩენ ჩვენებურთა მაჩვენებლები ასეთია: 284 (280). **სოფიო შაფათავა** (174), 327 (329). **მაკა ჩახნაშვილი** (139). 391 (394). **სოფიო ქვაცაბაია** (98), 456 (456). **ეკატერინე გორგოძე** (74), 539 (539). **ოქსანა კალაშნიკოვა** (52), 565 (605). **ნათია გეგია** (33), 1158 (924). **ანი გოგვაძე** (3). **თათია მიქაძე** და **თამარ ჭალაგანიძე** კლასიფიკაციაში ველარ მოხვდნენ.

რაც შეეხება ვაჟთა რეიტინგს (ATP), 143 ქულით **ნიკოლოზ ბასილაშვილი** 310-ე ადგილზეა. 921 (928). **ალექსანდრე მეტრეველი** (11), 1414 (1417). **გიორგი ჯავახიშვილი** (2), 1534 (1538). **გიორგი ცივაძე** (2).

ანი გოგვაძე და თამარ ჭალაგანიძე ისრაელის ქალაქ აკოში იმყოფებიან ქალთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი). ძირითადი ბადის სტარტზე ჭალაგანიძე ფინელ ელა ლეივოსთან დამარცხდა - 4:6, 6:2. ანი გოგვაძე რუს იანინა პარიშინას დაუპირისპირდება, თუმცა მან უკვე გუშინ ითამაშა წყვილებში უკრაინელ ოლექსანდრა პისკუნთან ერთად და ორ სეტში ამით გავრიელისა (ისრაელი) და ანასტასია ხომუტოვას (ლატვია) დუეტს სძლია - 6:2, 6:3. მეორე წრეში ტურნირზე მე-2 ნომრად განთესილ პოლონელებს - ოლგა ბროზდას და ნატალია კულატს დაუპირისპირდება. რაც შეეხება ჭალაგანიძეს, იგი ლიბი მეშთან (ისრაელი) ერთად იანინა პარიშინას და დარია მირონოვას (ორივე - რუსეთი) წყვილს გაუწევს მეტოქეობას.

გლაზგოს (შოტლანდია) 25.000-იანი ტურნირის ძირითად ბადეშია მაკა ჩახნაშვილი. იქ უკვე საკვალიფიკაციო ტურნირის პირველი ორთაბრძოლები გაიმართა.

**ვაჟა დანელია**

ჰოკეი

# ზედიზედ ორი მარცხი

აბუ დაბი ყინულის ჰოკეისტთა მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპს მასპინძლობს. შეჯიბრებაში ორი საგზურისთვის ოთხი გუნდი იბრძვის: არაბთა გაერთიანებული საამირო, საბერძნეთი, მონღოლეთი და საქართველო, რომელსაც საერთაშორისო ფედერაციამ პირველად დართო ნება, მესამე დივიზიონში მოსახვედრად იბრძოლოს. ეტყობა, უყინულოდ მოვარჯიშე ჩვენს სპორტსმენებს (აბუ დაბიში გამგზავრებამდე მათ 18-დღიანი შეკრება მოაწყვეს თურქულ ერზერუმში და ბოლო რვა თვის განმავლობაში პირველად იქ დადგნენ ყინულზე) ჯერჯერობით საამისოდ გამოცდილება არ ჰყოფნით, რაც აბუ დაბის ტურნირის ორმა დღემაც დაადასტურა. სტარზე საქართველოს ნაკრები მონღოლებთან დამარცხდა 0:6 (0:1, 0:2, 0:3), გუშინ კი ბერძნებმაც აჯობეს - 13:0 (4:0, 7:0, 2:0). ასპარეზობის პირველ დღეს მასპინძლებმა ბერძნები დაამარცხეს 2:0 (1:0, 1:0, 0:0), გუშინ კი მონღოლებს მოუგეს 3:2 (1:0, 2:1, 0:1).



ორი დღის შემდეგ ორი გამარჯვებით არაბთა გაერთიანებული საამიროს გუნდი დაწინაურდა, რომელმაც, ფაქტობრივად, მესამე დივიზიონში თამაშის უფლება გაინაღდა. ბერძნებსა და მონღოლებს თითო მოგება აქვთ.

დღეს ასპარეზობის მონაწილენი ისვენებენ, ხვალ კი ერთმანეთს დაუპირისპირდებიან არაბთა გაერთიანებული საამირო - საქართველო, საბერძნეთი - მონღოლეთი. მეორე საგზურის მფლობელის ვინაობა სწორედ მეორე წყვილის პაექრობაში გაირკვევა.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

● ლეგიონის კვირა

# ფაჩულიას სტARTი: 9-9

ეროვნული ბიბლიოთეკა






### NBA

ამერიკულმა კლუბებმა NBA-სთვის მზადება ოქტომბრის დადგომასთან ერთად დაიწყეს. მართავენ საგამოფენო მატჩებს, თუმცა 14 ოქტომბრამდე ამაოდ ველოდით ქართველთა მოედანზე გამოჩენას. **ზაზა ფაჩულიას** საზარდული ჰქონდა გაჭიმული და მწვრთნელი ზედმეტ გართულებებს ერიდებოდა. სწორედ ამიტომ არ ათამაშა საქართველოს ნაკრების კაპიტანი „სან ანტონიოსა" და „მაიამი ჰიტთან". მესამე საკონტროლო შეხვედრაში კი ზაზა ფაჩულია არა მხოლოდ განაცხადში, არამედ სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა. ტრავმამომუშებული კალათბურთელის ძირითად შემადგენლობაში გამწესება იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მწვრთნელ **ლარი დრიუს** ოფიციალურ მატჩებშიც ცენტრის პოზიციაზე უმთავრესად ზაზას იმედი აქვს.

ხუთეულში ზაზას ეხმარებოდნენ **დეიმონ ჯეიმსი** და **ივან ჯონსონი**. სავარაუდოდ, სეზონის ოფიციალურად გახსნის შემდეგ მათ **ელ ჰორფორდი** და **ჯოშ სმითი** შეცვლიან, რომლებმაც „მემფისთან" მატჩი სათადარიგოთა სკამიდან დაიწყეს.

ფაჩულიამ 22 წუთი ითამაშა და უმთავრესად ესპანეთის ნაკრების ცენტრის **მარკ გასოლის** მეურვეობა უწევდა. მარკმა საშუალო თუ ახლო დისტანციიდან ტყორცნების შედეგად 17 ქულა მოაგროვა, თუმცა ზაზამ მოხსნა არ დაანება - გასოლმა მხოლოდ სამჯერ მოხსნა.

ფაჩულიას მონაგარი ასე გამოიყურებოდა: 9 ქულა, 9 მოხსნა, 1 პასი. მან ორქულიანი ტყორცნების 50 პროცენტი ჩააგდო (8-დან 4), ხოლო ერთი საჯარიმო ზუსტად ისროლა.

მესამე პერიოდში „მემფისმა" 33:20 მოიგო და, ფაქტობრივად, ამ მონაკვეთში გადაწყვიტა გამარჯვებულის ბედი. საბოლოოდ 110:102 მემფისელთა სასარგებლოდ.

„ატლანტა ჰოქსი" მომდევნო შეხვედრას 16 ოქტომბერს „ინდიანასთან" სტუმრად გამართავს.

■ ■ ■

**თორნიკე შენგელიას** „ბრუკლინმა" სეზონის პირველი მატჩი 13 ოქტომბერს ფილადელფიაში ჩაატარა და 108:105 მოიგო. როგორც წესი, მწვრთნელები ახალწვეულებს საგამოფენო მატჩებში ყურადღებით აკვირდებიან, თუმცა **ეივერი ჯონსონმა** შენგელია მოედანზე არ შეიყვანა. თუ შემადგენლობას გადავხედავთ, თორნიკეს უთამაშებლობის მიზეზად მწვრთნელის შემდეგი მოსაზრება უნდა მივიჩნიოთ: ჯონსონმა გადაწყვიტა ფილადელფიაში 11 კალათბურთელისთვის საკმარისი სათამაშო დრო მიეცა, ხოლო დანარჩენი შვიდის გამოცდა მომდევნო მატჩებისთვის გადადო. შვიდეულში მოხვდნენ **შენგელია, ბრუკსი, ტეილორი, დენისი, მეისი, სტეკჰაუსი** და **ევანსი** (მოლოდ 3 წუთი ითამაშა). რამდენად მართებული დასკვნაა, დღესვე დავრწმუნდებით: გამთენიისას „ბრუკლინ ნეთსს" „ვაშინგტონთან" უნდა ეთამაშა.

### სერია A

ქართულ-იტალიურ გუნდებს წარუმატებელი კვირეული ჰქონდათ: **მანუჩარ მარკოიშვილის** „კანტუმ" ევროლიგაზე შინ „ოლიმპიასთან" დათმო, ხოლო **ვიქტორ სანიკიძის** „მონტეპასკიმ" ასევე შინ - „ალბასთან". ორივე შემთხვევაში ფავორიტებად იტალიელები ითვლებოდნენ...

ამის შემდეგ კანტუელებმა და სიენელებმა რეაბილიტაცია იტალიის ჩემპიონატში სცადეს. მარკოიშვილმა და მისმა თანაგუნდელებმა გასული სეზონის აღმოჩენა „დინამო სასარისთან" სტუმრად მაღალ დონეზე ითამაშეს: საფინალო სირენამდე 2 წუთით ადრე მანუჩარმა სამქულიანით „კანტუმ" 61:59 დააწინაურა, 30 წამით ადრე **პიეტრო არადორიმ** ორიდან ერთი საჯარიმო ტყორცნა გამოიყენა და 64:63 კანტუელთა სასარგებლოდ. ბოლო შეტევის უფლება დინამოელებს დარჩათ, მათ ბურთის გვერდიდან შემოტანის შემდეგ სატყორცნად წამი რჩებოდათ... მოხდა საოცრება: **დრეიკ დიენერმა** ურთულესი სიტუაციიდან შორეული ორქულიანი ჩააგდო და სტუმრებს მოგება „ჯიბიდან ამოაცალა".

■ ■ ■

სიენას „მონტეპასკიმაც" გასვლაზე ითამაშა („ვარეზესთან"). ბევრისთვის მოულოდნელად სანიკიძის გუნდმაც წააგო.

### უკრაინის სუპერლიგა

იტალიის ჩემპიონატისგან განსხვავებით, უკრაინის პირველობის პირდაპირ ეთერში ხილვის საშუალება გვეძლევა. ასე რომ, უკეთესად შეგვიძლია **გიორგი ცინცაძის** გამოსვლის შეფასება.

დავიწყოთ იქიდან, რომ „ბუს" (ცინცაძის მეტსახელი) „ბუდიველნიკი" სუპერლიგაში დამაჯერებლად ასპარეზობს, გასულ კვირას „ჰაე-ზე" დაწყებული გუნდები, „ჰოვერლა" და „ჰალიჩინა" „ერთმანეთზე მიაწყო" და ხუთი ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილს ერთპიროვნულად ლიდერობს.

„ჰალიჩინასთან" მთელი მატჩის განმავლობაში წინ „ბუდიველნიკის" კალათბურთელები იყვნენ და ლოგიკურად, შეხვედრა გამარჯვებამდე მშვიდად უნდა მ[illegible]. [illegible] პერიოდი გიორგიმ სამქულიანით გახსნა და მასპინძლები 61:49 დააწინაურა. 34-ე წუთზე ცინცაძემ თანაგუნდელებს კვლავ 11-ქულიანი ფორა დაუბევა (69:58), რის შემდეგაც მწვრთნელმა იგი სათადარიგოთა სკამზე დააბრუნა. სამიოდე წუთში **აინარს ბაგაცკისი** იძულებული გახდა ქართველი გამთამაშებელი ისევ მოედანზე შეეყვანა, რადგან მის შეგირდებს შეტევების ორგანიზება გაუჭირდათ, სხვაობა კი სამ ქულამდე შემცირდა. სირენამდე 36 წამით ადრე ცინცაძემ ორიდან ერთი ჯარიმა ჩააგდო (76:73), ამას მოჰყვა **ლეო ლაიონსის** ორი ზუსტი ტყორცნა სტატიკური მდგომარეობიდან და - 78:73. საქმე **არტურ დროზდოვმა** ეფექტური ზემოდან გდებით მოამთავრა. 80:75 „ბუდიველნიკის" სასარგებლოდ.

### ისრაელის ვინერ-ლიგა

კვირას ისრაელის ჩემპიონატის სადებიუტო მატჩში **გიორგი შერმადინი** **ჯეიკობ პულენის** წინააღმდეგ წარდგა. როგორც მოსალოდნელი იყო, შერმადინის „მაქაბიმ" იერუსალიმის „ჰაპოელი" 88:82 დაამარცხა.

გიორგიმ 15 წუთი ნაყოფიერად გამოიყენა: 5 ორქულიანი და 4 საჯარიმო ისროლა, რომელთაგან მხოლოდ ერთი ორქულიანი ააცილა.

პულენმა 7-დან 4 ორქულიანი, 6-დან 2 სამიანი ჩააგდო და მატჩი 14 ქულით დაასრულა.

**ვაჟა სიმონიშვილი**





| მოთამაშე | გუნდი | თარიღი | შეჯიბრება | VS | ანგარიში | წუთი | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა (NBA) | 10.10 | NBA | სან ანტონიო VS | 101:99 | არ უთამაშია | | | | | |
| | | 14.10 | NBA | მემფისი VS | 110:102 | 22 | 9 | 9 | 1 | 0 | 0 |
| თორნიკე შენგელია | ბრუკლინი (NBA) | 13.10 | NBA | ფილადელფია VS | 105:108 | არ უთამაშია | | | | | |
| მანუჩარ მარკოიშვილი | კანტუ (იტ) | 11.10 | ევროლიგა | VS ოლიმპია (სლოვენ) | 71:84 | 19 | 13 | 1 | 2 | 0 | 0 |
| | | 14.10 | იტალიის ჩემპ. | დინამო სასარი VS | 65:64 | 35 | 16 | 5 | 3 | 0 | 0 |
| ვიქტორ სანიკიძე | მონტეპასკი (იტ) | 12.10 | ევროლიგა | VS ალბა (გერმ.) | 82:92 | 17 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 |
| | | 15.10 | იტალიის ჩემპ | ვარეზე VS | 74:67 | 18 | 2 | 5 | 1 | 0 | 2 |
| გიორგი შერმადინი | მაქაბი (ისრ) | 11.10 | ევროლიგა | უნიკახა (ესპ) VS | 85:80 | 14 | 9 | 3 | 0 | 0 | 0 |
| | | 14.10 | ისრაელის ჩემპ. | VS ჰაპოელი (იერუს) | 88:82 | 15 | 12 | 4 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი ცინცაძე | ბუდიველნიკი (უკრ) | 12.10 | უკრაინის ჩემპ | VS ჰოვერლა | 92:84 | 16 | 8 | 3 | 2 | 2 | 0 |
| | | 14.10 | უკრაინის ჩემპ | VS ჰალიჩინა | 80:75 | 20 | 11 | 2 | 3 | 1 | 0 |
| ბექა ბურჯანაძე | კახასოლი (ესპ) | 7.10 | ესპანეთის ჩემპ. | ესტუდიანტესი VS | 76:46 | 12 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| ჯეიკობ პულენი | ჰაპოელი (ისრ) | 14.10 | ისრაელის ჩემპ. | მაქაბი (თელ-ავივი) VS | 88:82 | 35 | 14 | 2 | 4 | 2 | 0 |
| სერგო ათუაშვილი | პალანგა (ლიტვა) | 13.10 | ლიტვის ჩემპ | პიენო VS | 93:59 | არ უთამაშია | | | | | |

ლეგიონერები

# სამი ქართული ლელო: გორგოძე, ნემსაძე და ნაცარაშვილი

**ევროპის სათასო ტურნირებზე პირველი ტურის შეხვედრები გაიმართა. ყველაზე პრესტიჟული „ჰაინეკენის თასის“ გათამაშებაში მოასპარეზე ქართველ მორაგბეთა ექვსი გუნდიდან, სამმა მოიგო და ამდენივემ წააგო. ტურნირის დასაწყისმა გვიჩვენა, რომ ძალთა ბალანსი უცვლელია და ფავორიტები ისევ ის გუნდები არიან, რომლებიც მთავარი ჯილდოსთვის შარშანაც იბრძოდნენ.**

A ჯგუფში „ქართული გუნდებიდან“ დიმიტრი ბასილაიას შოტლანდიური „ედინბურგი“ ასპარეზობს. მთავარმა მწვრთნელმა **მაიკლ ბრედლიმ** გადაწყვიტა პირველ ტურში ექსპერიმენტული შემადგენლობა დაეყენებინა, სწორედ ამიტომაა, რომ ედინბურგელები შინ ინგლისის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდთან, „სარასენზთან“ მშრალი ანგარიშით დამარცხდნენ - 0:45.

ბასილაია განაცხადში არ იყო. ამავე ჯგუფში ფრანგულმა „მეტრო რასინგმა“ შინ დაამარცხა ირლანდიური „მანსტერი“ - 22:17.

B ჯგუფში **ჯაბა ბრეგვაძისა და ვასილ კაკოვინის** „ტულუზი“ შინ დაუპირისპირდა ინგლისურ „ლესტერ ტაიგერზს“ და 23:9 მოუგო. მასპინძლებს პირველ ტაიმში მეტოქის წინაალმდეგობის გატეხა გაუჭირდათ და მხოლოდ ორი ქულის სხვაობით დაწინაურდნენ - 11:9. შესვენების შემდეგ კი, ტულუზელებმა მატჩის სადავეები ხელთ იპყრეს და ინგლისურ კლუბს მონაგრის გაზრდის საშუალება არ მისცეს.

კაკოვინი და ბრეგვაძე ტრავმირებული არიან, ამავე ჯგუფში უელსურმა „ოსფრიზმა“ შინ მოუგო იტალიურ „ბენეტონს“ 38:17.

D ჯგუფში მოასპარეზე **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი“ სტუმრად დამარცხდა ირლანდიურ „ალსტერთან“ - 17:41. ფრანგული გუნდი თამაშის დასაწყისიდანვე უშანსოდ იყო და მასპინძლებს მათი ძლევა დიდად არ გასჭირვებიათ. ცნობილია, რომ „კასტრი“ სახლის გუნდია და შინაურ კედლებში, სავარაუდოდ, ბევრს გაამწარებს.

ფეიქრიშვილი განაცხადში არ იყო, ამავე ჯგუფში ინგლისურმა „ნორსჰემპთონმა“ შინ დაამარცხა შოტლანდიური „გლაზგო“ - 24:15.

E ჯგუფში შესანიშნავად ითამაშა **დავით ზირაქაშვილისა და ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონმა“. „ვულკანებმა“ საკუთარ მოედანზე უელსური „ჰლანეჰლი“ მიიღეს და დიდი ანგარიშით 49:16 სძლიეს. არადა თითქმის მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში ანგარიშში წინ უელსელები იყვნენ. „კლერმონმა“ სხვაობის დაბალანსება 31-ე წუთზე შეძლო. ტაიმის დასრულებამდე ორი წუთით ადრე კი სამი ქულით დაწინაურდა - 16:13.

შესვენების შემდეგ „ჰლანეჰლიმ“ მონაგარს მხოლოდ სამი ქულა შესძინა, მაშინ, როცა მასპინძლებმა ხუთი ლელოს გატანა მოახერხეს. ზირაქაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 59-ე წუთზე შეცვალეს, კოლელიშვილს არ უთამაშია.


მორგან პარა და დავით ზირაქაშვილი

ამავე ჯგუფში, „ჰეინეკენის თასის“ ამჟამინდელმა მფლობელმა, ირლანდიურმა „ლენსტერმა“ გაჭირვებით მოუგო ინგლისურ „ექსეტერს“ - 9:6.

F ჯგუფში ქართველ მორაგბეთა ორი გუნდი ასპარეზობს. პირველ ტურში ერთმანეთს სწორედ ისინი დაუპირისპირდნენ. **დავით ქუბრიაშვილის, კონსტანტინე მიქაუტაძისა და ლევან ჩილაჩავას** „ტულონმა“ შინ მოუგო **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტისა და მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიეს“ - 37:16.

ტულონელები დასაწყისიდანვე საგრძნობლად დაწინაურდნენ და გადახალისებული შემადგენლობით მოთამაშე მონპელიელები უშანსოდ დატოვეს. გორგოძე თამაშში 57-ე წუთიდან ჩაერთო და 14 წუთში ლელო გაიტანა, თადარიგში იყვნენ ჟღენტი და ქუბრიაშვილიც. პირველი მოედანზე 48-ე წუთიდან გამოჩნდა, მეორე კი 20 წუთის შემდეგ. ნარიაშვილი, მიქაუტაძე და ჩილაჩავა განაცხადში არ იყვნენ.

ამავე ჯგუფში ინგლისურმა „სეილ შარქსმა“ შინ უმძიმეს ბრძოლაში მინიმალური სხვაობით დაამარცხა უელსური „კარდიფი“ - 34:33.

**ჰაინეკენის თასი**

**A ჯგუფი**

მეტრო რასინგი-მანსტერი 22:17, ედინბურგი-სარასენზი 0:45

**სატურნირო მდგომარეობა**

1. სარასენზი - 5 ქულა, 2. მეტრო რასინგი - 4, 3. მანსტერი - 1, 4. ედინბურგი - 0.

**II ტური**

სარასენზი-მეტრო რასინგი, მანსტერი-ედინბურგი

**B ჯგუფი**

ოსფრიზი-ბენეტონი 38:17, ტულუზი-ლესტერი 23:9

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ოსფრიზი - 5 ქულა, 2. ტულუზი - 4, 3. ლესტერი - 0, 4. ბენეტონი - 0.

**II ტური**

ბენეტონი-ტულუზი, ლესტერი-ოსფრიზი

**C ჯგუფი**

ზებრე-ქონოთი 10:19, ჰარლიქვინზი-ბიარიცი 40:13

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ჰარლიქვინზი - 5 ქულა, 2. ქონოთი - 4, 3. ზებრე - 0, 4. ბიარიცი - 0.

**II ტური**

ბიარიცი-ზებე, ქონოთი-ჰარლიქვინზი

**D ჯგუფი**

ალსტერი-კასტრი 41:17, ნორსჰემპთონი-გლაზგო 24:15

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ალსტერი - 5 ქულა, 2. ნორსჰეპთონი - 5, 3. გლაზგო - 0, 4. კასტრი - 0.

**II ტური**

გლაზგო-ალსტერი, კასტრი-ნორსჰემპთონი

**E ჯგუფი**

ლენსტერი-ექსეტერი 9:6, კლერმონი-ჰლანეჰლი 49:16

**სატურნირო მდგომარეობა**

1. კლერმონი - 5 ქულა, 2. ლენსტერი - 4, 3. ექსეტერი - 1, 4. ჰლანეჰლი - 0.

**II ტური**

ჰლანეჰლი-ლენსტერი, ექსეტერი-კლერმონი

**F ჯგუფი**

სეილ შარქსი-კარდიფი 34:33, ტულონი-მონპელიე 37:16

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტულონი - 5 ქულა, 2. სეილ შარქსი - 4, 3. კარდიფი - 1, 4. მონპელიე - 0.

**II ტური**

კარდიფი-ტულონი, მონპელიე-სეილ შარქსი


მამუკა გორგოძე

„ემლინ ჩელენჯ კაპის“ გათამაშება A ჯგუფის გუნდების მატჩით გაიხსნა. **თამაზ მჭედლიძის** „მონ დე მარსანმა“ შინ მიიღო ინგლისური გლოსტერი და 6:11 დამარცხდა. მჭედლიძემ ტრავმა ახლახან მოიშუშა და მასპინძელთა შემადგენლობაში წლეულს პირველად ითამაშა. ის ძირითად შემადგენლობაში იყო და 39-ე წუთზე შეცვალეს.

ამავე ჯგუფში ფრანგულმა „ბორდომ“ შინ მიიღო ინგლისური „ლონდონ აირიში“ და 16:43 წააგო.

ამ ტურნირში კიდევ ერთი „ქართული გუნდი“ თამაშობს. **ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსემ“ E ჯგუფში სტუმრად მოუგო დიდი ანგარიშით ინგლისურ „ლონდონ ველშს“ - 68:19. პარიზელებმა მეტოქეს ცხრა ლელო გაუტანეს, აქედან ორ-ორი **რემი ბონჰფილის, უგო ბონელისა და ვაისეა ნაიაკაველუს** ანგარიშზეა.

ჟვანია ძირითად შემადგენლობაში იყო და 65-ე წუთზე შეცვალეს. ამავე ჯგუფში ფრანგულმა „გრენობლმა“ შინ დაამარცხა იტალიური „პრატო“ - 59:3.

**ჩელენჯ კაპი**

**A ჯგუფი**

მონ დე მარსანი-გლოსტერი 6:11, ბორდო-ლონდონ აირიში 16:43.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ლონდონ აირიში - 5 ქულა, 2. გლოსტერი - 4, 3. მონ დე მარსანი - 1, 4. ბორდო - 0.

**II ტური**

გლოსტერი-ბორდო, ლონდონ იარიში-მონ დე მასრანი.

**B ჯგუფი**

როვიგო-პერპინიანი 12:79, გერნიკა-ვორსტერი 5:85

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ვორსტერი - 5 ქულა, 2. პერპინიანი - 5, 3. როვიგო - 0, 4. გერნიკა - 0.

**II ტური**

ვორსტერი-როვიგო, პერპინიანი-გერნიკა.

**C ჯგუფი**

ბაიონი-მოლიანო 71:7, ვოსფსი-ნიუპორტი 38:25.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ბაიონი - 5 ქულა, 2. ვოსფსი - 5, 3. ნიუპორტი - 0, 4. მოლიანო - 0.

**II ტური**

ნიუპოტი-ბაიონი, მოლიანო-ვოსფსი.

**D ჯგუფი**

ბუქარესტი-ბასი 17:40, კალვიზანო-აჟენი 31:36.

**სატურნირო მდგომაეობა**

1. ბასი - 5 ქულა, 2. აჟენი - 5, 3. კალვიზანო - 2, 4. ბუქარესტი - 0.

**II ტური**

აჟენი-ბასი, ბუქარესტი-კალვიზანო.


გიორგი ნემსაძე

**E ჯგუფი**

გრენობლი-პრატო 59:3, ლონდონ ველში-სტად ფრანსე 19:68.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. გრენობლი - 5 ქულა, 2. სტად ფრანსე - 5, 3. ლონდონ ველში - 0, 4. პრატო - 0.

**II ტური**

პრატო-ლონდონ ველში, სტად ფრანსე-გრენობლი.

■ ■ ■

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, მეორე დივიზიონში მეშვიდე ტურის შეხვედრები გაიმართა. აქ პლეი ოფში გასვლისთვის ერთბაშად ქართველ მორაგბეთა ხუთი გუნდი იბრძვის. ესენია: „ლიონი“, „ორიაკი“, „ალბი“, „ბრივი“ და „ტარბი“.

ამ გუნდებიდან საუკეთესო შედეგი **გურამ კავთიძის** „ლიონს“ აქვს, რომელიც 25 ქულით მეორე ადგილზეა და ლიდერი „ოიონაქსი“ მხოლოდ ერთი ქულით უსწრებს. ლიონელებმა მე-8 ტურში სტუმრად ითამაშეს ერთ-ერთ აუტსაიდერ „ექსთან“ და 25:12 მოიგეს. აღსანიშნავია, რომ მასპინძლები 66-ე წუთამდე 12:11 იგებდნენ და ლიონელებმა მატჩში გარდატეხის შეტანა დასკვნით 14 წუთში შეძლეს.

კავთიძემ ძირითად შემადგენლობაში ითამაშა და 55-ე წუთზე შეცვალეს.

„ლიონს“ ოთხი ქულით ჩამორჩება და მე-4 ადგილზეა **ლევან დათუნაშვილის, გიორგი ნაცარაშვილისა და კარლენ ასეიშვილის** „ორიაკი“, რომელმაც შინ დაამარცხა „ნარბონი“ - 32:15.

ნაცარაშვილმა, რომელიც 57-ე წუთზე შეცვალეს, რვა წუთით ადრე ლელო გაიტანა, დათუნაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა, ასეიშვილი მოედანზე 48-ე წუთიდან გამოჩნდა.

21 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში მე-5 ადგილზეა **ალექსანდრე თოდუას, ვახტანგ მაისურაძის, კახაბერ კობერიძის, ვახტანგ ახობაძისა და გიორგი თეთრაშვილის** „ალბი“, რომელმაც დაძაბულ ბრძოლაში შინ დაამარცხა **გიორგი ჩხაიძის, გიორგი ნემსაძის, ირაკლი მირცხულავასა და დავით დადუნაშვილის** „ტარბი“ - 28:22.

ნემსაძე თამაშში 56-ე წუთიდან ჩაერთო და სამ წუთში ლელო გაიტანა, დადუნაშვილი 34-ე წუთზე არბიტრმა სინბინში გაუშვა და 56-ე წუთზე შეცვალეს, იმავდროულად მოედანზე გამოჩნდა მირცხულავაც, თოდუა „ალბის“ ძირითად შემადგენლობაში იყო და 72-ე წუთზე შეცვალეს, მაისურაძე თამაშში ოთხი წუთის შემდეგ ჩაერთო. ჩხაიძე, კობერიძე, ახობაძე და თეთრაშვილი განაცხადში არ იყვნენ.

„ტარბს“ 20 ქულა დაუგროვდა და ახლა მე-7 ადგილზეა. ამდენივე ქულა აქვს და ერთი საფეხურით წინაა **დავით ხინჩაგიშვილის, ირაკლი ნატრიაშვილისა და გოდერძი შველიძის** „ბრივი“, რომელმაც მე-7 ტურში შინ სძლია **შალვა სუთიაშვილისა და დავით აშვეთიას** „მასის“ - 30:3.

ხინჩაგიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 58-ე წუთზე შველიძემ შეცვალა, სუთიაშვილი თამაშში 53-ე წუთიდან ჩაერთო, აშვეთიას და ნატრიაშვილს არ უთამაშიათ.

**ბექა შეყლაშვილის** „ბეზიე“ სტუმრად დამარცხდა „ოშთან“ - 21:40. შეყლაშვილმა სრულად ითამაშა. ასევე სტუმრად წააგო „ოიონაქსთან“ **ტარიელ რატიანიძის** „დაქსმა“ -26:46. შერკინების ქართველი ბურჯი განაცხადში არ იყო.

**II დივიზიონი**

**VII ტური**

ოში-ბეზიე 40:21, ალბი-ტარბი 28:22, ბრივი-მასი 30:3, პო-კოლომიე 30:3, ორიაკი-ნარბონი 32:15, ექსი-ლიონი 12:25, ლა როშელი-კარკასონი 24:22, ოიონაქსი-დაქსი 46:26.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ოიონაქსი - 26 ქულა, 2. ლიონი - 25, 3. პო - 22, 4. ორიაკი - 21, 5. ალბი - 21, 6. ბრივი - 20, 7. ტარბი - 20, 8. ლა როშელი - 19, 9. ოში - 18, 10. კარკასონი - 17, 11. კოლომიე - 11, 12. ნარბონი - 10, 13. ბეზიე - 10, 14. მასი - 9, 15. ექსი - 8, 16. დაქსი - 7.

**VIII ტური**

ორიაკი-ლა როშელი, ბეზიე-ალბი, დაქსი-პო, კოლომიე-ექსი, ტარბი-ბრივი, ნარბონი-კარკასონი, მასი-ოიონაქსი, ოში-ლიონი.

**ბესიკ ჯანგავაძე**

უცხოური სპორტი

ჩოგბურთი. რეიტინგები



როჯერ ფედერერი

# ფედერერის 300 კვირა

შვეიცარიელი ჩოგბურთელი **როჯერ ფედერერი** პირველი მოთამაშეა ისტორიაში, ვინც 300 კვირის განმავლობაში (აქედან 237 კვირა ზედიზედ) ინარჩუნებს პირველ ადგილს ATP-ის რეიტინგში. კლასიფიკაციის ახალი ვერსიის თანახმად, რომელიც შანხაის მასტერსის შემდეგ გამოქვეყნდა, ფედერერი 12165 ქულით არის პირველ ადგილზე.

როჯერი 2004 წლის თებერვალში მოექცა საჩოგბურთო რეიტინგის სათავეში. ამის შემდეგ, ის 2008 წლის აგვისტომდე ინარჩუნებდა პირველობას. 2012 წლის უიმბლდონის მოგებით მან დაიბრუნა პირველი პოზიცია, ამავე წლის ივლისში კი დაამხო ამერიკელ **პიტ სამპრასის** რეკორდი, რომელიც ჯამში 286 კვირის განმავლობაში ედგა სათავეში რეიტინგს.

თუმცა ფედერერმა, შესაძლოა, მალე დაკარგოს ლიდერობა კლასიფიკაციაში, რადგან შანხაის მასტერსზე გამარჯვების წყალობით, **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა შვეიცარიელთან. 15 ოქტომბრისთვის ფედერერი სერბს 195 ქულით უგებს, სეზონის ბოლომდე კი ტიტულები აქვს დასაცავი პარიზის მასტერსსა და წლის შემაჯამებელ ტურნირზე.

ახალი რეიტინგის მიხედვით, ჩეხმა **ტომაშ ბერდიხმა** ისევ გაუსწრო ფრანგ **ჟო-ვილფრიდ ცონგას** და მეექვსე პოზიციაზე გადაინაცვლა. გარდა ამისა, ტოპ-ოცეულში ამერიკელმა **ჯონ ისნერმა** ჩამოიტოვა ესპანელი **ნიკოლას ალმაგრო**, ხორვატი **მარინ ჩილიჩი** წაიწია წინ ორი საფეხურით, გერმანელი **ფილიპ კოლშრაიბერი** - ერთით.

და კიდევ, ოცეულში დაბრუნდა გერმანელი **ტომი ჰაასი**, რომელმაც უკრაინელი **ალექსანდრ დოლგოპოლოვი** შეავიწროვა.

| ATP | |
|---|---|
| 1(1) . როჯერ ფედერერი (შვეიც) | 12 165 |
| 2(2). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 11 970 |
| 3(3). ენდი მიურეი (ბრიტ) | 7 690 |
| 4(4). რაფაელ ნადალი (ესპ) | 6 995 |
| 5(5). დავიდ ფერერი (ესპ) | 5 360 |
| 6(7). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 4 840 |
| 7(6). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 4 810 |
| 8(8). ხ-მ. დელ პოტრო (არგ) | 3 670 |
| 9(9). იანკო ტიპსარევიჩი (სერ) | 3 265 |
| 10(10). ხუან მონაკო (არგ) | 2 775 |
| 11(12). ჯონ ისნერი (აშშ) | 2 565 |
| 12(11). ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 2 435 |
| 13(13). რიშარ გასკე (საფ) | 2 415 |
| 14(16). მარინ ჩირიჩი (ხორ) | 2 370 |
| 15(14). მილოშ რაონიჩი (კან) | 2 335 |
| 16(15). კეი ნიშიკორი (იაპ) | 2 000 |
| 17(17). სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 1 955 |
| 18(19). ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) | 1 830 |
| 19(18). ჟილ სიმონი (საფ) | 1 815 |
| 20(21). ტომი ჰაასი (გერ) | 1 727 |

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# ვიქტორია სხვა ფორმა

ქალთა სეზონი თანდათან დასასრულს უახლოვდება. წლის შემაჯამებელ ჩემპიონატამდე დარჩენილია რამდენიმე პატარა ტურნირი - ლინცი, ოსაკა, ლუქსემბურგი და კრემლის თასი.

ტოპ-მოთამაშეები სხვადასხვაგვარად გეგმავენ კალენდარს. ზოგიერთი წლის ტურნირამდე აღარ აპირებს თამაშს, ზოგიერთნი, მაგალითად, **ვიქტორია აზარენკა** და **სამანტა სტოსური**, დამატებითი სათამაშო პრაქტიკის მიღებასა და სარეიტინგო ქულების დაგროვებას ამჯობინებენ.

აზარენკა ლინცში ჩავიდა სათამაშოდ და იოლად გაუსწორდა მეტოქეებს, რომლებიც თავიანთი კლასით არ შეესაბამებოდნენ ბელარუსის დონეს. **არანჩა რუსის**, **სიმონა ჰალეპის**, **პეტრა მარტიჩისა** და **ირინა ბეგუს** ამოცანა შემდეგში მდგომარეობდა - შეძლებდნენ თუ არა ისინი თითო სეტში ორ გეიმზე მეტის აღებას. ყველაზე ახლოს ამ მიზანთან მარტიჩი იყო, რომელმაც 2:6, 2:6 წააგო, დანარჩენებმა კი მთელი მატჩის განმავლობაში ორი-სამი გეიმი აიღეს. სავარაუდოდ, ბელარუსს უფრო დიდ წინააღმდეგობას **დომინიკა ციბულკოვა** გაუწევდა, მაგრამ მან ფეხის ტრავმის გამო, ბოლო მომენტში გამოიტანა განაცხადი.

ბადის მეორე მხარეს ყველაზე მაღალი განთესვის ნომერი **ანა ივანოვიჩს** ჰქონდა. მეორე წრეში სერბი პროფესიულ ტურში დაბრუნებულ **ანდრეა პეტკოვიჩს** ხვდებოდა. შეგახსენებთ, რომ გერმანელმა ზედიზედ ორი უმძიმესი ტრავმა გადაიტანა. პირველ წრეში ანდრეამ **ბარბორა ზახვალოვა** დაამარცხა, მაგრამ ივანოვიჩის ძლევა ვერ შეძლო – 4:6, 3:6. თავად ანამ შემდეგ წრეში **კირსტენ ფლიპკენსთან** წააგო, თანაც მეორე სეტში "მშრალი" ანგარიშით. ბელგიელი ფინალში გასასვლელად **იულია გორგესს** ხვდებოდა. კირსტენმა კარგად დაიწყო მატჩი და პირველი სეტი 6:1 აიღო, მაგრამ შემდეგ, იულია ათამაშდა და მეტოქეს არანაირი შანსი არ დაუტოვა – 6:2, 6:3.

ასე რომ, ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ პირველ და მეხუთე ნომრად განთესილი ჩოგბურთელები. რა თქმა უნდა, აზარენკა მთავარი ფავორიტი იყო, მაგრამ შეხვედრას მცირე ინტრიგა მაინც ჰქონდა. პირველ სეტში აზარენკამ უკეთ გამოიყენა თავისი შანსები და ორი ბრეიკით მოიგო – 6:3. მეორე პარტიაში მას თითქოს უნდა გაენადგურებინა თავისი მეტოქე და ამის დამადასტურებელი იყო 5:0 დაწინაურება, მაგრამ ბელარუსის თამაშის დონე მკვეთრად დაეცა, გორგესმა კი პირიქით, მოუმატა. იულიამ ორჯერ არ ჩააწოდებინა მატჩზე მეტოქეს, ოთხი მატჩბოლი მოიგერია, მაგრამ შემდეგ ანერვიულდა და მეხუთედ მატჩში დათმო საკუთარი მოწოდება – 3:6, 4:6.

**Generali Ladies Linz**

**ლინცი (ავსტრია)**

**ფინალი**

ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 1)-იულია გორგესი (გერ, 5) 6:3, 6:4.



ვიქტორია აზარენკა

# ბრიტანეთის ახალი ისტორია

ოსაკაში გამართული ტურნირის მთავარი ვარსკვლავი **სამანტა სტოსური** იყო. ავსტრალიელმა წლის შემაჯამებელ ტურნირზე მოხვედრის თეორიული შანსიც დაკარგა, მაგრამ ამ ჩემპიონატში სათადარიგო მოთამაშის სტატუსის მოპოვებისთვის იბრძვის. ამ მხრივ, მისი კონკურენტია **მარიონ ბარტოლი**, რომელსაც ავსტრალიელი 200 ქულით უსწრებს. თუმცა სტოსურმა იაპონიაში ამ სხვაობის გაზრდა ვერ მოახერხა. სამანტა ერთადერთი განთესილი იყო, ვინც ნახევარფინალამდე მიაღწია, მაგრამ ამ ეტაპზე **კაი-ჩენ ჩანთან** წააგო. სტოსურმა წარმატებით დაიწყო შეხვედრა – ზედიზედ სამი საწყისი გეიმი აიღო, მაგრამ საბოლოოდ, თამაში ორსაათნახევარი გაიწელა. გამარჯვებული მხოლოდ გადამწყვეტი პარტიის ტაი-ბრეიკზე გაირკვა. ტაივანელმა 6:4, 4:6, 7:6(3) გაიმარჯვა.

ბადის ქვედა ნაწილიდან, მოულოდნელად ფინალში **ჰიზერ უოტსონი** გავიდა. 2009 წლის ამერიკის ღია პირველობის იუნიორთა ტურნირის ჩემპიონმა რთულ ბრძოლაში დაამარცხა ოთხი მეტოქე (თუმცა მისთვის ერთი სეტისართმევა მხოლოდ **ანაბელ მედინა გარიგესმა** მოახერხა) და კარიერაში პირველად გავიდა WTA-ის ტურნირის ფინალში (ჩანისთვისაც ეს პირველი ფინალი იყო კარიერაში). შესაძლოა, სწორედ გამოუცდელობის გამო გადამწყვეტ პარტიაში მეტოქეებმა ვერ აჩვენეს სტაბილური თამაში. ჩანი პირველ პარტიაში სეტზე აწვდიდა, მაგრამ ზედიზედ სამი გეიმი დათმო. მეორეში უოტსონი იყო ბრეიკით დაწინაურებული, მატჩზე აწვდიდა და მატჩბოლიც ჰქონდა, მაგრამ ჩააგდო სეტის დასასრული და მეტოქეს ზედიზედ ოთხი გეიმი მისცა. გადამწყვეტ სეტში ასევე ვნახეთ ერთი დაკარგული შანსი - ჩანი 5:4-ზე მატჩზე აწვდიდა, ოთხი მატჩბოლი მოიპოვა და მაინც გაათანაბრებინა ანგარიში მეტოქეს. საბოლოოდ, ბრიტანელმა ტაი-ბრეიკზე მიაღწია საწადელს - 7:5, 5:7, 7:6(4).



ჰიზერ უოტსონი

სხვათა შორის, ბრიტანული ჩოგბურთისთვის ეს გამარჯვება ისტორიული იყო. ბოლოს, ბრიტანელმა ქალმა ჩოგბურთელმა WTA-ის ტურში 1988 წელს გაიმარჯვა – მაშინ, **სარა ჰომერმა** აპტოსის ტურნირი მოიგო. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე კვირის წინ, **ლორა რობსონი** 22-წლიანი შესვენების შემდეგ, WTA-ის ტურნირის ფინალისტი გახდა. მოკლედ, ბრიტანული ჩოგბურთი ახლა აღმავლობის გზაზეა.

**HP Open**

**ოსაკა (იაპონია)**

**ფინალი**

ჰიზერ უოტსონი (ბრიტ)-კაი ჩენ ჩანი (ტაივ) 7:5, 5:7, 7:6(4).

ფორმულა 1

# ფეტელი და ფერარი: არის კონტრაქტი!

„ფერარიმ" კონტრაქტი გააფორმა „რედ ბულის" პილოტ **სებასტიან ფეტელთან**, - იტყობინება BBC იტალიურ გუნდში საკუთარ წყაროზე დაყრდნობით. ხელშეკრულება 2014 წლიდან შევა ძალაში. ასე რომ, გერმანელი პილოტი „ფერარიში" ბრაზილიელ **ფელიპე მასას** შეცვლის, რომლისთვისაც შემდეგი სეზონი ბოლო იქნება იტალიური საჯინიბოს რიგებში. გარდა ამისა, იტყობინებიან, რომ ფეტელის კონტრაქტის ძალაში შესვლა იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ გამოვა „ფერარი" მომავალ სეზონში.

სებასტიანის „ფერარიში" გადასვლის ინიციატორი **ფერნანდო ალონსო** გახდა, რომელსაც კონტრაქტის მიხედვით აქვს ხმის უფლება პარტნიორის არჩევის დროს. უფრო ადრე, ესპანელმა ვეტო დაადო „სკუდერიაში" **ლუის ჰემილტონის** გადასვლას.

„რედ ბული" ჯერჯერობით უარყოფს ფეტელსა და იტალიურ გუნდს შორის მოლაპარაკებების ფაქტს და ხაზს უსვამს იმას, რომ გერმანელს ავსტრიულ საჯინიბოსთან 2014 წლის ბოლომდე აქვს გაფორმებული კონტრაქტი, თუმცა გერმანელის ხელშეკრულებაში არსებობს პუნქტი, რომელიც მას ურთიერთობის ნაადრევად გაწყვეტის უფლებას აძლევს.

■ ■ ■

ამასობაში, გერმანელ **ნიკო ჰიულკენბერგის** ადგილზე „ფორს ინდიაში" სამი პილოტი აცხადებს პრეტენზიას, რომლებსაც ფორმულა 1-ში გამოსვლის გამოცდილება აქვთ. როგორც იცით, ჰიულკენბერგს უწინასწარმეტყველებენ „ზაუბერში" **სერხიო პერესის** ადგილს, ხოლო „ფორს ინდიაში" გამოთავისუფლებულ ვაკანტურ ადგილზე პრეტენზიას აცხადებენ - **ადრიან სუტილი, ხაიმე ალგერსუარი** ან **სებასტიან ბუემი**.

■ ■ ■

ფრანგი პილოტი **რომენ გროსჟანი** 2013 წელსაც გააგრძელებს გამოსვლას „ლოტუსში". ამის შესახებ საჯინიბოს შეფმა **ერიკ ბულიემ** გამოაცხადა.

*„გვინდა დავამშვიდოთ რომენი მისი მომავლის გამო,* - მოჰყავს BBC-ს ბულიეს სიტყვები. - *ის გააგრძელებს გამოსვლას ჩვენს გუნდში, თუმცა ოფიციალური განცხადების გაკეთება ჯერ ნაადრევია. ჩვენ ყველაფერი მზად გვაქვს - კონტრაქტი, მხარეების თანხმობა... მხოლოდ ხელმოწერები აკლია".*



სებასტიან ფეტელი

ექსტრემალური სპორტი

# ნახტომი კოსმოსიდან

ავსტრიელი პარაშუტისტი **ფელიქს ბაუმგარტნერი** წარმატებით დაეშვა დედამიწაზე 39 კილომეტრი სიმაღლიდან. მან მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა, რადგან აქამდე პარაშუტის დახმარებით ასეთი სიმაღლიდან არავინ გადმომხტარა. 43 წლის ბაუმგარტნერი ჰაერში სტრატოსტატის დახმარებით სპეციალური ჰერმეტული კაფსულით ავიდა. 39 კილომეტრ სიმაღლეზე ასვლამ ორი საათი და 16 წუთი დაიკავა.

სპეციალისტები ყველაზე მეტად იმაზე ნერვიულობდნენ, რომ ნახტომის შესრულებისას ავსტრიელის კოსტიუმი კაფსულას შეეხებოდა, რასაც, შესაძლოა, ბაუმგარტნერის დაღუპვა გამოეწვია ჟანგბადის ნაკლებლობისა და მინუს 57 გრადუსზე სხეულის სწრაფად მოყინვის გამო.

სხვათა შორის, ავსტრიელი გახდა პირველი ადამიანი მსოფლიოში, რომელმაც პარაშუტის გახსნამდე ვარდნისას ხმის სიჩქარეს (343 კმ/სთ) გადააჭარბა.

ნახტომი ნიუ-მექსიკოს შტატში განხორციელდა და მისი პირდაპირი ტრანსლაცია YouTube-ის სპეციალურ არხზე მიმდინარეობდა.



ბაუმგარტნერი კოსმოსში

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● კალათბურთი. NBA. 2012-13 წელი

# სეზონის წინ: ფინიქს სანზი

**ფინიქს სანზი 2011-12**

თავდასხმა: საშუალოდ 103,5 ქულა - მე-8 ლიგაში

დაცვა: საშუალოდ 103,8 ქულა – 23-ე ლიგაში

**წინა ხაზი**

"ფინიქსში" უცნაური ამბები ხდება. ცენტრის პოზიციაზე **მარცინ გორტატი** ითამაშებს, მძიმე ფორვარდის როლი ლუის სკოლას ერგება, მეორე ფორვარდის პოზიციას კი არასტაბილური **მაიკლ ბიზლი** დაიკავებს. ორი წლის განმავლობაში გუნდის შემადგენლობა ძალიან შეიცვალა.

შეფასება: 4 მინუსით

**უკანა ხაზი**

ორი ახალი გამთამაშებელი შეეცდება "ლეიკერსში" გადასული **სტივ ნეშის** შეცვლას. ერთ-ერთია **გორან დრაგიჩი**, რომელსაც, როგორც ჩანს, ძალიან ენდობიან, რადგან მრავალწლიანი ხელშეკრულება გაუფორმეს. **კენდალ მარშალი** კი ახალბედაა, რომელიც დრაფტზე მე-13 ნომრად აირჩიეს. შემტევი მცველის პოზიციაზე, სავარაუდოდ, სასტარტოში **ჯარედ დადლის** ვიხილავთ.

შეფასება: 3 პლუსით

**დაცვა**

როგორც იქნა, "ფინიქსმა" თავისი "მაღლების" დახმარებით დაცვაზე ზრუნვა დაიწყო, მაგრამ გორტატისა და სკოლას მონდომება არასაკმარისი იქნება დაცვაში არსებული ხვრელების ამოსავსებად.

შეფასება: 2

**სათადარიგოთა სკამი**

თითქოს მარშალისა და მორისის ნდობა შეიძლება, ყოველ შემთხვევაში, მარკიფმა თავისი სარგებლობა ჯერ კიდევ გასულ წელს დაამტკიცა. მაგრამ "სანზის" სათადარიგოთა სკამზე ნამდვილ ლიდერს ვერ ვხედავთ.

შეფასება: 3 პლუსით

**მწვრთნელი**

**ელვინ ჯენტრიმ** გარდაქმნის პროცესში მყოფ გუნდში გარკვეული სტაბილურობა შეიტანა. ეს, რა თქმა უნდა, მის აქტივში უნდა შევიტანოთ. ახლა, მას კიდევ ერთხელ მოუწევს შემადგენლობის დალაგება, რადგან „სანზში" ისეთი მოთამაშეები შეიკრიბნენ, რომლებიც ერთმანეთს საერთოდ არ იცნობენ.

შეფასება: 4

**საბოლოო შეფასება**

ეს სეზონი არიზონული კლუბისთვის ძალიან რთული იქნება. წაგებების რაოდენობა გაიზრდება, რადგან გუნდში აღარ არიან ნეში და ჰილი, რომლებსაც განსაკუთრებული მონდომების ხარჯზე შეეძლოთ "სანზისთვის" გამარჯვება გამოეგლიჯათ ან წარუმატებლობის შემთხვევაში, ახალგაზრდა მოთამაშეები გაემხნევებინათ და ისინი სწორ გზაზე დაეყენებინათ. ახლა, გუნდს ნეშის გარეშე თამაშის სწავლა მოუწევს.

ლუის სკოლას თამაში მაგალითი უნდა გახდეს ახალგაზრდობისთვის. თუ გორტატი საშუალოდ მატჩში ორმაგი დუბლის შესრულებას გააგრძელებს, მაშინ "ფინიქსს" შეტევაში კარგი წყვილი ჩამოუყალიბდება, რომელზეც რეალურად შეიძლება დაყრდნობა. ამის შემდეგ, ყველაფერი დამოკიდებული იქნება მცველების წყვილზე: მარშალი-დრაგიჩი. რისი შეთავაზება შეუძლიათ მათ მეტოქეებისთვის? როცა გამთამაშებლის საკითხი საბოლოოდ მოგვარდება, მაშინ იქნება შესაძლებელი ამ გუნდის სერიოზულ გეგმებზე ლაპარაკი.

საერთო შეფასება: 3 პლუსით




ფინიქსში ლუის სკოლას იმედი აქვთ

● NBA. საკონტროლო მატჩები

# ჩემპიონმა ჩინეთში წააგო

ამ დღეებში, ჩინეთის ქალაქი შანხაი მხოლოდ საჩოგბურთო მასტერსით არ იპყრობდა სპორტის მოყვარულთა ყურადღებას. აქ ჩინეთში ტურნეში მყოფმა „მაიამი ჰიტმა" და „ლოს ანჯელეს კლიპერსმა" საჩვენებელი შეხვედრა გამართეს.

ორივე გუნდი ოპტიმალური შემადგენლობით შეხვდა აღნიშნულ მატჩს - მათ თავიანთი ლიდერები **დუეინ უეიდი** და **კრის პოლი** დაუბრუნდნენ. სტარტი უკეთ კალიფორნიულ კლუბს გამოუვიდა და პირველი მეოთხედი მან 10 ქულის სხვაობით - 32:22 მოიგო. ლოსანჯელესელებს არც მომდევნო მეოთხედებში გაუშვიათ ინიციატივა ხელიდან და მესამე მეოთხედის ბოლოსთვის მათი უპირატესობა 17 ქულამდე ავიდა.

„კლიპერსის" რიგებში შესანიშნავად თამაშობდნენ **დეანდრე ჯორდანი** და **ბლეიკ გრიფინი**. ჯორდანი 18 ქულით ორივე გუნდის რიგებში ყველაზე შედეგიანი იყო, გრიფინი კი ერთადერთი კალათბურთელი იყო მატჩში, რომელმაც ორმაგი დუბლი შეასრულა - 13 ქულა და 10 მოხსნა.

მოქმედი ჩემპიონის - „მაიამის" რიგებში კი გამოკვეთილი ლიდერი ვერ ვიხილეთ. უეიდს უფორმობა ეტყობა, ხოლო „დიდი ტრიოს" დანარჩენმა ორმა წევრმა - **ლებრონ ჯეიმსმა** და **კრის ბოშმა** მოკრძალებული შედეგიანობა აჩვენეს - 11-11 ქულა დააგროვეს.

მიუხედავად ამისა, მეოთხე მეოთხედი უკეთ „მაიამიმ" ჩაატარა და ბოლო 12-წუთეული შვიდი ქულით მოიგო, თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა მატჩის გადასარჩენად. კლიპერსმა ფინალურ სირენასთან ერთად 10-ქულიანი უპირატესობა დააფიქსირა - 99:89.

ჯორდანისა და გრიფინის გარდა, გამარჯვებულთა რიგებში კიდევ სამმა კალათბურთელმა გადალახა 10-ქულიანი ზღვარი - 15 ქულა მოიპოვა **კროუფორდმა** და 11-11 **ბარნსმა** და **ბატლერმა**.

მაიამის რიგებში კი ყველაზე შედეგიანი კარნი იყო 15 ქულით.



კრის პოლი

**მაიამი-კლიპერსი 89:99**

22:32, 21:25, 24:27, 22:15

მ: კარნი (15+5 მოხსნა), ბოში (11+5 მოხსნა), ჯეიმსი (11).

კ: ჯორდანი (18+9 მოხსნა), კროუფორდი (15), გრიფინი (13+10 მოხსნა), ბარნსი (11+6 მოხსნა), ბატლერი (11).

**ჰიუსტონი-სან ანტონიო 107:116**

16:27, 28:25, 27:30, 36:34

ჰ: მოტეიუნასი (16+8 მოხსნა), ფორბსი (13), აშიქი (13+11 მოხსნა+5 პასი), დელფინო (12+5 მოხსნა), ლემბი (11+5 მოხსნა), სმიტი (11), ჯონსი (10+6 მოხსნა).

ს-ა: უიზერსპუნი (17), ბლეირი (16+6 მოხსნა), გრინი (15), ჯოზეფი (12), ჯინობილი (11), ნილი (10), კარი (10).

**მემფისი-ატლანტა 110:102**

25:33, 29:26, 33:20, 23:23

მ: კონლი (18+5 პასი), მ. გასოლი (17), რენდოლფი (14+10 მოხსნა), გეი (13+5 მოხსნა+3 ჩაჭრა), პონდექსტერი (12), ელინგტონი (10), ბეილესი (10+7 მოხსნა).

ა: ჰორფორდი (13+5 მოხსნა), მოროუ (12), კორვერი (11), ჯონსონი (10), უილიამსი (10+5 პასი).

● ამბები

**რალი**

## ფორდი რალიდან მიდის

ამერიკულმა საავტომობილო კონცერნმა „ფორდმა" ოფიციალურად გამოაცხადა 2012 წლის სეზონის შემდეგ კლასიკურ რალიში საკუთარი საქარხნო გუნდის დახურვის შესახებ.

კომპანიის ოფიციალურ პრესრელიზში კომპანიამ თავისი გადაწყვეტილება რთული ეკონომიკური მდგომარეობით და თავისი ევროპული განყოფილების ბიზნესსტრატეგიის გადახედვის აუცილებლობით ახსნა. საქარხნო გუნდი დაიხურება, მაგრამ გამოსვლას გააგრძელებს ნახევრად ქარხნული საჯინიბო - „M-სპორტი".

შეგახსენებთ, რომ 2012 წელს „ფორდის" ღირსებას იცავენ ფინელი **იარი-მატი ლატვალა** და ნორვეგიელი **პეტერ სოლბერგი**.

სხვათა შორის, ამ დღეებში გერმანულმა კომპანია BMW-მ გამოაცხადა, რომ 2012 წლის შემდეგ, კლასიკურ რალიში ვერ ვიხილავთ Mini-ს გუნდს.

**ფრენბურთი**

## 2013 წლის ევროპა დაჯგუფდა

კოპენჰაგენში გაიმართა მამაკაცებს შორის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წილისყრა. ტურნირი 2013 წლის 20-29 სექტემბერს პოლონეთსა და დანიაში გაიმართება.

A ჯგუფში მოხვდნენ იტალია, დანია, ბელარუსი, აგრეთვე საბერძნეთისა და ბელგიის საპლეიოფო წყვილის გამარჯვებული.

B ჯგუფში ვხედავთ პოლონეთს, სლოვაკეთს, საფრანგეთსა და თურქეთი-ლატვიის წყვილში გამარჯვებულს.

ევროპის მოქმედი ჩემპიონს - სერბეთის ნაკრებს C ჯგუფში დაუპირისპირდებიან ფინეთი, ჰოლანდია და ხორვატია-სლოვენიის წყვილში მოგებული.

დაბოლოს, ოლიმპიური ჩემპიონი რუსეთი ნაკრები D ჯგუფში შეხვდება ბულგარეთს, გერმანიასა და ჩეხეთს.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

● ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ევრო 2013** | |
| **UNDER 21** | |
| პოლანდია-სლოვაკეთი | 2:0 |
| **ევრო 2013** | |
| **UNDER 19** | |
| რუსეთი-უელსი | 2:1 |
| სლოვენია-შვედეთი | 1:1 |
| საბერძნეთი-ჩეხეთი | 1:2 |
| მოლდოვა-ჩრ. ირლანდია | 1:8 |
| **ევრო 2013** | |
| **UNDER 17** | |
| შვეიცარია-ავსტრია | 1:1 |
| ფარერები-კვიპროსი | 1:1 |
| **ინგლისი** | |
| **II ლიგა** | |
| პორტ ვეილი-ოქსფორდი | 3:0 |
| **ესპანეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| რეალ კასტილია-ლას პალმასი | 3:2 |
| **იტალია** | |
| **სერია C1/B** | |
| კატანძარო-ნოჩერინა | 2:3 |
| **საბერძნეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ანაგენისი (ი)-პანსერაიკოსი | 1:0 |
| აპოლონი-ირაკლისი (პ) | 0:0 |
| ეთნიკოსი-ფოკიკოსი | 4:0 |
| კალონი-ნიკი ვოლუ | 0:2 |
| კავალა-ტრასივულოსი | 1:1 |
| ოლიმპიაკოსი (ვ)-კალითეა | 1:1 |
| პანაიტოლიკოსი-ლარისა | 0:1 |
| **თურქეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| მანიშა-ბბ გაზიანთეფი | 2:1 |
| **რუსეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| სკა ენერგია-ბალტიკა | 1:0 |
| ტორპედო-სიბირი | 1:1 |
| მეტალურგი-უფა | 0:1 |
| პეტროტრესტი-შინიკი | 3:1 |
| ნალჩიკი-ხიმკი | 1:0 |
| სალუტი-როტორი | 1:0 |
| ვოლგარი-ტომი | 0:1 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **საფრანგეთი** | |
| ლიმოჟი-სტრასბური | 62:70 |
| **გერმანია** | |
| მიტლდოიჩე-ბაიერნი | 71:73 |
| **საბერძნეთი** | |
| არისი-პანათინაიკოსი | 56:71 |
| იკაროსი-აპოლონი | 67:65 |
| **ადრიატიკის ლიგა** | |
| ზადარი-ოლიმპია | 66:78 |
| **იტალია** | |
| ვარეზე-მონტეპასკი | 74:67 |
| აველინო-მილანი | 80:58 |
| **რუსეთი** | |
| უნიქსი-სპარტაკი | 51:52 |
| **თურქეთი** | |
| ეფესი-ბანვითი | 79:69 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ავანგარდი-დონბასი | 2:1 |
| ავტომობილისტი-ატლანტი | 1:0 |
| ბარისი-დინამო (რ) | 5:0 |
| მეტალურგი (მ)-ტორპედო | 3:2 |
| ს. იულიაევი-ცსკა | 1:4 |
| ტრაქტორი-ლოკომოტივი | 2:3 (ბ) |
| იუგრა-სპარტაკი | 6:3 |
| ნეფტეხიმიკი-ლევ პოპრადი | 3:2 (ო) |
| სევერსტალი-ვიტიაზი | 1:3 |
| სკა-მეტალურგი (ნ) | 4:2 |
| აკ ბარსი-სლოვანი | 2:3 (ბ) |
| **შვედეთი** | |
| ფრიოლუნდა-ჰვ71 | 2:3 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. მოსკოვი** | |
| როსოლი-ხიმენო ტრავერო | 7:6, 7:6 |
| ისტომინი-ფაუ | 5:7, 7:5, 6:1 |
| ბაუტისტა-იტო | 3:6, 6:1, 2:6 |
| რამი-ჟაზირი | 3:6, 1:6 |
| **ATP. სტოკჰოლმი** | |
| იუჟნი-ბეიკერი | 6:3, 6:1 |
| ნიემინენი-კამკე | 6:3, 6:4 |
| **ATP. ვენა** | |
| დარცისი-მიულერი | 7:6, 4:6, 3:6 |
| ჰაასე-მატოშევიჩი | 6:1, 3:6, 2:6 |
| **WTA. ლუქსემბურგი** | |
| სუარეს ნავარო-რიბარიკოვა | 6:7, 4:6 |
| ნიკულესკუ-ოპრანდი | 7:6, 6:1 |
| პაჩეკი-ჰრადეცკა | 3:6, 6:7 |
| მინელა-ბარტელი | 5:7, 0:6 |
| **WTA. მოსკოვი** | |
| იოვანოვსკი-არვიდსონი | 2:6, 4:6 |
| გასპარიანი-საფაროვა | 3:6, 6:4, 2:6 |
| ზაკოპალოვა-კადანტუ | 6:3, 6:3 |
| სკიავონე-უ. რადვანსკა | 3:6, 1:6 |

● TV პროგრამა

**16 ოქტომბერი. შაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ჩემპიონთა ლიგა. II ტურის მიმოხილვა.
11:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBRAZIL.
12:00 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ნიუკასლი.
14:00 გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ბაიერნი.
16:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ბრედა.
18:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
19:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლამენგო-კრუზეირო.
21:00 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 ჩემპიონთა ლიგა. მიმოხილვა.
23:00 მსოფლიოს ჩემპიონატი 2014. შესარჩევი ტურნირი. ევროპა. ესპანეთი-საფრანგეთი (LIVE).
01:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ფულჰემი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. მაიამი-ბოსტონი.
15:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სანტოსი-ვასკო და გამა.
17:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. არლიკინზი-ბიარიცი.
18:50 კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
21:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ლევერკუზენი.
23:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. შანხაი. ჩინეთი. მიმოხილვა.
00:00 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. მაიამი-ბოსტონი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ვალენსია. ესპანეთი.
12:15 სპორტ-NEWS.
12:45 რაგბი. ოთხი ერის თასი. არგენტინა-ავსტრალია.
14:45 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ვალენსია. ესპანეთი.
16:30 სპორტ-NEWS.
17:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. იუვენტუსი-შახტარი.
19:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ვალენსია. ესპანეთი.
21:30 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ტულუზი-ლესტერი.
23:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ვალენსია. ესპანეთი.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 12 | 23 | (მზე) |
| ქუთაისი | 20 | 30 | (მზე) |
| ბათუმი | 15 | 27 | (მზე) |
| ფოთი | 15 | 29 | (მზე) |
| ზუგდიდი | 15 | 29 | (მზე) |
| გორი | 10 | 25 | (მზე) |
| თელავი | 12 | 22 | (მზე) |
| სიღნაღი | 12 | 21 | (მზე) |
| ბაკურიანი | 3 | 19 | (მზე) |
| ბორჯომი | 7 | 23 | (მზე) |
| მესტია | 2 | 22 | (მზე) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1534 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6612 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6672 |
| 100 რუსული რუბლი | 5.3451 |

საინტერესო

# მესი და რეციდივისტი

## ბარსელონას ლიდერს იცავდა ბანდიტი, რომელმაც 500 ბანკი გაძარცვა



დანიელ როხო

ყოფილი რეციდივისტი, სახელად **დანიელ როხო**, 15 წლიდან დანაშაულებრივი სამყაროს წევრი იყო და ამ დროის განმავლობაში 500-ზე მეტი ევროპული ბანკი გაძარცვა. დაახლოებით 15 წლის წინ, როხომ კრიმინალთან გამოთხოვება გადაწყვიტა და "ბარსელონაში" მცველად დაიწყო მუშაობა (და არა თამაში). სწორედ მაშინ, კატალონიაში ლეო მესის ტალანტი იფურჩქნებოდა.

როხოს მოვალეობებში შედიოდა "ბარსელონას" მთვრალი მოთამაშეების ღამის კლუბებიდან შინ დარიგება. მაგრამ მოგვიანებით, ყოფილი მძარცველი დააწინაურეს და მისი პირდაპირი მოვალეობა გახდა ამომავალი ვარსკვლავის ლეონელ მესის დაცვა.

იტალიური La Gazzetta dello Sport-ისთვის მიცემულ ინტერვიუში დანიელ როხო იხსენებს მესისთან ურთიერთობის პერიოდს:

*"ლეო მორცხვი და გაუბედავი ბიჭი იყო. ის მხოლოდ ახლა ხვდება, რა არის ნამდვილი ცხოვრება, ადრე კი კლუბის ხელმძღვანელობა გოგონებთან ურთიერთობასაც უკრძალავდა. როცა მესი ვარჯიშიდან გამომყავდა, ერთად მივდიოდით სასადილოდ და მე მას საკუთარი კრიმინალური ცხოვრების ეპიზოდებს ვუყურებდი. ის მხოლოდ მისმენდა და თავს მიქნევდა, რადგან არაფერი ჰქონდა სათქმელი. მის ცხოვრებაში მხოლოდ ვარჯიშები და მატჩები იყო".*

**გია თვალაბეიშვილი**



ხავიერ მასკერანო, ანდრეას კალამორო, ლეონელ მესი და დანიელ როხო




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია თვალაბეიშვილი

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 383-384. ელფოსტა: lelo@palitra.ge, leloltd@gmail.com ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:00

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608